# თამარიანი

ლექსად თქმული სიმონ გუგუნავას მიერ

ისტორიული პოემა

«განათლება»

თბილისი 1970

მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე



# წინასიტყვა

უწინარეს მას ვადიდებ, ვინაც შექმნა ზღვა და ხმელი,
ვინც მარადის არსებობით უკვდავია და უხრწნელი,
ვინ ჯოჯოხეთს განმაშორა, შემიყვარა, მცხო ნათელი,
მისგან ვითხოვ, განმარიდოს ეშმაური განსაცდელი!

სხვა მას გარდა არვინ ვიცი უნაკლო და ყოვლად სრული,
არვის ახსოვს დასაბამი, არვინ უწყის დასასრული,
მის სამართალს ელოდება მომავალი და წარსული,
მან შემინდოს სულგრძელობით სიტყვა თქმული, უმეცრული.

ვინაც ბრძენსა გაასელებს და ხელს შეიქმს ისევ ბრძენად,
ვინ მეფესა დაამონებს და მონასა ჰყოფს საჩენად,
მან მაღირსოს მოწყალება, შემიცვალოს ჭირი ლხენად,
მომიბომოს შრომის ნიჭი, ღირსი ვიყო მე რამდენად.

რაც არ ვიცი, მან მასწავლოს და გონება განმინათლოს,
ჭეშმარიტი გზა მიჩვენოს, გამითენოს უსინათლოს,
და როს სიტყვა დამიმვირდეს, დამიბადოს, განმიახლოს,
რომ არ დამგმოს მომავალმა, შრომა ისე განმიმართლოს.

ამ დიდებულს ჩემს სამშობლოს ეწოდება ივერია,
ერთი მხარე ამერია და მეორე იმერია,
ათას წლობით მოსეული მტრები ბრძოლით იგერია,
შავთა დროთა ვერა სცვალეს, სჯული მტკიცედ უჭერია.

ვიცი, ქართველს პოეზია გაახარებს, გულს დაუტკბობს,
ჭაბუკს ნდომით გააშმაგებს, მოხუცებულს სისხლს გაუთბობს,
რა გინდ იყოს მოუცლელი, გარდაკითხვას დროს დაუთმობს,
ზოგს გაუჩენს გულში სევდას, ზოგს სევდასაც კი გაუქრობს.

ვიცი, ბევრნი ყურადღებით განარჩევენ ამ იხზულებას
და პირუთნოდ ამხილებენ დანაკლისს და ცთომილებას,
თუ არ შურით გაჰკილავენ ამა შაირ-წყობილებას,
ვინც კი მართლად აღიარებს, დიაღ, თქმა სჯობს დუმილებას.

რადგან აზრით ორად არის გაყოფილი მთელი ხალხი,
ერთი რასაც იმოქმედებს, მეორისგან ამევს მრახი;
ორთავეს კი სოფლის ბრუნვით გათხრილი აქვს მიწის არხი,
ამ მიზეზით არც ერთს წალმა არ უბრუნავს ბედის ჩარხი.

ვინ შეიმლებს ესდენ კეთილს, თემი ერთხმად რომ აქებდეს?
ანუ ბოროტს რას ჩაიდენს, რომ ერობა ამაგებდეს?
მაგრამ საგანს ღირსეულად კაცი პატივს უნდა სდებდეს,
თვით მაზედვე მტკიცედ დარჩეს, რასაც სხვებზედ ქადაგებდეს.

ზოგი თავის ბედნიერს დღეს ბოროტებას მოანდომებს,
რაგინდ ნიჭით სავსე იყოს, სხვა რაზედმე არ იშრომებს;
თვის სიმდიდრის მოსაპოვნად იბრძვის, ხმარობს ყოველს ზომებს,
დღე იტანჯვის, ვერ ისვენებს, ღამით შფოთავს, მილს იკრთომებს.

მე კაცი ვარ უსწავლელი, უჩინარი, შესაბრალი,
ვიკისრე და ხელთ ავიღე აწ საგანი ზნემაღალი,
მას შევსწირე ჩემი შრომა, ჩემი ღონე, ჩემი ძალი:
აჰა, მისთვის ხელთ მიჭირავს მე კალამი გაუშრალი!

ვინ მცენარე ბაღისაგან აღმოიღოს, სხვაგან დარგოს,
რომ სიცხისგან არა დაჭკნდეს, წყალი ხშირად უნდა არგოს,
მავნებელთა ბალახთაგან გამოსწმინდოს, გამობარგოს,
მაშინ შრომა მებაღისა ფუჭად აღარ დაიკარგოს.

ყოველნი არსნი ჰმორჩილებენ ბუნებასა უსაზღვროსა,
მისის წესის წინააღმდეგ ვერვინ ჰკადრებს უკადროსა;
ზოგჯერ შავად, ზოგჯერ თეთრად ეცვლებიან დრონი დროსა,
ერთს მოჰკლავს და მეორეს ჰშობს, ეს წესი აქვს საწუთროსა.

როს სიკვდილი მუქარებით თავს დამესხას, გამომსრისოს
და დიდებულს ქვეყანასა განმაშოროს, განმათვისოს,
მას ვუტოვებ მცირე ნაშრომს, გასართობს და სახალისოს,
მწარეს ნურვინ ჩამომმახებს, თუ რომ ტკბილი არ მაღირსოს...





# შალვასაგან თამარის შეხვედრა
## პირველი

მცხეთის მახლობლად, ღართისკარს, კოშკი დგას ათასწლეული,
მთასა დაბალსა ამაყად გადმოსცქერს, თავმონგრეული,
მას ბებრისციხედ უხმობენ, ერთობ მველია, ხნეული.
აღმოსავლეთით ჩაუქრის არაგვი გიჟმაჟეული.

კოშკის მირ ცეცხლთან თბებოდნენ შორიდგან მოგზაურები,
ცხენები ჰყავდათ ნასუქი, ბაჩა და ბედაურები;
მწვანეზედ ჰქონდათ გაშლილი სუფრა, ზედ ეწყო პურები,
ნადიმობდნენ და ილხენდნენ მარხულნი, მონაწყურები.

და იმათ შორის ერთი ჯდა ჭაბუკი ჰაეროვანი.
ტანსა ემოსა სათბური, ხნით იყო მცირეწლოვანი;
მარჯვენით უჯდა გარსევან, კაცი ზრდილი და მხცოვანი,
მარცხენით — მოუმე მეორე, შავწვერა, ულვაშოვანი.

აქ რომ ჭაბუკი გახსენე, იყო ნაზი და წუნარია,
სიცივეს უფრთხილდებოდა (ჰქროდა მარტისა ქარია),
პურს მიირთმევდა უმადოთ, თითქო მწუხარი არია;
ღვინოც კი ცოტა ჰეოფნიდა, თითოჯერ თითო ცვარია.

სთქვა ჯაბუკმა: „ეგე კოშკი, სჩანს, დღემდის დაცულია,
სიამაყით გადმოგვყურებს, ვითა სახელგანთქმულია.
ნეტავ მამცნო დაწვრილებით ყველა მისი წარსულია,
მეცლად მაზედ შემთხვეული, ქართველთაგან რაც თქმულია".

მას გარსევანმა მიუგო: — ისმინე ჩემგან თხრობილი:
მეფეთა შორის ვახტანგი იყო გმირი და ცნობილი,
ქართლის მგელ-ლომი, სპარსთაგან გურგასლანობით ხმობილი,
ათისა წლისა ტახტზე ჯდა, სკიპტრა-გვირგვინით მკობილი.

ამ დროს მეზობლად გამოჩნდა ბაყათარ სახელოვანი,
გმირი განთქმული, მამაცი, მებრძოლი ხელმძლოვანი.
მან ისარგებლა შემთხვევით, მეფე არ იყო წლოვანი,
მოსტაცა დაი მირანდუხტ, ქართველთ მოჰფინა გლოვანი.

ცოლად დაისვა თავისად მან მისი მოტაცებული,
დროს ემიებდა, უცდიდა ვ ა ხ ტ ა ნ გ ი მირონცხებული,
ოცდახუთი წლის შეიქმნა გოლიათი და ქებული,
ასოვნებით და ძალ-ღონით მტერთაგანც სახელდებული.

ქამიცა დადგა გარდასდის, მეფემ შეჰკრიბა ჯარები,
რისხვით დაეცა ბაყათარს, დღენი დაუდგა მწარები;
ამოჰყლიტა და ადინა მის ლაშქარს სისხლის ღვარები,
ცოცხლებს ცოლები დასტაცა, მარტოდ დააგდო ქმარები.

დაი ძმას გადაეხვია და დაუკოცნა თვალიო.
მისი შვენების ყვავილი კვლავ იყო დაუმზრალიო,
ძმას სიხარულით გადმოჰყვა უშიში, უფიქრალიო,
თან ორი ვაჟი მოსდევდა და ერთი ტურფა ქალიო.

ბაყათარ-გმირმა შეჰკრიბა ჯარი მისთა და ხაზართა,
გარდმოვლეს მთანი კავკასის ტანჯულთა და შენაზართა,
გზადაგზა სოფლებს არბევდნენ, ცეცხლით ბუგვიდნენ ბაზართა...
ბოლოს შეჩერდა ბაყათარ და დიდი ბრძოლაც გამართა.

სპარსეთში მეფემ გაიგო გარდმოსვლა ბაყათარისა,
ქართლის დარბევა, არაგვზედ დაბანაკება ჯარისა.
ვახტანგ დაბრუნდა სისწრაფით, ვითა გრიგალი ქარისა,
მტერთა დაუდგა პირისპირ, დამცემი შიშის ზარისა.

მან ბაყათარიან ზრდილობით გაჰგზავნა მოციქულია.
შესთვალა: „ჩემი სამეფო დღეს შენგან დარბეულია:
თითოსა თითომ ებრძოლოს, ვისაც ერჩოდეს გულია,
დრო აღარ არის ყოვნისო, ლაშქარი დარაზმულია“.

დასთანხმდა. ბრძოლა დაიწყეს ძველისა ჩვეულებითა,
თითოსა თითო ებრძოდა ფარ-ლასტითა და ხმლებითა:
ზოგჯერ იძლევის ქართველი, ზოგჯერ მტერია კლებითა,
ერთი მოიკვლის, მეორე გავიდის შენაცვლებითა.

ამ დროს გავიდა საზარი, ტაიჭზედ ამხედრებული,
მებრძოლს ითხოვდა, ჰყიოდა მოსისხლედ გამზადებული;
მეფემ წარგზავნა მამაცი ფარსმან, მეომრად ქებული,
და ერთის დაკვრით მოუკლეს სპარსელი, მისი ხლებული.

ვახტანგს უყვარდა სპარსელი, აღივსო მწუხარებითა,
ბაყათარ მაღლად ჰყიოდა თავისის საზარებითა,
მეფესა ბრძოლად იწვევდა ამაყის მუქარებითა,
ვეზირნი გასვლას უშლიდნენ თხოვნითა, მუდარებითა.

მეფე ბრძანებდა: „მწადია პირისპირ შებმა მისიო,
კაცი ჯაბანი ვით იქმნეს ხელმწიფედ სავარგისიო;
თვით ჩემის ხელით ბაყათარ არის სიკვდილის ღირსიო:
ის მიწვევს, მე არ გავიდე, არ არის საკადრისიო!“

მარტო შებრძანდა კარავში და მოიდრიკა ქედია;
ილოცა, ჯვარსა ემთხვია, ადიდა შემოქმედია,
ცოდვის შენდობა ითხოვა, რაცა მას უმოქმედია,
შემდეგ სარდლები შეჰყარა, განაგო ქართლის ბედია:

„ჰხედავთ, ძმებო, ეს საწუთრო ყველასათვის მუხთალია!
მეც, იქნება, მტერმა მომკლას, ოსრად დამრჩეს ფარ-ხმალია,
ხალხი მრჩება უპატრონოდ, ემუქრება მტრის ძალია,
ეპატრონეთ ჩემ მაგიერ, იკისრენით ძმის ვალია!“

შეიკაზმა და ცხენს შეჯდა (მეფე ბრძოლაში ავია),
ხელთ შვილდ-ისარი აიღო და ფარად ვიგრის ტყავია,
მუზარადის ქვეშ ბრწყინავდა ჯავშანმოსილის თავია,
მტერს ბრძოლის ველზედ მიუსტა, საშიში სანახავია.



სწრაფად შესწყვიტეს ბუკთა კვრა, იქით და აქეთ მხარეთა,
თითქო წყლის ჩქერაც დადუმდა, შეიქმნა მოგუბარეთა,
ჯარები, სულგანაბულნი, ფიქრთა მოიცვეს მწარეთა,
ჭვრეტად გარდიქცნენ ყოველნი მათ ორთა მოჩხუბარეთა.

დაუახლოვდნენ ურთიერთს მებრძოლნი შიშის თვალითა,
მეფემ შეურისათანავე შვილდი მოჰზიდა ძალითა,
ისარი სტყორცნა ბაყათარს გულითა შეუბრალითა,
მირს ჩამოაგდო, აჰკუწა, ბოლო მოუღო ხმალითა.

მაშინ საავოდ მოსულთა დღე დაუბნელდათ მზიანი,
დაჰკარგეს გმირი მფარველი, გოლიათი და ჭკვიანი;
დაობლებულნი შეიქმნენ, მოუხდათ დიდი ზიანი,
თავში იცემდნენ, ჰყვიროდა ყველა, უხმო და ხმიანი.

ზარდაცემულნი მეფის წინ დავარდნენ, თაყვანს სცემდიან,
ითხოვდნენ მოტევებასა, დროშებსა მოართმევდიან;
მეფეს უქებდნენ სიმხნესა, ბაყათარს უწუნებდიან...
სჯულსა ქრისტესა ითხოვდნენ, ქართველნი ნათელს სცემდიან.

აღარ ინდომეს სამშობლო, სადგურად ქართლში რჩებოდნენ,
მეფის ნებართვით მთიელნი თბილისში ესახლებოდნენ.
ბოლოს მეფე და მცხოვრებნი ნანობდნენ, მათზედ სწყრებოდნენ:
ქართლი აიკლეს ქურდობით, კვლავ მთებში იპარებოდნენ,—

რა დაასრულა ამბავი მოხუცმა ამა ქვეყნისა,
მეფისა გურგასლანისა, მტერთაგან უძლეველისა,
არა ნახული მის მიერ, გარდმონაცემი ძველისა,
(საამურია მოსმენა ამბისა სასურველისა).

ამა დროს ყურთა მოესმათ, შორით მჟღეროდა მგოსანი,
შეჰხედეს, მათ კერძ მოჰქროდა ჭაბუკი ტაიჭოსანი,
უკან მოსდევდა მსახური, ტანსა ემოსა სოსანი,
ორთავეს წელთა ეკიდათ ისარნი კაპარჭოსანი.

ერმა იყო სახით ბრწყინვალე, მშვენებით ლაზათიანი,
ტანახოვანი, მაღალი, წელწვრილი, ბრტყელმკერდიანი,
ახალი, ნორჩი, ჩაუქი, ნაპერწკლიანი, ფსიანი,
გულლომი, გმირი, მამაცი, თმაშავი, თვალებწყლიანი.

მის ყრმისა მოხდენილობას სრულად ვერ ასწერს კალამი!
მხარს უმშვენებდა მეირფასი, ოქროთ ნაჭედი ალამი,
არ ემჩნევოდა ლაწვებზედ ცრემლების ჩამონალამი,
გაბედვით წარსდგა მგზავრებთან, ზრდილობით მისცა სალამი.

მოუწვეველი სტუმარი, თავისით მობრძანებული,
იქვე გაჩერდა უმრავად, ფიქრებით აღელვებული,
დამხდურის ვაჟის სინაზეს უცქერდა გაშტერებული,
მისის უებრო სიტურფით შეიქმნა გაკვირვებული.

ვითა კაკაბი გაჰნაბოს ჰაერში ქორის ფრენამან,
გაინძრეს—ბრჭყალში ჩაიგდოს, ვერ დაიფაროს ვერამან,
მსგავსად განაბა დამხდური ურცხვად სტუმრისა მზერამან:
სისხლი აემღვრა შიშითა, იმატა მარღვთა მგერამან.

გულში სწუხებოდა სტუმარზედ მოხუცი გარსევანიო,
ის ყურადღებით ამჩნევდა, რასაც ვერ გრძნობდნენ სხვანიო,
მან არ იცოდა, ვერ სცნობდა, ოსი იყო, თუ სვანიო,
ვერ გარდასწყვიტა, რა ექმნა, თუმცა გავიდა ხანიო.

შემდეგ უწყო საუბარი: „მაქვსო რამე საკითხავი:
გსიამოვნებ, შეგვეყარე მოყმე, უცხო სანასავი,
რომ გავიცნოთ ერთმანეთი, ვეჭვ, არ იყოს სამრახავი:
ვისი ბაღის ყვავილი ხარ. გთხოვ გაგვაცნო თქვენი თავი“.

ეს უთხრა და ღვინით სავსე მესთავაზა მას ჭურჭელი.
ჩამოართვა, დაეწაფა, ამოაშრო შიგ სასმელი;
კვლავ გარსევანს დაუბრუნა, გაიწოდა მის კერძ ხელი,
პირმცინარედ უპასუხა: „შალვა მქვიან მე სახელი“.

მსწრაფლ გადმოხტა ცხენიდანა, მონამ უწყო სამსახური:
ჩითის სუფრა გაუშალა, ტარხუნა და სატაცური,
ხურჯინიდგან ამოიღო თუნგით ღვინო მან კახური.
თვით დაბრძანდა სანადიმოდ და დაადგა თავს მსახური.

ნაზსა ჭაბუკსა დამხდურსა სტუმარი უჯდა გვერდითა,
წითელი ტყავის მათარა წელსა ეკიდა ღვედითა,
მოიხსნა, ხელთა ჰშვენოდა ნაკერი ოქრომკედითა,
გაავსო, შესვა, გარდასცა მეზობელს ალავერდითა.

არ შორდებოდა მსახური დარბაისელი, ზრდილიო.
უბრძანა: „ჩემო ივანე, მოგვართვი რამე ტკბილიო;
აბგა შეჰხსენი უნაგირს, შიგა დევს ხმელი ხილიო“.
წავიდა, სძებნა, ვერ ჰპოვა, მასთან დაბრუნდა წბილიო.

რა სცნო დაკარგვა აბგისა, შალვა გაწითლდა წყენითა,
მოიბოდიშა წასვლისთვის ტკბილმოუბარის ენითა.
სთქვა: „დავბრუნდები, წამსავე თქვენთან გავჩნდები ფრენითა!“
ვითა ნასროლი შურდული, მსგავსად განქარდა ცხენითა.

თვით მოგზაურნიც ღართისკარს სიღამით ვეღარ დგებიან,
ქალაქის მხარეს მიმართვენ, გზაზედვე უღამდებიან,
მტკვრის პირას კოშკში მუსათგვერდს შევლიან, ბინავდებიან,
მხიარულს ბუხარს ცეცხლიანს გარშემო მოუსხდებიან.

გარსევან კოშკში მასპინძლობს, სანთელი აანთებინა,
მონები ქვევით ჩაგზავნა, ლოგინი მოაღებინა;
ჭაბუკის მოსასვენებლად საგები დააგებინა;
ფარჩის საბანი გაშალა, ბალიში დაადებინა.

ყრმა ეგე მარტოდ დასტოვეს, სხვანი ჩავიდნენ მწვანესა,
ტაბლა გაშალეს სავახშმოდ, სელები დაიბანესა,
ხის მირას დაწვნენ, ნაბდები ალებეს-ასაბანესა...
მილად გარდიქცნენ ყოველნი, უსულოს დაემგვანესა.



# შალვასაგან თამარის გაცნობა მუხათგვერდის კოშკში

შალვას აბგა მოემია, ღართისკარზედ დარჩენოდა,
მაგრამ ხსოვნა უცნობისა გულსა შინა ჩარჩენოდა,
და მის გამო უნებური სევდა თურმე გაჩენოდა,
დაბრუნებულს იმ ადგილას აღარავინ დახვდენოდა.

რა მგზავრები ვერ იპოვნა, გამოუდგა უკან მდევრად,
მისდევს, ვითა შავარდენი მტრედის გუნდსა მისაწევრად.
დიდ მანძილზედ დაუშორდნენ, გამოვიდნენ კიდეც მტევრად...
იტყვის: „ამათ არ შევყროდი, აჯობებდა ჩემთვის ბევრად!“

მათრახი ჰკრა, გამოფრინდა, ჰყვა მერანი დაუღლელი,
ვეფხს უგვანდა სიჩაუქე, შეამოკლა შარა გრძელი,
მუხათგვერდში მოაწია, ღამე იყო მეტად ბნელი,
სოფელს წარღვნას ემუქროდა, დასწოლოდა მთას ღრუბელი.

შალვას თითქო გულმა უგრძნო, რომ აქ სდგანან მოგზაურნი.
უთხრა მსახურს: „გასინჯეთ ადგილები აქაურნი,
მტკვრის ნაპირზე არ დასტოვო მეტივენი, მენაურნი,
ყველა ნახე, გამოჰკითხე მოსულნი და შინაურნი“.

სულ მცირე ხანში დაბრუნდა მსახური გახარებული
და მოახსენა: „ვიპოვნე მინდორზე მათი კრებული.
არავინ არის იმათგან ფხიზელი და ღვიძებული,
ურმა იმ ციხეში ჰყოლიათ მარტოკა გაჩერებული“.

შალვა, იჭვით შეპყრობილი, ჰღელდებოდა, ვითა მთვრალი,
იტყვის: „მზეა წანაგვარი და ადგია მათგან მალი,
განგებ ვაქებრ შეუმოსავთ, უსაცილოდ არის ქალი...
ვის უნახავს სიტურფითა მისი მსგავსი დედოფალი!“

განიზრახა: არ ასცდება ხვედრისაგან განაჩენი.
მსახურს უთხრა: „მეჭირვება ერთგულება ეხლა შენი:
ხმაურობა რა მოგესმას, მომაშველე უმალ ცხენი“.
თვით წავიდა მისად ნასვად, ვისგანც იყო გულნატკენი.

შავით დაბურულს ღამეში შუქი არ შუქდა მთვარისა,
ახლად მოსული ბალახი იყო ნალამი ცვარისა;
კოშკის კიბეზედ ავიდა, რიდი არ ჰქონდა ჯარისა;
ხელღონიერად მოჰზიდა, გაღება ჰსურდა კარისა.

შიგნიდგან ტკბილი, ნაზი ხმა ჰკითხავდა ვინაობასა,
ციხეში მდგმური არ ეჭვდა მხლებთაგან ღალატობასა;
მისულმა უთხრა სახელი, მისგან ჰფიქრობდა ცნობასა,
კარის გაღებას ითხოვდა, უქადდა მეგობრობასა.

ცივად უთხრა: „რაც ითხოვე, ეგ არ არის შესამლები:
აქ ლოგინი არ მიდგია, არც ცეცხლი მაქვს დასანთები...
ძირს ჩაბრძანდით, დაგიხვდებათ გარსევანი, ჩემი მხლები,
გიმასპინძლებთ, მოგერთმევათ დასაბურაგ-დასაგები“.

შალვამ უთხრა: „თქვენი მხლებნი ველად ვნახე დანაყარნი,
ძილისაგან შეპყრობილნი, უმოძრაოდ, გითა მკვდარნი;
მათმა ნახვამ მომაგონა მექორწინე და მაყარნი,
არც ცეცხლი აქვთ გასათბობი, არც საგები, არც ზეწარნი.

თქვენი ნახვა მესწრაფოდა, მე სხვა საქმე არ მქონია,
წყლის სიდიდეს არ დავრიდე, არც გემიე, სად ფონია,
ცხენი ზვირთმა დამიყვინთა, დამძირა და მარონია,
დავსძელდი და გავიყინე, თუ დავრჩები, არ მგონია“.

ქალმა უთხრა: „თუ იცოდით, რომ ღრმა იყო ეგზომ წყალი,
რად მიენდეთ, რად ჩახვედით, ვისი გადგათ, მიკვირს, მალი!
რა ვქნა, კარებს ვერ გაგიღებთ, ცეცხლი კი მაქვს გაუმქრალი:
თუ დაინთებთ, მოგაწოდებთ, გამომართვით მუგუზალი“.

ქალს სტუმარი შეეცოდა, მოემზადა მისაშველად;
სურდა შუქი გაექრო და ჰქონებოდა სახლი ბნელად,
ჰერანგიითა შემოსილი ზე წარმოსდგა ჩაუცმელად
და გულ-მკერდზე დაეყარა ნაწნავები თმების გრძელად.

კართან ახლო ქვის კედელი იყო თურმე განასვრეტი.
შალვამ ჰპოვა ჯუჯრუტანა კოშკსა შიგან შესაჭვრეტი:
შეიხედა, დაინახა, მოუვიდა თავსა რეტი...
ქალი ადგა, ცეცხლი მისცა, გამოაძრო კარსა კეტი.

ყრმა სურვილითა აჩქარდა, აღეგზნო სახე მზიანი,
მადლობას ამბობს ცეცხლისთვის, მცირედ გულიმედიანი,
ქალი უგრძნობლად გაბრუნდა, კარები დარჩნენ ღიანი...
შალვა შევიდა, გაგდება იმისი იყო გვიანი!

ქალი შიშითა ჰყრობილი გიჟივით ეფეთებოდა,
საკვდავად თავგანწირული კედლებზედ ესეთქებოდა,
შალვას ჰუვედრიდა, მრახვიდა, იწყევლებოდა, სწყრებოდა,
ხან ნებით სთხოვდა გასვლასა, ხან ძალით ემუქრებოდა.

„ცეცხლი მთხოვე დასანთებად, გითავაზე, შეგიბრალე,
ჩემი ქველის მოყვარება შენ კი ასე მიითვალე!
კეთილის წილ ბოროტს მიყოფ, ჩემად სამტროდ მოიცალე...
სანამ სხვები გაიგებდნენ, განმეშორე, განმეცალე!

მუხთლობით და ცბიერებით ხარ ამ კარში შემოსული,
სუსტი ქალი ხელთა გუავარ, უსუსური ჯაჭვით კრული:
ნუ შემარცხვენ, ნუ დამღუპავ, დასთმე შენი განზრასული,
თორემ მწირად დაგიჯდება შენ სიცოცხლის დასასრული!

თუ ნამდვილი ქართველი ხარ და გაქვს წმინდა სინიდისი,
საზიზღრობად უნდა გიჩნდეს, რაც არ არის საკადრისი,
შენ კი საქმე ჩაიდინე შეუფერი, უვარგისი...
სიყალბეს და ცბიერებას ხმარობს კაცი არაღირსი!

გაიხსენე ჩემს ადგილას, დედა თუ გყავს, ანუ დები,
ჩემებრ მარტოდ, უპატრონოდ ამ ქვითკირში დანაგდები,
თავზე მტერი რომ დაესხას, ამომჟლეტი, ამომგდები,
კაცი თუ ხარ, ვერ მოითმენ: ან მოჰკლავ, ან შეაკვდები!“

შალვამ უთხრა: „შემცოდე ვარ, მაპატიე, რაც გაწყინე!
უნებურად შემოვედი, გამოგცადე, შეგაშინე,
მე ხომ სამტროდ არ მოვსულვარ, ვწუხვარ, ცრემლი დაგადინე:
მტერი თუ გყავს, ნუ დამზოგავ, შემაკალი, მომაკვდინე!

ვისი მზე ხარ, რომ შევიტყო, ვარ ამისი მონატრული,
ფიცით გეტყვი, მე სხვა აზრი არა მქონდეს შენზე მტრული:
მეტი სიტყვა თუ წამომცდეს, უადგილო, უმეცრული,
ჩემის ხანჯლით ამოიღე ეს ბოროტი ჩემი გული.

მე შენს გამო იჭვით სავსე ვიტანჯები მეტისმეტად:
ქალი ვაჟურ შემოსილხარ, არვის ღირს ჰყოფ შენად ჭვრეტად.
გთხოვ, გამაცნო შენი თავი ჩემი ცრემლის შესაწყვეტად!
ვფიცავ, შენთვის მე სიცოცხლე არ დავზოგო გასამეტად.

მოყვარე ვარ საიმედო, გეფიცები მაღალ გრძნობას:
მე დავიცავ სიკვდილამდის შენს უმანკო მეგობრობას.
რაც შენშია დაფარული, შენგან ვითხოვ ამის ცნობას,
ჩემზედ იჭვი განიქარვე, მომენდევი, გიზამ ძმობას!“

ქალმა უთხრა: „აქამომდე მე არ მქონდა შენი ნდობა,
ეხლა დიდად მიხარიან შენი შეყრა და გაცნობა;
აწ ყოველი საიდუმლო ჩემგან ძმურებ მოგენდობა:
რაც კი ვიცი, არ დავფარავ, რაც არ ვიცი, შემენდობა.

არის ვინმე ერისთავი, ერთის კუთხის მმართებელი,
აქვს რაჭაში მოსახლობა, ხალხის არის გამგებელი!
იგი გახლდათ ჩემი ლალა, დამხურავი, დამგებელი,
შვილად თვისად მიწოდებდა, არ ვიცოდი სხვა მშობელი.

ჰქონდა ჩემზედ დიდი ზრუნვა, მინახავდა სიყვარულით,
ვიზრდებოდი ფუფუნებით, შექცევით და სიხარულით:
ვიმღეროდი, ვთამაშობდი, მემხაროდა ყველა გულით,
მხოლოდ მაკლდა სითბო მშობლის, ვიტანჯოდი ამად სულით.



რა შევიქენ ცხრისა წლისა, მონასტერში მიმაბარეს,
მონაზვნებმა სასოებით მიმიღეს და შემიფარეს,
სიტკბოებით მიალერსეს, გამახარეს, გაიხარეს,
შემაჩვიეს სალმრთო სწავლას, წიგნის კითხვა შემაყვარეს.

ამ ცხოვრებით მეთექვსმეტე შემისრულდა ესლა წელი,
ჩემის გვარის თაობაზედ ჯერეცა ვარ უცოდნელი.
სასახლეში წამიყვანეს, გიბარებსო მმართებელი,
მეტისმეტად გავიხარე, რა ვიხილე მე გამზრდელი.

მითხრა: „შვილო, არ გეწყინოს უნებლიეთ ჩემგან თქმანი,
ერთმანეთის დაშორების აწ დაგვიდგა ჰაემანი:
ვინ გადავა მეფის სიტყვას? მომივიდნენ მისნი ყმანი:
ქართლში გიხმობს, იქ გიბარებს მისი დაი — რუსუდანი".

ამ სიტყვებს როცა ამბობდნენ, გამზრდელნი მეფერებოდნენ,
სიყვარულით და ტირილით მკოცნიდნენ, მესალმებოდნენ,
ჩემი კეთილის მყოფელნი მშობლურად მაგონდებოდნენ,
მით გული მიჩვილდებოდა, თვალები მეცრემლებოდნენ.

ვფიქრობდი: უნდა დავტოვო გამზრდელი ჩემი ტკბილია!..
მე მთელი ღამე ვიშფოთე, არ მომივიდა ძილია,
დილას ვაჟურად ჩამაცვეს ტანზედ სამოსი თბილია,
ბაჩაზედ შემსვეს, დამარქვეს იმ დღეს სახელად ილია.

— განვშორდი, რასაც გიყავი მე სიერმიდანვე ჩვეული
და მოგზაურთა უცნობთა გამოვყევ, ვითა წვეული;
აწ რუსუდანი მიმელის, ქართლში დედოფლად რჩეული,
იქ ბედი მიცდის, არ ვიცი, თუ უბედობა წყეული!"

შალვამ უთხრა: „შთავარდნილხარ ფათერაკში ტურფა ქალი,
კოშკში მყოფი მოგიპოვე მცველთაგანა დანამალი,
გარდავსწყვიტე, აღარ მინდა ჩემი თავი მე ცოცხალი:
ან დაგიხსნი ტყვეობიდან, ან დამრჩება ოსრად ხმალი!"

ქალმა უთხრა: „დიდად გმადლობ, მჯერა შენი დანაპირი,
ჩემ საშველად ემზადები, ხარ სიცოცხლით განაწირი,
სჯობს, იცოცხლო, მისთვის დარჩე, ვისიცა გაქვს ხსოვნა სშირი,
საბრალოა, რომ დააგდო გულმდუღარი, ანატირი...

მინდა რასმე დაგეკითხო, მაგრამ მომდის მე სიცილი...
წელან გსურდა, გეთავაზა მგზავრებისთვის სმელი ხილი,
აბგა სულმე დაგკარგოდა, აღარ ერგო მცირე წილი,
წყენამ ფერი შეგიცვალა, შემოგწამეს იმათ ცილი...

პურად მხედრომნი მიგვატოვე და წასვლეი ჩვენგან ოდეს,
ჩემი მხლები თვითეული ერთხმად იმას ღაღადობდეს,
ვითომ წიგნი საყვარლისა აბგიანა დაგკარგოდეს,
და მის გამო მწუხარებით სახის ფერი წაგრთმეოდეს!..“

შალვამ უთხრა: „ამ შეკითხვით დავიტანჯე, ჰშფოთავს სული:
გუშინდლამდის მე სასმილი არ მქონია ანთებული;
არც მყოლია საყვარელი, არც ვიცოდი სიყვარული...
ნეტავ ეხლაც არა ფეთქდეს უიმედოდ ჩემი გული!

აბგა დამრჩა, მომაგონდა, წაველ მისდა სამებარად,
თვით მედუქნეს მოემია, შეენასა ღარიბკარად,
დამასწვედრა, დავუტოვე ორი დრაჰმა საჩუქარად,
აწ შევიმრე შენის შეყრით მონაღენი ცრემლი ღვარად“.

ამ დროს აბგა ამოიღო ოქრომკედით მონაქარგი;
თამარს უთხრა: „მოდი, ნახე, გარდასჩხრიკე ჩემი ბარგი:
როს გაიგებ, გაიკვირვებ, მე რაც მქონდა დანაკარგი...
კოშკი ბაღად გამიშენე, ვარდი მირწყე, ია დარგი!..

მინდა ჩემის ისტორიის წაგიკითხო აწ რვეული,
ის, რომელიც აბგაში მაქვს მე სიფრთხილით გასვეული...
(ჭაბუკს შუქი უნათებდა კეკლუცთაგან მთვარეული,
ბაგე ლალსა იწუნებდა, ლაწვი ჰქონდა მოწეული).

აწ რასაცა შენ მოგანდობ, შეიფარე გულთან ახლო,
არვის უთხრა ხორციელსა, ან საეროდ არ დასმახო;
კლიტეს გამლევ სიცოცხლისას, გმართებს ფარულ შემინახო,
სიტყვა მომეც, არ გამწირო და უდროვოდ არ დამმარხო“.

თამარმა სთქვა: „ეგ პირობა მიმიღია მე ჩემს თავზედ,
ჩემგან იჭვი ნუ გექნება საიდუმლოს შენახვაზედ;
თუ იშიშვი, რომ გიმუხთლებ და შენ გაგცვლი ვინმე სხვაზედ,
გევედრები, ნუ დამისწრებ მე რვეულის წაკითხვაზედ“.

შალვამ უთხრა: „რაც აღმითქვი, აღმისრულებ, მაქვს იმედი,
ჯერ ბუხარი გამინათე, აქ დაბრძანდი მერმე გვერდით“.
გახსნა, რვეულს მოაგლიჯა ყაითანი და ბეჭედი,
ყდაი ჰქონდა ვერცხლისაგან, მოოქრული, მონაჭედი.

„გთხოვ, თამარო, ყურადღებით მომისმინო საუბარი,
ვისგანც არის ეს ანდერძი, მსურს გაცნობო მისი გვარი:
მყვანდა პეტრე ერთგულაძე, მონა დიდად საქებარი,
მე იმისი გაზრდილი ვარ, ჩემის ძიძის იყო ქმარი“.





## შალვასაგან ერთგულამის ანდერმის წაკითხვა თამარის წინაშე მუხათგვერდის კოშკში

„რაც სოფელმა მე მარგუნა, ვერ მიზამდა ვერა მტერი:
მან დამბადა, მანვე ბოლოს მომაქცია, ვითა მტვერი,
არ დამინდო, მიღალატა, მიწას შემრთო მიწიერი!
ეს ამბავი, როგორც ღმერთი, ისე არის დასაჯერი.

იყო ქართლში ერისთავი, წოდებული ელიზბარად,
რა ნახვიდი, გაიცნობდი, ვერ დასთმობდი გასაყარად;
მე იმისი მონა ვიყავ, თანა ვახლდი გაუმცდარად,
არა ერთგზის დამიღვრია მის მაგიერ სისხლი ღვარად.

მოიწიფა, შეუსრულდა ოცდაათი რიცხვით წელი,
ტანით იყო ახოვანი, ღონიერი და ჯანმრთელი,
ამ დროს შალვა დაებადა, იქმნა მისი საწადელი;
მის წილ თურმე ელოდება საშიშარი განსაცდელი.

მაშინ მეფობდა თამარი, დიდებული და ქებული,
მას მსახურობდა ელიზბარ, მარადის თავდადებული;
მეფემ გაგზავნა სპარსეთში, საქმე ქმნა დაბარებული.
დაბრუნდა, ცოლი დაუხვდა საფლავად მიბარებული.

ცოლს მწუხარებით იგლოვდა, იტანჯებოდა, ბნდებოდა,
დედოფალს დიდად სწყენოდა, რადგანაც ებრალებოდა;
ამ დროს ქართლიდან ჯარები ხორასანს იგზავნებოდა,
განგებ ელიზბარს მიანდო, რომ სევდა გაჰქარვებოდა.

რა მიიღო ეს ბრძანება, მყის წავიდა ელიზბარი,
ველისციხეს დაბინავდა, მოაწვია კახით ჯარი.
იქ გაიცნო ელისაბედ, ქრივი მზისა დასადარი,
აზნაურთა გვარეული და თავადის ნაცოლარი.

ციმციმებდა ვარსკვლავივით, ღუღუნებდა, ვითარ მტრედი,
მისმა სილვამ ელიზბარში განაღვიძა კვლავ იმედი;
ქვრივს სურვილი განუცხადა, შეიწია შემოქმედი;
ნება დართო, დაინიშნა, წინდად უძღვნა მას ბეჭედი.

კვლავ მიართვა მის დანიშნულს ერთი ხელი დიბა-ფარჩა,
ფასეულების მარგალიტის გარდაჰკიდა ყელს ამბარჩა,
თვით კი ჯარით ხორასნისკენ გაემგზავრა, აღარ დარჩა,
თუმცა გაურამ დაანაღვლა და ცოცხალი მლივსღა დარჩა.

მე შალვასთან დაცამტოვა, არ მიასლა, დამარჩინა;
გარდავსახლდი ველისციხეს, გავიშენე ჩემთვის ბინა;
ერისთავის დანიშნული ახლოს მედგა, კართა წინა.
ერთხელ გერი არ უნახავს, მიკვირს, რაგვარ დაითმინა!

ვსცან ბატონის დაბრუნება, წაველ ქალაქს, შევეყარე,
მივულოცე მობრძანება, ფეხებამდის დავეხარე:
შალვა მკითხა, მერე მისი დანიშნული სატრფო—მთვარე,
მე მშვიდობა მოვახსენე, ვაამე და გავახარე.

მესამეს დღეს დილით ადრე წამობრძანდა იგი კახში,
დღე და ღამე იურებოდა, ჩამოვედით ჩემს ოჯახში.
სასურველი მისი შალვა მოტიტინე ნახა ბაღში,
აიყვანა, მკერდს ჩაიკრა, იქვე ჩაჯდა კოინდარში.

მე მაშინვე მოყვარესთან მახარობლად გამაგზავნა,
სიმამრთან და საცოლესთან საჩუქრები წამატანა.
წაველ, ვნახე სასიმამრო, გარდავეცი, რაც მიბრძანა;
შევატყე, რომ არ იამა, მისვლა დიდად დამენანა.

თითქო არა შევიმჩნიე, განვაგრძელე საუბარი,
ვუთხარ: „პასუხს ელოდება, ჩემს სახლშია ჩამომხტარი,
ესწრაფება თქვენსა ნახვას, დაღლილია, ნაომარი“.
კვლავ მივართვი სასიძოდგან მონაგზავნი საჩუქარი.

მოცდა მითხრა, თვით წავიდა, გამოაღო მან ჭიშკარი:
ბაღი იყო, შიგ შევიდა, ანათებდა იქ ლამპარი:
ბაღიდგანა მოდიოდა ხმაურობა და ხარხარი:
თურმე ჰყავდა მოწვეული დიდებული სხვა სტუმარი.

რა დაბრუნდა, დამაბარა: „მე ვულოცავ მობრძანებას,
ჩემი ქალიც სიხარულით უთვლის საქმროს თაყვანებას;
ამაღამ კი უძლებობით ვეღარ აძლევს მოსვლის ნებას,
ხვალე დილით გვინახულოს, ნუ დააცდის გათენებას“.

გავწყერი და გამოვბრუნდი, არ ვუსმინე სიტყვა სხვა მას,
ჩქარის ბიჯით წამოვედი, მასთან გავჩნდი მე ერთ წამს,
რაც სიმამრმა დამაბარა, მოვახსენე შალვას მამას,
სხვაცა ჩემგან დანახული ზე დავურთე კვალად ამას.

მოვახსენე, ბაღს და ეზოს ვით ლამპარნი ანათებენ,
მეფის შვილიც სტუმრად ჰყავანან, მას ეტრფიან, თქვენ კი გმობენ,
იოანე არღუთაშვილს შეაქცევენ, გაართობენ,
იმღერიან, თამაშობენ, იცინიან, კამათობენ.

რა გაიგო ელიზბარმა, შეიცვალა მთელი სახით;
სთქვა: „სოფელმა შური მიგო, დამამარცხა ვნების მახით,
ის სიცოცხლე რაღად ვარგა, რომ ვიტანჯო სულთქმა-ახით,
მიჯობს მოვკვდე მე სახელით, ვიდრე დავრჩე კიცხვა-მრახვით“.

წამს დადუმდა ფიქრმოცული, იწყო ოხვრა მესაზარეთ,
მერე შალვა მოითხოვა, აკვნიანა გამოვგვარეთ,
გაღვიძების შეგვეშინდა, თვალთ საფარი მოვაფარეთ,
ზე ახადა, ჩაეკონა, დასტიროდა თავზე მწარედ.

ბავშმა ტუჩის ცმაცურობით განაგრძელა ისევ ძილი,
მამა ცრემლად იღვრებოდა, ჩასცქეროდა თავდახრილი.
ბოლოს თითქოს დაეთხოვა, ამბორება უყო ტკბილი
და თავისის ანდერძითა ჩაგვაბარა ესრეთ შვილი.

გვიბრძანა: „თუ დავისაჯე სატანჯველით უარესით,
ჩემს პატარას თქვენ გიტოვებთ საზარელის გულის კვნესით...
თუ ცოცხალი ვერ დავბრუნდე, ვეპირები ეხლა მე სით,
არ შეცვალოთ ეს ანდერძი, იმოქმედეთ ამა წესით:

გიბრძანებ, რომ დილით ადრე ჯალაბითურთ აიყაროთ,
არ აცნობოთ სულიერსა, საიდუმლოდ გაიპაროთ;
შალვა ფრთხილად წაიყვანოთ, მავნეთაგან დაიფაროთ,
ახალციხელ ეფრემ მღვდელსა ეხიზნოთ და შეეფაროთ.

მას წერილით მივუწერე, რისიც ვიყავ მე მთხოველი,
რაც შემემთხვა, მას პირდაპირ განუცხადეთ თქვენც ყოველი:
კვლავ სიცოცხლეს აღარ ვფიქრობ, დაბრუნებას არ მოველი,
სამუდამოდ გეთხოვებით გულმოწყლული, თვალსოველი...

ერთად ჩემის ქონებითა თქვენ გაბარებთ ჩემსა შალვას,
არიდებდეთ ზამთრის ყინვას და ზაფხულის ცხელსა ხალვას;
სანამ წლისა ოცდაორის შეიქმნების, ჰყოფდეთ კრძალვას;
მაშინ ჩემზედ შემთხვეული განუცხადეთ, ნუ იქმთ მალვას".

ესე გვითხრა და წამოდგა, მუხლები ეკეცებოდა,
ხმალი მივართვი, ვხედავდი: ლაწვები უწითლდებოდა,
თვალთაგან ცრემლსა აფრქვევდა, ბაგენი უთეთრდებოდა,
გამწყრალი მიიჩქაროდა, თავის ბედს ურისხდებოდა.

მარტო წაბრძანდა ამ ყოფით, მე თან არ გამიყოლია,
არცა სხვა ვინმე იახლა ამხანაგი და ტოლია.
მწარედ სტიროდა მარინე, იდგა მუნ ანათრთოლია,
თანამიგრძნობდა მე ჭირში ჩემი საბრალო ცოლია.

თავლაში შეველ, ორ ცხენსა შევადგი უნაგირები,
ხმალი ავიღე, მოვირტყი, გავლესე ხანჯლის პირები,
კაბა გარდვიცვი, შევიხკვენ მე წელზედ მოსაჭირები,
ბატონის კვალსა შევუდექ საკვდავად განაპირები.

ცოლს ვუთხარი, ბატონისგან ბრძანებული არ შესცვალოს,
შალვას აკვან-საგებელი ჩემს ივანეს შეუცვალოს;
თუ საჭიროდ დაინახოს, ქმარი ამით დამავალოს:
თვით სიცოცხლე შვილის ჩემის შალვას მსხვერპლად ანაცვალოს.

დავარიგე და დავტოვე, საცოდავს რაცა სჭიროდა,
გამოვეთხოვე, წამოველ, თვალი მადევნა, სტიროდა;
ხეს ავეფარე იდუმალ, სიჩუმე იქა მჭიროდა;
ხმა შემომესმა ბაღიდგან, ბატონი ჩემი ჰყვიროდა.

ამ დროს ლაშა, მეფის შვილი, ჰგიედებოდა ტრფიალებით,
ელიზბარის დანიშნული შეაქცევდა მისი ნებით:
ნარდი ედგათ, თამაშობდნენ ჰაწაწინა კამათლებით;
ამ შემთხვევას მე ფარულად ვუყურებდი გულდაკლებით.

მათ ახლოს ეკლის ბუჩქებში იყო გაშლილი ვარდიო,
მოსწყვიტა ლაშა-გიორგიმ, რა გაათავა ნარდიო,
უბრძანა ელისაბედსა: „ამისი ყნოსვით დავდნიო,
თუმცა შენს სიტურფესთანა არის ცრუ შესაფარდიო!

ამო და ტკბილი სურნელი ყვავილში მშვენიერია,
მას ემებს მეფე მეფეთა, ერმა, მოსუცი და ბერია,
ვხედავ, შენ გიბოძებია მისთვის სხივი და ფერია,
სჩანს, კაცი ბუნებაზედა ხელობით ნიჭიერია!“

ქალს აღუმრა სიხარული მემკვიდრისა ესდენ ქებამ,
გრძნობები და სურვილები აუშალა ნეტარებამ;
მარლვთა ცემა აუჩქარა კაცობრივის ცოდვის ვნებამ,
მაგრამ ბოლოს გონს მოეგო, ისევ სძლია მოთმინებამ.

უპასუხა: „ვერ მივმხვდარვარ თქვენს ჩემდამო მოსაზრებას:
ვით მადარებთ სიტურფითა ყვავილების ფეროვნებას,
რად მამსგავსეთ სურნელებით მე ვარდისა გემოვნებას?
ნუ მიბრძანებთ, ვითომ ვსჯობდე მე ბუნების ხელოვნებას...“

ამა დროს მათ წინ წარმოსდგა მრისხანედ ელიზბარია...
ელისაბედმა შეჰხედა, თავსა დაეცა ზარია:
ადგა, გაჰარვა უნდოდა, ნაბიჯი წადგა წუნარია,
გზა გარდუღობა საქმრომან, გაშეშდა, ვითა მკვდარია.

უსულოდ დარჩა ადგილზე, ველარ ბედვიდა წარებას;
შესძახა: „ნუთუ შენ ჰხუმრობ ჩემისა ბეჭდის ტარებას,
ნუთუ შენ ეთამაშები ჩემს სახელს, თავმოუყვარებას,
მის გამო არც კი თაკილობ ნამუსის გააშკარებას?!

მონამ მომითხრა ამბავი მე ცუდი გასაგებარე.
შემოგეთვალა, შენა სარ ამჟამად სენით მდებარე;
ვხედავ, მკურნალად გეოლია ჩემ წილ მოტრფე და მქებარე...
რათ მომიკიდე, როსკიპო, ცეცხლი უშრეტი, მგზნებარე!“

მათ შორის გაჩნდა მოსარჩლედ მოხუცი, ლაშას ხლებული:
ივანე, გვარად მხარგძელი, თავადად პატივდებული,
კაცი მდაბალი, ბოროტი და სულით დამცირებული,
მომულე ჩემის ბატონის, მოსისხლედ დამტერებული.

ელიზბარს უთხრა სიტყვები გულისა დასაწვავიო:
„რა ნახე ელისაბედში საყვედრი, საკიცხავიო?
სავსეა პატიოსნებით, ჯერ ჭუჭყის უნახავიო...
რაზე გაგევსო შხამითა ენა, გული და თავიო?“

მაშინ თვით ლაშამ უბრძანა: „მე ცუდი არა მდომია:
სტუმრად მოველი, მასპინძლად დამისვდა ქვეშევრდომია;
ვნარდობდი, შევექცეოდი ელისაბედთან მჯდომია...
რა ნახე აქა აუგი, თუ ჰკუას არ შეგცდომია!“

მან მოახსენა მემკვიდრეს: „გმორჩილებს ქართლის ერიო:
ვისაც ეწვევი, ის სახლი იქნება ბედნიერიო;
მაგრამ შეგფერით დაიცვათ სახელი წესიერიო,
რომ ოჯახს თქვენის სტუმრობით არ დაეყაროს მტვერიო....

ივანეს, თქვენსა ვეზირსა, აქვს ამის შეცადინება,
რომ მისგან ყოველს სახლობას შეხვდეს მრასი და გინება:
სხვების შერცხვენით ნეტარებს და გულით მოელხინება,
უხნეო ლაშია, ვინც მისი რჩევის მოსმენა ინება.

რაოდენ ყოვლის ღირსებით მისი მმა საქებარია,
იმოდენ სულის სიმდაბლით ეგ ყოვლად საზიზღარია:
ტახტის ერთგულთა მოშურნე თქვენს წინა მაბეზღარია,
ამ აზრით ჰსურის, თვით გახდეს მმის შემდეგ სპასალარია“.

ლაშამ უბრძანა ელიზბარს პასუხი მრისხანებითა:
„ვხედავ, სარგებლობ შენ ჩემის ესოდენ მოთმინებითა,
ენა მოსწამლე გესლითა და გული მანქანებითა...
წადი, ნუ ჰებედობ აქათ, გამშორდი შენის ნებითა!“

მან მოახსენა: „მოვსულვარ ნამუსის დასაცველადო,
ჩემის უმლურის საცოლის საწამლოდ, საკურნელადო,
ვის რა ნება აქვს, გამაგდოს ჩემი სახლიდან ველადო?
თუ სიკვდილია, შევხვდები არ მტრების საკიცხველადო!

ელისაბედი ჩემია, მეკუთვნის დანიშნულებით,
წინათ მიიღო ბეჭედი, ატარებს მხიარულებით;
შემდეგ მან ჩემი სახელიც უნდა ატაროს სრულებით, —
ვინ გამიბედავს, გამყაროს ან ნებით, ან იძულებით?"

ლაშამ უბრძანა ელიზბარს: „ვსცან შენი ანგარიშიო;
რომ არ დაჰკარგო ნაწინდი, გაქვს თურმე ამის შიშიო!"
ქალსა დაუდვა თათბირი: თავსა რად იგდებ ჭირშიო,
ნუ გინდა მისი ბეჭედი, მასვე ახალე ცხვირშიო...

აჰა, მეორეც შენ გქონდეს ზედმეტი საჩუქარია!"
წაიძრო თითზედ ლაქვარდი, ოქროს ბუდეში მჯდარია,
გულზედ მიარტყა ერისთავს ეგ „ტკბილი" საბოძვარია,
სისხლი მოაწვა, ათრთოლდა საბრალო ელიზბარია.

ივანე არღუთაშვილი თვალთა წინ ესირებოდა.
შემთხვევით გახარებული, კმაყოფილებით სტკბებოდა,
დასწვდა, ბეჭედი აიღო, ცბიერად ეღიმებოდა,
აწვდიდა: „ჯილდო არისო!" — მიცემას ეპირებოდა.

ეუბნება: „დანიშნულმა დაგიბრუნა უკან შარნა!"
ელიზბარი მისმა სიტყვამ გააშფოთა, გაამწარნა.
შეუძახა: „სულმდაბალო, ეგზომ რამან გაგახარნა!"
ხელი დაჰკრა ხელსა ზედა და ბეჭდები გარდუყარნა.

უთხრა: „წადი, განმერიდე, ენა-ჭრელო, საზიზღარო,
ვარამით და გესლით სავსევ, ძმობმეთაგან საკიცხარო,
კეთილისა არამუშავ, ბოროტისა წინამძღვარო.
მეუდროება დამირღვიე, დამადინე სისხლის წყარო!"

გარს სასმილი შემოენთო, იდაგვოდა ცეცხლის ალით;
განიზრახა, რომ ივანე აეკუწა იქვე ხმალით,
მაგრამ ისევ მოთმინება მოიკრიბა დიდის ძალით,
ლაშას ისევ მოახსენა მან სიტყვებით შესაბრალით:

„აწ დაგაფიცებ, მემკვიდრევ, თამარსა დიდსა მეფასა,
გაფიცებ ტახტსა, გვირგვინსა და დიდებულსა სეფასა,
დამიფარე და მაშორე ფუჭად სისხლისა ჩქეფასა,
ნუ გაახარებ ჩემზედ მტრებს, ნუ გამიტეხავ კეფასა!

რად უმართლებ არღუთაშვილს შესაზიზღარს მოსურნებას?
არ შეგფერს და ნურც ასრულებ დღეს იმისა გულის ნებას!
თუ მომისმენ და ინებებ ამ სახლიდგან წაბრძანებას,
სისხლის დაღვრით დაგიმტკიცებ ტახტისადმი ერთგულებას...“

მეფის შვილი ირყევოდა, მოარბილა მუდარებამ,
კეთილს ბინა დაუთმო და ველარ სძლია გარყვნილებამ:
წასასვლელად მოემზადა, შეარცხვინა ეგზომ გრძნობამ,
მაგრამ ისევ დააბრუნა ცუდმა რჩევამ, თაითბირობამ.

ივანემა სთქვა: „მიჯობდა, მომკვდარვიყავი წინასა.
აწ ამას არ შევსწრებოდი ჩემისა მტრების ჟინასა;
მის სამეფოში მემკვიდრეს აღარ აძლევენ ბინასა,
სხვისის სახლიდგან აგდებენ, თავ-პირში სცემენ რკინასა!“

რა ესმა ესე მემკვიდრეს, გაფიცხდა დაწუნარებული,
ივანეს წაქეზებით და სიბავშვით აჩქარებული;
ვერ დაითმინა, მიუხტა გამწყრალი, გაჯავრებული,
ლანძღვა დაუწყო ელიზბარს სასტიკი, გაცხარებული.

შეჰყვირა: „მხეცო, აწ ჩემგან სიცოცხლეს ნუღარ ელიო;“
უბრძანა თვისთა მხლებელთა: „მიდით და სტაცეთ ხელიო;
თრევით გააგდეთ აქედგან ეგ ფლიდი, სამაგელიო!“
ივანე დასტკბა, აღსრულდა იმისი საწადელიო.

ელიზბარს ფერი ეცვალა, ნაბიჯი წარსდგა წუნარადა,
ერთის ხის მირას მივიდა ის ზურგის შესაფარადა;
სიმწრისა ოფლი დაასხა თავით ფეხამდის ცვარადა;
იშიშვლა ხმალი ქებული მტრებზედა მოსახმარადა.

მიიჭრა ლაშა-გიორგი, უბრძანა ხმლისა ჩაგება,
შეჰყვირა: „ვის წინ გაბედე სამტროდ მახვილის აღება?
დააგდე, თორემ გეწევა ჩემგან სიცოცხლის წაგება...“
დავით სოსლანის ფიცითა უყო სიკვდილის ქადება.



ველში ემგერა ურიდლად ლაშა ხელითა ცალითა,
სიდგანა მისი გაგდება ჰსურდა გულითა მწყრალითა.
შესტაცა ხელი, წაართო ვეფხებრ ქცევითა მალითა,
წაუჯიკავა გაბედვით, შორს გადააგდო მალითა.

მაშინ მხარგძელი ჩაუდგა მათ შუა მოჩხუბარეთო,
ლაშას ეტყოდა: „სიბრძნე გაქვთ, გონება მოისმარეთო:
მხეცთან ჭიდაობთ, არ იცით, ვის თავი შეადარეთო,
მის მოსარევნად მსახურნი საკმაოდ გვყავსან გარეთო!"

ყმებს უბრძანა: „მისცვივდით და იქა მდგომი შეიპყარით,
უკანიდგან მოუარეთ, რომ არ გავნოთ ხმალ-აბჯარით,
იარაღი ჩამოართვით, ჯაჭვით ხეზე მიაკარით!"
ხმალნაშიშვლი ელიზბარი იდგა გულით უშიშარით.

არღუთაშვილსა ხელი ჰკრა, ხმალი არ გაასვრევინა,
ზედ დაატაკა მემკვიდრეს და უკან დაახევინა,
მონების მოსაგერებლად ადგილი დააცლევინა...
ლაშა მიუხტა ელიზბარს, ლაწანი გააურევინა...

სთქვა ერისთავმა: „არ ამცდა, რისიცა მქონდა რიდით,
აწ აღარ მინდა სიცოცხლე, არცა საწუთრო ფლიდით!
თვისი უწმინდესად ყოველზედ თავმოყვარებას ვოვლიდით,
დღეს მომეხვეჭა სახელი შეურაცხყოფის დიდით..."

გაშალა სილა ურიდლად, ლაშასთვის გასარტყმელი,
ივანეს ლოყას ესლიმა ბატონის მისართმეველი:
წაიბორძიკა, დაეცა, საზიზღი, გასათრეველი.
ელიზბარ იდგა უძრავად, ვითა კლდე შეურყეველი.

ლაშა მიუხტა მეორედ, ვით მხეცი გასელებული.
შორს გაისროლა დამძღურმა მემკვიდრე გაცეცხლებული:
მარცხენა თვალში მიესო ხის ტოტი გამოშვებული...
„ვაი, წამთხარა თვალიო!" იძახდა დამარცხებული.

ამასობაში ჩემს ბატონს მონები მისცვივდებიან,
ზოგი წინა მხრით და ზოგნი ზურგიდან მიუხტებიან,
ვისაც მოხვდება მახვილი, საზარლად დაღონდებიან.
ხმა ჩახაჩუხის მოისმის, დაჭრილნი აკვნესდებიან!

დიდად მამაცად იბრძოდა საბრალო ერისთავიო...
ლამას თვალთაგან სდიოდა სისხლი უწყვეტლად მავიო:
ეგრე იძახდა: „ეგ მსეცი არის ჩემგან მოსაკლავიო!“
მსახურს მახვილი მოსტაცა, სურდა მოეჭრა თავიო.

ივანემ აღარ შიუშვა, გარს ემები შემოისია,
მოახსენებდა: „გაგსვრითო ბინძური სისხლი მისია,
მეფე ხართ, ბრძოლა მონასთან რა თქვენი საკადრისია:
ის ჯალათების ხვედრია, მათგან სიკვდილის ღირსია!

რად თავი დაგვიწყებიათ, ვარ დიდად განკვირვებული!
ხვალ თუ ზეგ მეფე გახდებით, გვირგვინოსანი, ცხებული;
თუ თქვენი ხმალი დაიმჟრის, ბედნიერს ბუდეს დებული,
შამული უნდა დაიცვას, მტრის სისხლით იქმნეს დებული".

ელიზბარს დალალულობით რა ღონე გამოელია,
დაიმაბუნეს სიმრავლით, მოადრეკინეს წელია.
წაართვეს ხმალი, ხანჯალი, მაგრად გაუკრეს ხელია,
ხეზე მიაკრეს, შეჰკოჭეს, თოკი მოაბეს გრძელია.

მე მოყურადე ამისი შორიდგან ვიტანჯებოდი,
ღობეზე ფეხი შევადგი, გარდასვლას ვეპირებოდი;
შეურაცხყოფილს ჩემს ბატონს მინდოდა მივხმარებოდი;
ივანეს სისხლი მწყუროდა, შემეძვა, ვერ გავძლებოდი".

აქ შალვამ ამოიოხრა, შებრალდა მამა ტანჯული,
რვეულის კითხვა შესწყვიტა, მძიმედ უძგერდა მას გული;
აუწყლიანდა თვალები, ფიქრებში იყო გართული,
ვერ გადიტანა უცრემლოდ მან ჭირი ჭირზე დართული.

სთქვა: „მამაჩემო, შენ გმადლობ კაცურის ნამუსისათვის,
რაც გვკარებია, უსისხლოდ არ მიგიცია მტრისათვის,
აგირჩევია შეცთომით, გული გიძღვნია მისათვის;
ვინც უსირცხვილოდ ექვს თვეზე დაგითმო, გაგწირა სხვისათვის

შენ უსაზღვროდ გქონებია, სჩანს, იმისი სიყვარული,
და ვერ გაგიმეტებია შისი მკერდი, მისი გული,
თუმცა სხვას კი მიუღია შენგან ჯილდო ღირსეული:
ჩვენის მეფის ცალთვალობა არის თურმე შენეული!

მამაჩემო, წინათვე ვგრძნობ, მეც მომელის მწარე ბედი,
მარღვებში მდის შენი სისხლი, არ შეგარცხვენ, მაქვს იმედი;
მეც გავები სიყვარულში, მისგან ვიწვი, ვით აბედი,
მეც მოვკვდები სატრფოსათვის, ვფიცე ღმერთი, მაღლითმხედი".

შალვა განაგრძობს კითხვასა, თუმცა ეცრემლვის თვალიო;
„ჰყვიროდა ხელებშეკრული ტუსაღი დაუმცხრალიო:
„შეჰყარეთ მთელი ერობა, აცნობეთ ჩემი ბრალიო,
გამოაცხადეთ სახალხოდ, დასდევით სამართალიო!"

მცველებს უბრძანა ივანემ: „სასტიკად დაიცავითო!
რომ კვალად აღარ იუბედოს, მას პირი დაუცავითო!
აწ დავუნიშნავთ სასჯელსა, გავასამართლებთ რჩევითო;
რასაცა გამცნობთ, იქმოდეთ, იყვენით ღამის თევითო".

ივანე ლაშას წაუძღვა, ხელი-ხელ ჩაკიდებული,
მათ უკან ჩუმად მივსდევდი მე ცოდვა გადიდებული.
ლაშა ჰყვედრიდა ივანეს, ვითა ყრმა ატირებული:
„შენის წყალობით გავხდით აწ ასე დაშავებული!"

პასუხს აძლევდა: „თქვენც იცით, მემკვიდრე საკრძალავია!
გახსოვდეთ, თქვენ არ გეკუთვნით მარტოკას თქვენი თავია,
ხალხის მამა ხართ და მისი მამულის შემნახავია:
სამშობლოს უნდა იცავდეს თქვენი ხმალი და მკლავია!"

საბრალო ლაშა სასტიკად გრძნობდა ნატკენის წყლულებას,
ივანეს კვნესით ეტყოდა წყევა-ლანძღვას და კრულებას:
„თვალი დამთხარეს, — მიქადებ მეფობის ვალდებულებას...
რომ არ გაგები მახეში, გიჯობდა მაგ ერთგულებას!

შენის მიზეზით შევსტოპე სულელურს მიჯნურობაში,
დავშავდი, როგორ გავმართლდე, როცა გვექნება ბჭობა შინ!
შენ სილით ცხვირი მოგტეხეს უბედურს მაჭანკლობაში,
იქ ოთხი კაცი დაგვიჭრეს, სულ შევრცხვით ამაობაში!

ჩვენ ეოვლის ამის სანაცვლოდ ერთი კაცი გვყავს ჰყრობილი,
თამარ დედოფლის რჩეული, მისგან მამაცად ხმობილი,
ჩვენი მსახური ერთგული, მხედარი კეთილშობილი,
თვით ხალხისაგან მამულის საჭირო კაცად ცნობილი!

მაცდუნე, აღარ მაძლევდი წამითაც მოსვენებასა:
„უყვარხარ ელისაბედსო!“ მეტყოდი მისსა ქებასა...
მეც სიყმაწვილემ დამძლია, გადავუდექი მცნებასა...
ღვინოსმულს ტვინში გამიჯდა, დავყევი შენსა ნებასა!“

მან უპასუხა ცბიერად: „გული მოილბეთ მწყრალია!
თქვენ ერთმანეთი გიყვარდათ, ეგე რა ჩემი ბრალია?
თვით აღასრულა თქვენდამი შეყვარებულის ვალია:
საქმრო გასწირა, ნამუსი... მეტს რას იზამდა ქალია?!“

ლაშამ უთხრა: „რაცა მიყავ, არის ჩემთვის საკმარისი.
აწ ელიზბარს რა მივაგოთ, ვით განვსაჯოთ საქმე მისი?“
მან მიუგო: „დავუდგინოთ სამართალი საკადრისი:
რაც შეჰფერის მოღალატეს, იმ სასჯელის არის ღირსი!“

ლაშამან ბრძანა: „ღალატით არცა რა ჩაუდენია,
შემთხვევით იქმნა, რაც მოხდა, არ არის წასახდენია!
არ მინდა ხალხმა გაიგოს, რაც მისგან გარდამხდენია.
ის მოკლა, რაღასა მარგებს, რაღა ნუგეშის მფენია!“

ივანემ ჰკადრა: „ვერ მიხვდით თქვენ ჩემსა მოხსენებასა:
ცოცხალი უნდა იტანჯოს, ვინ ამბობს მოკვდინებასა!
ბნელი დარბაზი ვუჩინოთ, შთავაგდოთ გაწვალებასა,
რომ სიკვდილს თვითვე ითხოვდეს, ვითარცა მოწყალებასა“.

აღარ იცოდა, რა ექმნა, ლაშა მიეცა რყევასა,
უბრძანა: „შენგან ველოდი უკეთესისა რჩევასა!
თუ დედოფალი შეუდგა ამ საქმის გამოკვლევასა,
ვერ გავმართლდები მშობლებთან, უნდა ჩავვარდე წყევასა.

მე ელიზბარის ცოდვითა თავსა მეხვევა რეტია,
შენ კი უწყალოდ ექცევი, საკვდავად გაგიმეტია,
აწ არ დაგიდებ იმის ბრალს, რაც უყავ, ისიც მეტია...
ოჰ, თვალი ტეხას მიმატებს, სისხლი ვერ შემიწყვეტია!“

რა შევლეს კიბე სახლისა, ხალიჩით დაფენილიო,
ივანეს უთხრა: „წამალი მიშოვე რამე ლბილიო,
ბამბა მოშუშე ერბოში, ტილო აიღე გრილიო,
გააცივე და მიბომე, სიცხეს არ არგებს თბილიო!“

აწ რაცა მითქვამს, იმათგან მაქვს მოსმენილი ყოველი,
გამოვექანე, წამოველ სირბილით ცრემლთა მთოველი.
შინ რომ დავბრუნდი, თავლიდგან გამოვიყვანე ცხენები,
ვერ დამეკითხნენ ამბავსა, ცნობას მიშობდნენ ჩვენები.

ცოლსა ვუთხარი, არ დასდგეს აქა ერთითა წამითა,
აწ ჩვენი ტკბილი ცხოვრება ბედმან მოსწამლა შხამითა;
გზასა შეუდგეს, იაროს უძილოდ დღით და ღამითა,
რაზომ ერთგულად ვუყვარვარ, აწლა გავიგებ ამითა!

ვუთხარი, აკვნით შალვასა სიფრთხილით თან ატარებდეს,
მარჯვენა მუმუს აწოვდეს, ართობდეს, გაახარებდეს, —
მარცხენას სწოვდეს ივანე, მარჯვენას არ აკარებდეს, —
უალერსებდეს, ატკბობდეს, არაზედ გააჯავრებდეს!

დავემშვიდობე საბრალოს ტკბილითა სიყვარულითა!
ვუთხარი, ჩემთვის ნუ ნაღვლობს, ნუ დაეცემა სულითა.
ცრემლს მარიდებდა მარინე, მეთხოვებოდა გულითა,
ორნივე ვიტანჯებოდით თანასწორითა წულულითა.

ბაღის ბოლოზე მივიჭერ შინიდან დაბრუნებული,
იქვე ცხენები დავაბი, დავდონდი გაბრუებული,
ხერსი ვარჩიე ღონესა მოქნილი, მოცრუებული,
ბატონის დასხნას შევუდექ, არ დავრჩი მოტყუებული.

წაველი, მიველ მცველებთან გულგრილად, აუჩქარებლად,
ლაშას მსახურის მაგიერ გამოვეცხადე მბრძანებლად,
ვუთხარი: „მოგზავნილი ვარ ტუსაღის წასაყვანებლად,
მომანდეს დასჯა იმისი სასტიკად, შეუბრალებლად!“

განგებ ივანე მხარგრძელის ვიწყე ლანძღვა და გინება,
ვსთქვი, თუ ამ კაცის დაღუპვა მემკვიდრემ რაზედ ინება?
თვალები უნდა დავსთხარო, მაქვს ამის მონდობილება...
ოჰ, ღმერთო, მტერსაც არიდე ამისი გამოცდილება!

რა დანის წვერი გავსინჯე, მცველებმა დაინახესა,
გამშორდნენ, გამომეცალნენ, არღუთაშვილი მრახესა.
ბატონს ვაცნობე ჩურჩულით, ვითარ ვუხსნიდი მახესა
ნეკი გავიჭერ დანითა, სისხლით ვუსვრიდი სახესა.

„ვაი და ვაი თვალიო!“ განგებ აკვნესდა მტირალი,
„თქვენცა ჩემსავით დაბრმავდით! — ეგრე მოსთქმიდა მევირალი,—
ვინც სამუდამოდ ამ სოფელს დამაგდეთ ბნელში მზირალი...
ღმერთმან სამართლად მოგაგოთ ნაცვალი გასაჭირალი!“

ხეზედ ხანჯალი დავუსვი, თოკი შევაჭერ ხისაგან.
არ ისვენებდა საბრალო კვნესის და ტირილისაგან...
ერწმუნებოდნენ მონები, სიმართლე იყო მისაგან,
თოკებით ხელებშეკრული ასე დავიხსენ მტრისაგან!

ბაღის ბოლოში დაბმულნი ცხენები გველოდებოდნენ,
შორე-ახლორე მცველები გულმშვიდად მომჩერებოდნენ,
რა ნახეს, ნამდვილიაო, ისინიც ჩემთან დგებოდნენ,
ტუსაღის ცხენზე გათოკვას თვითონვე მესმარებოდნენ.

მცველნი იქავე დავტოვეთ და წამოვედით წუნარადა.
რაკი დავშორდით, მივიჭერ, თოკები შევხსენ ჩქარადა,
შევაძრე ხელმანდილიცა, აკრული თვალსაფარადა,
სისხლი და ოფლი აქა-იქ სახეს დაჰკროდნენ ღარადა.

მაშინ ბატონმა მიბრძანა: „მეც ვიყავ დარწმუნებული,
რომ ერთგული ხარ მარადის და ჩემთვის თავდადებული;
ვხედავ, ამასთან გქონია ტვინი გოგრაში დებული,
რასაც მეტს აწი ვიცოცხლებ, ვარ შენგან დავალებული“.

შუაღამისას მივედით ჩვენი ალაზნის კიდესა,
წყალი ღრიალით გვამცნობდა სიღრმესა და სიდიდესა,
სულ არემარე მიჰქონდა, ხმელეთზე ქვიშას ჰყრიდესა,
შიგ ჩასვლას ვერა ვბედავდით, არც ვინ გვიდებდა ხიდესა.

ვეძიეთ ფონი, ვერ ვნახეთ, არც სადმე იყო ნავიო.
ჩამოვხტით, ღამის სიბნელეს ღრუბელი აწვა შავიო,
ბატონი დაწვა მიწაზე, მკლავზე დაიდვა თავიო,
მილსა მიეცა, ხვრინავდა უგები, უხურავიო.

ცისკრის დრო მოდის, ბუნება იცვლება მტრედისფერადა.
წინასწარ ტანმა მიაზრა, თვალნი ავახელ მზერადა:
ცხენთა ფეხის ხმა მომესმა, ბედი შემექმნა მტერადა,
თურმე ჩვენ შორით მდევარნი მოგვდევდნენ დასაჭერადა.

მძინარე გამოვაღვიძე, ფრთხილად მოვხვიე ხელები.
არღა დავრიდეთ სიდიდეს, წყალში შევაგდეთ ცხენები...
შევხედეთ, ექვსნი მხედარნი მოჰქროდნენ ჭენებ-ჭენებით,
შევჰყვირეთ, როცა ვიცანით მტრები და არა ჩვენები.

პირჯვარი გარდავისასეთ, თავზე ჩაბალახთ ბურვითა,
ღმერთი გახსენეთ, შევსტოპეთ წყალში ცხენების ცურვითა...
მდევართა გახურებულთა, დასიცხულთ ოფლის წურვითა,
გვიცნეს... „დაგვრჩითო!“ შეგვძახეს მუქარებით და მდურვითა.

ბატონის ცხენი ღონითა ზვირთებს პირდაპირ სჭრიდესა,
ცხენითურთ წყალი მათრევდა მე ცოდვაგასადიდესა;
ამ დროს მდევარნიც მოაწყდნენ, ერთმანეთს ხელი ჰკიდესა,
სამი მათგანი ჩამოგვყვა, სიდიდეს არ დარიდესა.

ყველა, ნაპირზედ ვინც დარჩა, ჰგვანდა დაღლილსა ჩაფარსა;
იგინებოდნენ, გვლანძღავდნენ, ხშირად გვემახდნენ ქაფარსა!
სროლა დაგვიწყეს ისრისა, სად ვიშოვიდით საფარსა!
თემოში დამჭრეს, დავმაგრდი, ცხენს მოვეჭიდე, ფაფარსა.

საბრალო ცხენმა დაღლილმა ნაპირს გამაგდო თრევითა!
ვეღარ გხედავდი მდევართა, ისე შორს დამრჩნენ ზევითა;
დასუსტებული ბუჩქებში ჩავეგდე გულის რევითა,
მეტად მტკიოდა ჭრილობა დაქანცულს ღამის თევითა!

ცხენი მივუშვი ბალახზედ უნაგირმოუძრობელი,
წელულზედ აბედი დავიკარ მე სისხლის შესაშრობელი;
დიდად ვშიშობდი ბატონზედ, ვსტიროდი მაღლად მხმობელი:
მოჰკლეს იგი თუ შეიპყრეს, არავინ მყავდა მთხრობელი!

წელული შევიკარ, ვიგრძენი, კვლავ სისხლი დამდინებოდა,
ფიქრები გულსა მიღრღნიდნენ, სვე-ბედი მეყინებოდა,
უელიზბაროდ დაგდებულს სიკვდილი მელხინებოდა,
სისხლიდგან დაცლილს, მალმისდილს ამ ფიქრში ჩამძინებოდა.

რა გამეღვიძა, მზე იყო მაღალზე წამორებული,
ცხენზე შეჯდომას ვეცადე, ვიყავი დაღონებული,
ვეღარ შევიმელ, მტკიოდა ნაკოდი, დაწელულებული,
წავლოლდი, მივეთრევოდი დაჭრილი, დაკოჭლებული.

დღედაღამ შეუსვენებლივ, ესე ღოღვით და ტარებით,
ალაზნის ფონთან მივეთერ ამ ტანჯვით, ამ გამწარებით;
გიცოდი, არ დამინდობდნენ, გშიშობდი მგზავრის გარებით,
ბუჩქებში ვიმალებოდი, მწოლარე თავის ფარებით.

მე წამდაუწუმ ფონისკენ ვიყურებოდი, ვბნდებოდი,
რადგან შალვას და სახლობას ურმებით ველოდებოდი,
მეშველა, კიდეც გამოჩნდნენ: მათს შეურას ვეშურებოდი!
კვლავ მოვიპოვე სიცოცხლე, ბედს აღარ ვემდურებოდი!

შევძახე — მიცნეს, მოვიდნენ, სახეზე მაკვირდებოდნენ,
არცა მე ვუთხარ, რა მჭირდა,ვერცა თვით მეკითხებოდნენ.
ჩემზე ტირილი დაიწყეს, ჩქარობდნენ, აღარ სდგებოდნენ,
ჭრილობით, შიმშილ-წყურვილით მე თვალნი მებინდებოდნენ.

წულული გაჩვენე, შემიკრეს, შემდეგ მოვსთხოვე პურიო;
პური მომართვეს, დამიწყეს მოვლა და სამსახურიო;
ღვინო მიშოვეს, ვიყავი სამი დღის მონაწყურიო:
მე სავსე თუნგი დავსცალე და გავიწითლე უურიო.

დავნაურდი, ხელით ამიღეს, ურემზე დამაჯინესა,
დამჯდარმა ვეღარ გავძელი, ჩამიგეს, ჩამაწვინესა;
ბავშვებმა მათის ტიკტიკით დამატკბეს, გამაცინესა,
ურმისა ჭრიჭინ-ჭრაჭუნმა მე კიდეც ჩამაძინესა.

წავედით მესხეთისაკენ, მთა-ბარი გადავიარეთ,
ჩვენ მთელი კვირა ამ წესით მოუსვენებლად ვიარეთ,
ახალციხეში ჩასვლამდის რაც ჭირი გამოვიარეთ,
იქ დაგვავიწყდა ყოველი, ის აღარ ვიმგლოვიარეთ.

ეფრემს წერილი მივართვით, არ დარჩა გაკვირვებული,
ვუამბეთ ჩვენგან ნანახი და მისი დაბარებული,
შალვა ვუძღვენით, ანდერძით მის კალთას შეფარებული,
მიიღო, გულში ჩაიკრა, ვითა მე შეუვარებული.

მან მეორეს დღეს წაგვასხა, სოფელში ბინა გვიჩინა,
მოგვცა მსახური, მხევალი და სარჩო უხვად გვიჩინა;
ღმერთმან წყალობით ისეთი მზრუნველი აღმოგვიჩინა:
ენა ვერ იტყვის, რაც შრომა მან ჩვენზედ გამოიჩინა!

შალვას ვხედავდი ჯანმრთელად უცხო ჰაერის ზღუდეში.
ვათამაშებდი, ვიქცევდი, ვკოცნიდი თვალის გუგეში;
ხან ხელისგულზედ ვისვამდი, ხან ჩავისვამდი უბეში,
დიდის ბატონის სანაცვლოდ ეს იყო ჩემი ნუგეში!

მალ-მალ კაცსა ვაგზავნიდი ქართლში ამბის საკითხავად.
მაგრამ მისი ვერა ვცანი, ვერცა კარგად, ვერცა ავად.
ვამბობდი: „თუ სული შერჩა, მოვა შვილის სანახავად,
მაგრამ რა ჰქნას, თუ შეიპყრეს და ციხე აქვს სატანჯავად!“

ვფიქრობდი: „თუ ცოცხალია, შალვას ნახვას ინატრულებს,
ციხის კედლებს გამოანგრევს, ჯაჭვს დასწყვეტს და ინასულებს...
ვაჰ, თუ მოჰკლეს, მაშინ რა ვქნა! — შავი ფიქრი დამჩურჩულებს...
მანამ ღმერთმან მე მიმიღოს, სანამ ამ ფიქრს აღმისრულებს!“

აჰა, კიდეც გარდიკითხა შალვამ სრულად ეს რვეული,
მაგრამ ისევ ჩასცქეროდა შიგან თვალებამღვრეული,
იბრალებდა თავის მამას, იყო გრძნობაარეული,
სიყრმე მისი დაემსხამა, ცრემლი ჰქონდა დაფრქვეული!

მას ანაზდად მოაგონდა თანამჯდომი გვერდით ქალი,
რაღაც გრძნობით გადახედა, მოუპოვა თავს წამალი.
თვით თამარმაც სიბრალულით გაუყარა თვალში თვალი,
ტკბილის სიტყვით მოაგონა: დიდი გაქვს მშობლის ვალი!

შალვამ უთხრა: „აქამომდე ბედი არ მიგინებია,
გული მქონდა მხიარული, ჯერ არ მომიწყენებია,
თვალი მქონდა მოცინარი, ცრემლი არა მდინებია,
არც სიცოცხლეს ვაფასებდი, არც სიკვდილის მშინებია.

თავი მქონდა განწირული სასიკვდილოდ წასაგებად;
თვით მეფესთან მივდიოდი მამის ამბის გასაგებად,
თუ მოუკლავს, მე სანაცვლოდ სისხლი მსურდა ასაღებად;
თუ პატიმრად შეუნახავს — ციხის კარის გასაღებად.

მაგრამ სრულად შევიცვალე გუშინდლიდგან, რა შენ გნახე:
ეხლა სიკვდილს ვერიდები, გინდ მიქე და გინდ მიძრახე...
შენ გიძღვენი ჩემი გული, ჩემი თავი, ჩემი სახე,
გსურდეს — სხვისთვის მომაკვდინე, გსურდეს — შენთვის შემინახე.



ბრძენსა ჰმართებს: ყოველი თქმული ყურადღებით გაიგონოს,
სულგრძელობით განარჩიოს, რაც კარგია, მოიწონოს,
მხნედ დაუხვდეს მომავალსა, კვლავ წარსულიც მოიგონოს,
მოყვარესა თანაუგრძნოს, ურჩი ჭკუით დაიმონოს.

ამ საქმეში აჩქარება არის შენგან დიად ძნელი,
გულსა რჩევა დაეკითხე, იქმენ წყნარი და გულწრფელი,
გარდასწყვიტე მოწყვენილი ჩემად ხვედრი საშინელი;
ორში ერთი შემახვედრე: ან ლხინი და ან სასჯელი!

თუ ჩემს ტრფობას არ აფასებ, შეიყვარე შენი თავი:
ქალაქში რომ ჩაგიყვანენ, საფრთხე გელის დიად ავი;
იქ უცოლო მეფე გვიზის, ბოროტი და საქმით შავი...
ვაჰ, თუ გახდე მისი მსხვერპლი და სახალხოდ საკიცხავი!

აქა ჩვენდა უსილავად მოწმედა გვყავს შემოქმედი,
შენ ხელთ არის სამართალი, გარდასწყვიტე ჩემი ბედი:
თუ სირცხვილით არ მეთანხმე, იქმენ სჯულის გარდამხედი,
კაცის კვლაში გაერევი, არ დარჩები წაუწყმედი!

თუ გწამს ჩემი სიყვარულის, გთხოვ ნურაფერს ვერიდებით,
დამეთანხმე, გამომყევი ამ კოშკიდან შენის ნებით,
სჯულიერი ქორწინება გადვიხადოთ ნეტარებით,
მე მეფედ და შენ დედოფლად დავსხდეთ შვებით, გახარებით.

მხლებთ წერილი დაუტოვე მათის სულის შემხუთავი,
უცხო იყავ, არ გაცნობეს მოგვარე და ნათესავი;
ამად სირცხვილს ამჯობინე, მოკვდე ნამუსუმრახავი,
მითომ ღამით გადაიგდე დასაღრჩობად მტკვარში თავი.

რა ისინი წერილს ნახვენ და შენს საქმეს გაიგებენ,
ყვირილით და თავში ცემით არემარეს აიკლებენ;
წყალ-წყალ გამოგიდგებიან, გვამის ძებნას დაიწყებენ,
ცუდმაშვრალნი რუსუდანთან წავლენ, ამბავს წაიღებენ.

ვიცი, ბევრნი დარჩებიან ჩვენი ბედის მონატრულნი!
თუ რომ გვყვანან ნათესავნი, ან მშობლები მოყვარულნი,
რა სიცოცხლეს შენსას სცნობენ, ნახვად მოვლენ მოხარულნი,
იმედი მაქვს, დაშთებიან კმაყოფილნი ჩემზედ სრულნი.

შეიძლება, აღარ გყავდეს არც მამა და არც მშობელი,
არც მოგვარე ვინმე გიჩნდეს, ნათესავი მასლობელი;
ღმერთს დიდება უნდა მისცე, დარჩე მისი მადლობელი,
მე დაგატკბობ, მე ვიქნები შენი სევდის გამქრობელი!

როცა ჩემზედ მზრუნველობდა ახალციხეს ეფრემ მღვდელი,
საბერძნეთში გამაგზავნა, რა გამიხდა ათი წელი:
თორმეტ წელში შევისწავლე ათინელთა სიბრძნე მთელი,
სწავლის შემდეგ მე დავბრუნდი სამშობლოში უზრუნველი.

აქ გამზრდელმა დამახვედრა ჩემ სასმარად დადებული
უთვალავი ოქრო, ვერცხლი, არავისგან ფასდებული,
მამის ჩემის სხვა ნივთები, მარგალიტი ჩინებული:
ჩვენ მდიდრულად შეგვინასავს გინდ ნივთები, გინდა ფული".

შალვას ტკბილმა საუბარმა თამარ სმენად გააჩერა,
უთხრა: „შენი სიყვარული სარწმუნოა, მეცა მჯერა;
არცბიერად მეუბნები, გაქვს ნამდვილი გულის მგერა,
მაგრამ ჩემიც მოისმინე, რას მიქადის ბედისწერა.

ქართველთაითვის აუგია მოჰარული ქორწინება;
მე რომ ვიქმნე მაგალითი, მეშინია, მერცხვინება;
ჯერ საქმით სარ შებოჭილი, ჩემზედ მოცლა არ გექნება,
მამის ვალი ქედზედ გამევს, გმართებს მისი გახსენება.

თუ ცოცხალი არის იგი, ელოდება შენგან ნახვას,
თუ მკვდარია, ვალად გითვლი დიდებულად მის დამარხვას.
ნუ აჰყვები გულის ნდომას, შეუდექი მის შენახვას,
გულგრილობა არ ივარგებს, მიეცემი ხალხის მრასვას"

შალვამ უთხრა: „მოვისმინე ეგე ლექსი, შენგან თქმული;
ვხედავ, ჩემთვის გაამწარე ენა ტკბილი, დაშაქრული;
ჩემის ცეცხლით რომ იწოდე, იყო ჩემებრ დადაგული,
მაშინ ჰასუხს ვერ მომცემდი აგრე დინჯად გულდასმული!

მაგრამ შენის გულგრილობით მე მიცხადებ უთანხმობას;
არ გემდური, ვგრძნობ წინადვე ჩემის სიყრმის უბედობას:
მამაჩემიც სიყვარულით შთაგვარდნილა წყევა-გმობას,
მას მივბამავ, გეფიცები შენს სიყვარულს, შენს გაცნობას".

ესე სთქვა და ზე აიჭრა, მოსვედროდეს ვითომც ელდა,
კოშკიდან რომ გადიოდა, კარსა თავი მოახვედრა,
წაბარბაცდა წასაქცევად, ფეხზედ დგომა გაუძნელდა,
კედელს ზურგით მიეყუდა, თვალთ სინათლე დაუბნელდა.

თამარს ფერი წაუვიდა, აკანკალდა გულის ტკენით,
შეჰკრთა, სული შეუგუბდა, მიამასა შალვას წყენით:
„რა გითსარი სამაგისო, რად გაგიჟდი ეგრე სმენით,
რომ გარბოდი, ვინ მოგდევდა, რას გაწყენდი აქ დარჩენით?!“

იგრძნო, ტანში შეეპარა რაღაც სენი უჩინარი,
გული მალზედ გაუხურდა, აქამომდე გაუმთბარი,
თავზედ ხელი გადაუსვა, კოპი ჰქონდა ამომჯდარი,
უთხრა: „დანგი გააცხელე და ნატკენზედ დაიკარი“.

შალვამ ცივად უპასუხა: „გმადლობ, რადგან გებრალები;
ვხედავ, სიკვდილს განმარიდებ, მე სიცოცხლეს ვემალები:
ნუ დაჰხარჯავ, შეინახე, სხვებზედ სცადე ეს წამლები,
ჩემთვის ნულარ შესწუხდები, მოვკვდები თუ ვეწვალები.

ქვაზედ ტვინიც რომ შემესხა, ვიყავ ამის მონატრული;
აღარ მოვკვდი, გეთხოვები სამუდამოდ მე ბედკრული,
შენ კი ღმერთმან შეგახვედროს საკადრი და ღირსეული,
მტრის ბადეში ნუ გაგაბას, აგარიდოს მისეული!“

სიტყვა გაწყდა, ჩამოვარდა წამს სიჩუმე სამარისა,
იტანჯება, ვერ ისვენებს, იწვის გული თამარისა:
ენანება დაშორება საიმედო მოყვარისა,
სთხოვა: „ჯერე ნუ წახვალთ, შუქი არის მთოვარისა.

მე გამწყრალი რომ დამაგდო, დამანაღვლებ, დამაჭმუნვებ,
გულს ვარამი გარდამესხმის, უკურნებელს ჭირს მარგუნებ,
რად მეპყრობი უსამართლოდ, რა შეგცოდე, რად მამტყუნებ?
რომ გამოგყვე ნამალევად, აუგია, დაგარწმუნებ!“

შალვამ უთხრა: „დაცული მაქვს წმინდად ჩემი სინიდისი;
შენ მიწოდებ უსამართლოს, მე არა ვარ მაგის ღირსი;
თუ სხვა ვაჟი შეგხვედროდა, სულმცირობის შენათვისი,
არ დაჰმლიდა თავის სურვილს, აჯობებდა შენსას მისი.

პირველადვე შენმა შეყრამ მე აღმიძრა თავში რეტი,
შენგან ცეცხლი აღგზნებული შემომენთო დაუშრეტი:
რაც დავსთმე და არ გაკადრე, ვინ იქმოდა სხვა ჩემს მეტი?
თუ მენ ამას არ აფასებ, ვერ უოფილხარ მორსგამჭვრეტი!"

ქალმა უთხრა: „ჩემის შეყრით, ამბობ თავი გაიწამე,
აღარ ჰფარავ, ცეცხლის ალით იხრუკები დღე და ღამე;
ღმერთი იყოს მოსამართლე, ჩვენ რად გვინდა სხვა მოწამე?
მჯერა, მაგრამ უნდა გითხრა, მომაგონდა ერთი რამე.

მე რომ დედათ მონასტერში შემიყვანეს სასწავლებლად,
მომცეს ერთი ჩემი ტოლი ტურფა ქალი ჩემად მხლებლად,
მას სოფიოს ვუწოდებდი, მთვარეს სჯობდა მანათობლად,
ძველ მოთხრობებს ჰკითხულობდა ხშირად ჩემად გასართობლად.

მტკიცედ მახსოვს სოფიოსგან წაკითხული მაშინდელი:
შეუვარებული შეჰხვედრიათ ხშირად კვნესა სულთა მხდელი;
ბედსა მწარედ შეუცვლია სიტკბო მათი წინანდელი,
თურმე ეროსაც ვერ კი ასცდა ფათერაკი, განსაცდელი!

ზოგისათვის სალალატოდ მუხთალს მახე დაუგია,
მისის სატრფოს მოტაცება შეყვარებულს გაუგია,
სისხლის დაღვრით დაუსხნია, თავი კნინღა წაუგია,
ბოლოს მასთან შეუღლებით ხმალი ბუდეს ჩაუგია.

მონასტერში სხვათა შორის იყო მწირი ვინმე მდგმური,
დავრდომილს და მოხუცებულს არმასვილი ჰქონდა ყური,
სოფიოსგან წაკითხულებს მოისმენდა უმადური,
სიყვარულის გაგონებამ მას აღუძრა რაღაც შური.

ერთხელ გვითხრა: „მაგ ამბებმა მომაგონეს დრო წარსული:
ესლა არის დატუუება, მაულად იყო სიყვარული...
არ მოსტუუვდეთ მამაკაცზედ, არ მიანდოთ ვისმე გული,
თორემ გლოვად შეგეცვლებათ მომავალი სიხარული!

მამაკაცნი მზად არიან, შეგაცდინონ პირფერებით,
დაგარწმუნონ სიყვარულში, დაგიფიცონ ცბიერებით...
ერთსაც ყურში ნუ შეუშვებთ, იმათ სიტყვებს ნუ აჰყვებით.
ბოლოს მათი საფრთხისაგან სინანულში შთავარდებით".

ყრმამან უთხრა: „რადგან რჩევას მოხუცისას დაიჯერებ,
შენის სევდით შეპყრობილი მეც თავს მალე დავიბერებ,
მაგრამ სატრფოდ არ ვივარგებ, ვერც სიყვარულს შევიფერებ,
მხოლოდ სიკვდილს დავიახლებ და საწუთროს დავიმტერებ.

გთხოვ, ერწმუნო ჩემს სიყვარულს, არ უსმინო მოხუცებულს:
ნუ დამაგდებ, მამის მსგავსად, სამუდამოდ დამარცხებულს,
შემიბრალე, ნუ გამწირავ სასიკვდილოდ გატაცებულს,
წმინდა არის ჩემი გრძნობა, ვფიცავ ჩვენთვის განკაცებულს!

შენ იმედი გამაგონე, დამინიშნე დრო და წელი,
რაცა გინდა, მომანდევი, კაცისაგან თვით უქმნელი,
გინდ სამყოფად განმიწესე ჯოჯოხეთის კუპრი ცხელი,
მოთმინებით გადავიტან, რაც იქნება სხვისთვის ძნელი“.

ქალს ღიმილი მოსდიოდა, შალვასათვის დაფარული,
უთხრა: „წადი, მომიტანე მტკვარიდგანა შენ ყინული;
ზედ დაგიწერ ამ პირობას: მაქვს რწმუნება შენზე სრული:
არ გიმტყუნო არასოდეს, მექნეს შენი სიბრალული!“

მაშინ შალვას განუახლდა აღგზნებული კვლავ სახმილი,
უთხრა: „ვხედავ, დამაშთინე უიმედო, ცუდად, წბილი,
თვით ყინულზედ შენი გული, არა მჯერა, იყოს თბილი,
მე მიმტკიცებს გულის იჭვებს უცნაური ეგ ღიმილი“.

ქალმა უთხრა: „წეღანდელი შენგან თქმული ვიუცხოვე,
ბოლოს ისევ შევინანე და ბოდიში მოვითხოვე:
ეხლა წადი, დროს დაგიდებ, შეგისრულებ, რაც ითხოვე,
სიტყვას გამლევ, არ გიმუხთლო, ამ პირობით დამეთხოვე.

აწ აღარას დაგიფარავ, რაცა მნებავს, რაცა მწადსა,
მოთმინება ლხინს უქადის დიდის ჭირის განაცადსა;
დაგინიშნავ პაემანად ერთსა, დამითმე წელიწადსა,
ვფიცავ, შენს მეტს არ ვინდომებ კაცსა ქვეყნად დანაბადსა!

თუმცა შენის მოშორებით ტანჯვა დიდი გარდამხდება,
სიყვარული დამაწელულებს, ფერს წამართმევს, დამაჩნდება,
შენ კი ჰფიქრობ, ჩემი გული ცივია და არ გათბება,
მაგრამ შენის მოგონებით დაჭკნება და გაცადნება“.

შალვას მაშინ დაავიწყდა, გადახდოდა თავსა რაცა,
ვითა ლომი დამშეული, მივარდა და ხელი სტაცა...
ქალმა სახე მოარიდა, გადიყარა ზედან თმაცა,
მაგრად ტუჩში ჩაჰკონა, ბაგით სიტყვა გამოსტაცა.

უთხრა: „სიკვდილს დავემებდი, თამარ, შენი გადამკიდე,
გმადლობ, სული შემარჩინე და სამარეს ამარიდე;
აწ სიცოცხლის განსაგრძობად უკვდავების ნექტარს ვსმიდე,
დღეს პატრონი ამ დიდების რაღას უნდა ვინატრიდე...

ნულარ ვიცდით, დაუოვნება არ ივარგებს, დავეჩქაროთ:
მირს ჩავიდეთ, ცხენთა შევსხდეთ, მალვით მცველებს გავეპაროთ;
მაცხოვრის წინ ფიცი დავსდვათ, თაყვანი ვსცეთ, დავეხაროთ,
ერთმანეთი არ გავწიროთ, არც ღალატით გავეყაროთ".

ესე რა სთქვა, ზე წარმოსდგა, ქალსა ხელით ჩაეჭიდა.
ქალი გაჰყვა, დაჰმორჩილდა, კარებამდის გაჰკიდა,
კარზედ შესდგა, ირყეოდა, არ იცოდა, ბედსა სჯიდა.
დაბრუნება გარდასწყვიტა, შეეშინდა, ვერ წავიდა.

უთხრა: „ჩემო სიცოცხლეო, ამად ვსჭმუნავ, ამად ვსტირი,
ვერ გისრულებ გულის წადილს და არც გჯერა დანაპირი;
ვაჰ, თუ გასწყრე, სულ დამაგდო, ვიქმნე შენგან განაწირი:
მე უშენოდ ვერ ვიცოცხლებ, შევიქმნები, ვითა ჩირი!

შეცოდება არა მაქვს რა, ნუ გამწირავ მე უბრალოდ...
თუ დამაგდე, თავს მოვიკლავ, წავალ შენდა სანაცვალოდ!
ეხლა გულის შესაჯერად, მო, ბეჭდები გადავსცვალოთ,
იმ ვადამდის ეს ნიშნობა ქორწინებად მივითვალოთ".

მსწრაფლ ბეჭდები გადასცვალეს შეუღლების საწინდარად,
ქალი ეტყვის: „მესწრაფება თავი შენდა შესაყარად;
თვითონ მეფეც არ ვინდომო შენ მაგიერ ჩემად ქმარად,
გეფიცები სვეტიცხოველს, ვარ და ვიქმნე შენი მარად!

ვფიცავ წმინდა შენს სიყვარულს, მე დავიცვა ესე წინდი,
გულის ტოკვა დაიწყნარე, სიტკბოებით გამიღიმდი;
გაიხარე, გამახარე, მოფარფალდი, მომიფრინდი,
მეალერსე, მეტრფიალე, მომიქროლე გულზე ბინდი".

შალვა მყისვე მოეხვია, შემოაჭდო წელსა ხელი,
გადუკოცნა შუბლი, თვალი, ღაწვი, ბაგე, ბროლის ყელი;
ტუჩი ტუჩსა შეაწება, ვითა ნასკვი გაუხსნელი,
შემდეგ სატრფოს დაეთხოვა ცრემლიანი, შლეგი, ხელი.

თან წაიღო სიყვარული საიმედო, ჭეშმარიტი,
ცრემლს აფრქვევდა, რომ დასტოვა უცოდველი მისი გვრიტი.
თამარ დარჩა გულმოწყლული, გალიაში ვითა ჩიტი,
და თვალთაგან გადმოჰყარა ცრემლთა ცხელთა მარგალიტი...



# მეფობა ლაშა-გიორგისა

ქრისტეს აქეთ არის წელი ათას ორას ოცდაორი,
მაისის თვის ოცდა ოთხსა მთლად ელვარებს მთა და გორი..
ხალხი შეკრბა ავლაბარში, სიმართლეა, არა ჭორი,
ღელავს ჯარი უთვალავი, ვეღარ იტევს მას მინდორი.

ამაღლების დღესასწაულს ეკლესია ჰღაღადებდა.
ქართლის ერი ლოცულობდა, ადიდებდა ღმერთს, აქებდა;
მღვდელმთავარი სასოებით საღმრთო სიტყვებს ჰქადაგებდა,
მორწმუნეთა აკურთხებდა, ურწმუნოთა ამაგებდა.

უნაკლულოდ ბრძანდებოდნენ ივერიის დიდებულნი,
თვით მეფე და თავადები, აზნაურნი ჩინებულნი,
დედები და გასათხოვნი, დართულ-დაწიწილებულნი,
ქალნი, ვაჟნი, დიდ-მცირენი, ნაქებნი თუ ჩინებულნი.

ჰქონდათ კარავნი მწვანეზედ გაშლილნი ნაცვლად ბინისა,
თვითეულს ესატებოდა სახეზედ ნდომა ლხინისა.
ნადიმობისას წარმოსდგნენ მერიქიფენი ღვინისა,
ჯისვსა სცლიდიან, გახშირდა აქა-იქ სროლა მინისა.

გასათხოვარნი მორცხვობით დედებსა ეფარებოდნენ:
არ ასვენებდნენ ვაჟები, მალვით ახლორე სდგებოდნენ.
გაბუტვით იყვნენ დედები, ვითომ ვაჟებზედ სწყრებოდნენ,
თუმცა მათ შორის მრავალნი სასიძოდ ენატრებოდნენ.

შუა სდგა დიდი კარავი, გაკრული ქირმან შალითა,
ხავერდის დორ-მუთაქებით, შიგ მოფენილი ხალითა;
ერობას მიიზიდავდა უმეტეს გრძნობის თვალითა,
ჰფარავდა მეფის სახლობას, ერთადვე სხვათა ქალითა.

სხვათა შორის ბრძანდებოდა დაი მეფის — რუსუდანი,
სახე ჰქონდა მოელვარე და ალვისა, საროს ტანი;
ტურფას უცხოდ უხდებოდა წარბ-წამწამნი, გიშრის თმანი,
თუმცა მცირედ დასტყობოდა გარდასული დრო და ხანი.

არ იმჩნევდა, ირთვებოდა, კეკლუცობდა, ლამაზობდა,
ნარნარობდა, მიჯნურობდა, თავს ეტრფოდა და ნაზობდა;
იცინოდა, კასკასობდა, დედოფლობდა, დარბაზობდა,
ცხრა წლის წინათ რომ გაგეცნო, დაგადნობდა, დაგაზრობდა.

რაც უნდოდა, მას იქმოდა, ემაწვილობდა, აშიკობდა,
თავს იმკობდა, სათუთობდა, ბატონობდა, თან გიყმობდა;
მეჯლისობდა, ვარჯიშობდა, თამაშობდა, ნავარდობდა,
გაგიცნობდა — გულს გიძღვნიდა, შეგიტკბობდა — წამს დაგთმობდა.

გვერდით ეჯდა ჩვიდმეტის წლის გასათხოვი ტურფა ქალი,
რაღაც ჩუმის მწუხარებით ცოტად იყო ფერნამკრთალი;
მის თვალებში იხატოდა სულის ტანჯვა იდუმალი,
ბრწყინვალებით ვერ უდრიდა მას ალმასი განათალი.

ვითა ღამის სიბნელესა დღე დაჰკარგავს განათებით,
ან ვარსკვლავთა ციმციმებას ცისკარი ჰყოფს ფერდაკლებით,
ანუ მთვარეს შუქი მისი გაუქრება მზისა ხლებით,
ეგრეთ თამარ მზეს ჩაგრავდა სხივოსნობით, ბრწყინვალებით.

მინდა მოკლედ გაგიმარტო ეგე ჩემი ნაამბობი:
არვინ იყო მისი მსგავსი ბუნებისგან შენამკობი,
ის ყოველთა იქაურთა სილამაზით იყო მჯობი,
მაგრამ სოფელს ემდუროდა ჯერ სოფლისა გაუცნობი!

ტუგრუგ ვინმე ყოფილიყო, ქართლში მძევლად მონაგვარი,
მეფის დასა რუსუდანსა დაეწერა მასზე ჯვარი,
მაგრამ უკვე დაემარხა წოდებული ესრეთ ქმარი;
მათთა ტკბილთა ნაყოფთაგან შეიმილიყო ეს თამარი.

ვინც ყოფილა საქებარი, იგი ვაქო, ვინ დამძრახავს,
ტყუილს არას მოგახსენებ, არ ზღაპრულად მომიჩმახავს:
ქართლის მნათი დედოფალი, თამარ მეფე თუ გინახავს,
მოდი, ნახე ეს თამარი, წინ მის სახეს დაგისახავს!

რუსუდანმა გაიგონა ხმაურობა და ხრიალი,
მას ეგონა მოედანზედ ბურთაობა და გრიალი;
გამობრძანდა, დაინახა ხალხის გროვა, თან ტრიალი,
ფალავნების დაჯახება, ჭიდაობა და ღრიალი.

შეხედა მისკენ მომავალს, იცნო იეთრტაიჭოსანი,
მარცხენა თვალზე ეხვია მანდილი ფერად სოსანი;
გროვა მოსდევდა ურიცხვი, ზურნა, ნაღარა, მგოსანი:
ეს იყო ლაშა-გიორგი, ხელმწიფე გვირგვინოსანი.

მარჯვენით ახლდა მე მისი, დავით სახელად ხმობილი,
მის მიერ ელისაბედთან მემავობაში შობილი;
მარცხნივ მოსდევდა დისწული, დავით ნარინად ცნობილი,
ნაყოფი რუსუდანისა, ჩვენის თამარის ძმობილი.

რუსუდანი გაიგონებს თავისი ძმის ხმას და მახილს.
მეფე ბრძანებს: „წაგვახდინეს, საქმე შეგვხვდა დასაძრახი;
ლომთალომი ფალავნები დიდხანს იყვნენ დანაჯახი,
ბოლოს ქართლმა გაიმარჯვა, დაამბუნდა წლეულს კახი!“

და რუსუდანმა თაყვანი სცა მეფეს აუჩქარებლად,
ძმას მოახსენა: „კვლავ გნახე გულისა გასახარებლად!
ქართლმა გვძლია და გვაჯობა, შენ ხარ ამისად მბრძანებლად;
არ მჯერა, ვიცი, ამასა ამბობ ჩემს გასაჯავრებლად“.

მეფემ უთხრა: „არ გაჯავრებ, მართალია, რაც გითხარო:
საჩუქარი გემუნწყება, გავს, ჰურადი არა ხარო;
შენ მაჯობე, მე დავმარცხდი, გავსდი შენი სამასხარო,
ეხლა მინდა, რაც იქ მოსდა, გიამბო და გაგახარო:

ქართლმა კახეთის საჭიდაოდ წარუდგინა თვისი ლომი,
უშარმაზარ ხიზამბარელს აქნევინა წინ ნახტომი;
კახელებმა ბებურიშვილს გარდუწყვიტეს მასთან ომი,
გაიმართა ჭიდაობა, მეც იქ ვიყავ ცხენზედ მჯდომი.

ვით კამეჩნი, ერთმანეთსა დაეტაკნენ ხალხის წინა,
იბღუნეს და მიწა სთელეს, დაილურჯნენ, არ ეტკინათ,
ბეჭთა მათითა ნაცემარი ორთავ სისხლი დაედინათ,
ვერცა ერთმა ვერა სძლია, გაგულისდნენ და ეწყინათ.

იმ ქართლელმა ბებურიშვილს დაუგრგვინა, დაუჭეხა,
უკო სერხი მოგვერდული, ბეჭი მკერდსა შეაჯეხა;
ვითა ბომი ჩარჭობილი, ვერც კი შესძრა, შეაფერხა,
მაგრამ მალის დატანებით კახელს მკლავი მიატეხა“...

რუსუდანმა გაისწორა თავს ლეჩაქი მოსხვეული,
სთქვა: „არ ვფიქრობ, ქართლისაგან კახი იყოს დამლეული:
გამარჯვებად რად ჩავსთვალოთ კაცზე სვედრი მოწეული,
ამას ჰქვიან უბედურად ფათერაკი შემთხვეული!“

უთხრა: „დაო, ლინჯილებსა მარგალიტში ვინ გაგიცვლის!
მართ აგრეთვე ამ შემთხვევას რასაც უწოდ, ვინ დაგიმლის?
ქართლელს მუჭა საჩუქრებით გაუვსია, ფულებს ითვლის,
და კახელი მკლავნატკენი საექიმოდ ჯიბეს იცლის...“

შამშეს უთხრა რუსუდანმა: „ავადმყოფი დააწვინონ,
ექიმებმა ჩემის ხარჯით უწამლონ და მოარჩინონ;
წყლული ფრთხილად შეუხვიონ, დაკოდილი არ ატკინონ,
მორჩენამდის იმის ცოლ-შვილს სარჩო ბლომად გაუჩინონ“.

უპასუხებს მხიარული მეფე, ლაღი, დიდებული:
„არის უკვე მზრუნველობა ჩემის მისგან მიღებული;
სარჩო მისცა, დაუნიშნა მას ექიმი ჩინებული:
ნუღარ ჰზრუნავ, შეინახე ქისა თავმოჭირებული!“

რუსუდანი ამ სიტყვებმა დაატკბო და გაასარა.
რომ შეჰხედა, ახლოს იდგა, მეის მმისწული დაიბარა,
უთხრა: „ვხედავ, ეგ სამეფო უმემკვიდროდ არ გამხდარა,
გმადლობ, შვილო, რაც გიქმნია!“. მდაბლად თავი დაუხარა.

მეფემ ბრძანა: „ემაწვილებო, აწ ქალები შევაქციოთ,
ჯირითობა გავაჩაღოთ და ცხენები გავაქციოთ.
მე გაფრთხილებთ, ჩემს ბრძანებას ყურადღება მიაქციოთ:
ერთმანეთსა არ ეჩხუბოთ და არც სისხლი დააქციოთ.

გახსოვდეთ, რომ ჯირითობა თამაშია მესაქცევი,
არცა მტრებთან ბრძოლა არის, არც მახვილის მოსაქნევი,
არც საგმირო საქმე არის და არც სისხლის დასანთხევი...
ვინც ამ სიტყვას გადაუსვევს, დაისჯება ჩემის ხელით!

ვისაც გსურდეთ, ქართლელები გადადექით ჩრდილოეთით,
სომხითი და კახელები გაუსწორდით მათ სამხრეთით;
როგორც მეფე, მოსაშველად მე ვიქნები ორსავე მხრით,
ქალები კი მოთვალთვალედ შორს დაბრძანდნენ დასავლეთით".

გახშირდა ბუკთა ყვირილი, დაჰკრეს ზურნა და ნაღარა.
მეფემან ლურჯა გაიგდო და მისმან ვაჟმან — საღარა.
კაცი არ დასდგა უცხენოდ, ყმაწვილი, არცა ჭაღარა;
ავარდა მტვერი საზარი, თითქო ჰაერი დაფარა.

ორად გაიყვნენ რჩეულნი თავადნი, აზნაურები,
ჰყავთ ყარაბასთა ჯიშისა ცხენები ბედაურები...
დაიწყეს სროლა ჯირითის, გაოფლდნენ განახურები,
აღარ ზოგავდნენ ერთმანეთს უცხო და შინაურები.

რადგან ჯირითის ამცდენელს ხალხი მასხარად იგდებდა,
სახეზე მორტყმას პირდაპირ არც ერთი აღარ რიდებდა.
დალეწდასმული ნაკოდზე მალამოს აღარ იდებდა,
თავგატეხილი ჰყვიროდა, რა ექმნა, ვეღარ იგებდა.

ათრთოლდნენ მანდილოსნები, ფიქრი მიეცათ ქმრებისა,
გასათხოვარნიც სტიროდნენ, ნაღველი აწვათ ძმებისა;
შეექმნათ საგონებელი, შიში აქვთ დამარცხებისა,
სხვადასხვა იყო საგანი იმათი ცეცხლთა დებისა.

მეფე ბრძანებდა იმათსა გაყრასა, გაშველებასა,
რადგანაც მარცხი ელოდა ჯირითის გაგრძელებასა;
ვინ გაბედავდა ხელმწიფის ბრძანების შეცვალებასა!
დაიმალნენ და ეახლნენ, ითხოვდნენ შეწყალებასა.

ამ დროს ხელმწიფე ჰაერში ხშირად სტყორცნიდა მზერასა:
თურმე ჰხედავდა ზეცაში ერთსა ბაიყუშ მერასა.
ბრძანა: „რას ითხოვს, არ ვიცი! თავზედ დამფრინავს მე რასა?
ვინც ისარს ესვრით, მოარტყამთ, უკეთესს იზამთ ვერასა...

მაგისი თავზედ ტრიალი მაქვს ცუდად დანაცადია:
რაც არ მინახავს, მის უკან მრავალი წელიწადია;
უბედურებას მომიტანს, ბოროტს შემამთხვევს, ცხადია!
სცადეთ, თუ ვინმე მოარტყამთ, მისი სიკვდილი მწადია".

მეფემან არვის უხსენა ცალკე გვარი და სახელი,
ბრძანა: „ნუ ჰყოვნის, გავიდეს, ვისაც მშვილდი აქვს და ხელი:
ჯერ ქართლელმა ესროლოს, გამოეცვალოს კახელი,
ვინც ჩამოაგდებს, დარჩება დიდი ჯილდო და სახელი."

ვერცა ერთმა იმათგანმა პირველ სროლა ვერ გაბედა,
მეფე გულში გაუჯავრდა, წყრომის თვალით გარდახედა;
მოითხოვა მშვილდ-ბომალი, მოართვეს და, რა დახედა,
ბრძანა: „მარჯვე ისარია, თუ ჩემსავით არ დაბერდა!

წინად ხშირად ვიმარჯვებდი, თუ ამ თვალმაც არ მიმტყუნა,
ეხლაც ვფიქრობ, არ ავაცდენ, ნდომამ ისე დამარწმუნა;
მაგრამ რა ვჰყო, თუ სიბერემ მისუსტა და მომადუნა!"
დაუმიზნა, გაისროლა, დააცილა, დაიჭყუნა.

მერამ ისევ განაგრძელა ტრიალი და ცაში ცურვა;
მეფემ მისი ჩამოგდება მეტისმეტად მოისურვა:
კვლავ ისრები ერთმანეთსა მიაყოლა შვიდი თუ რვა,
მშვილდი მიწას დაანარცხა, გაგულისდა, იწყო ურვა.

ბრძანა: „დროა, ყმაწვილებო, ერთიანად გაისარჯოთ,
ვინც თქვენს მეფეს ეტოქება, მოვალე ხართ რომ დასაჯოთ,
მტერსა მტრობა შეანანოთ, არ შეიქმნეთ სხვის სააჯოთ:
მე გაგწბილდი სიმოხუცით და თქვენ იქნებ გაიმარჯვოთ!"

მსწრაფლ მშვილდები მოამზადეს, გაამაგრეს საბელთ ტარნი;
ბევრნი იყვნენ მეფის მხლებნი და ქებულნი მეისარნი,
ათასობით სტყორცნიდიან ქართველები მკლავმაგარნი:
თავქვე წბილნი ბრუნდებიან, ესობიან მირს ისარნი!

ამ დროს ათის ნაბიჯიდგან ზე ისარი შეჰკრიალდა,
ძერა რაღაც უჩვეულოდ დაიკუმშა, შეტრიალდა,
დაიწია, ძირს დაეშო, მიფრიალდა-მოფრიალდა:
მთელი კრება სიხარულით ახმიანდა, აგრიალდა!

გაცხოველდა მოძრაობა, დაუმშვენდა ჯარს ჯარობა,
ხალხისაგან გამოისმა ყიჟინი და ხარხარობა.
თავქვე მოდის, ვეღარ შესძლო ძერამ მაღლა ფარფარობა,
დაიჭირეს, არ დაუშვეს, შექმნეს დიდი მასხარობა.

ხალხმა ძერა წამოიღო გასისხლული, შენარცხვენი.
ეახლნენ და მეფეს უძღვნეს სასურველი ესე ძღვენი;
დალოცეს და მოახსენეს: „დღეგრძელ იყავნ მეფე ჩვენი,
დარჩეს მარად უცვალებლად გვირგვინი და ტახტი შენი!“

მეფემ ძერა თავის ხელით ჩამოართო, არვის ანდო:
ბრძანა: „ჩემთან მოიყვანეთ, ვინაც ეგე ჩამოაგდო,
ღირსი არის საჩუქრისა, საუკუნო ვალი დამდო,
გულის ნება აღმისრულა, განაწბილი არ დამაგდო“.

ვითა ძერა და ქორცუდა არ გამოდგების ქორადა,
ეგრეთვე ესე ამბავი თქვენ არ მიიღოთ ჭორადა...
შეიქმნა დიდი ჩოჩქოლი, ხალხი გაიპო ორადა:
მეფის წინ წარსდგა ჭაბუკი, გამომეტყველი სწორადა.

ყრმა იყო ბუნებისაგან სიკეთით შეზავებული:
გმირულის აგებულებით ყველასგან განსხვავებული,
ტანის სისრულე არ ჰქონდა ჯერ კიდე მოთავებული,
სახეზე აჩნდა ულვაში, ახალი აყვავებული.

ენა ვერ იტყვის უკლებლად იმა ყრმის შემკულობასა,
თავიდან ფეხებამდისინ აბჯრითა მორთულობასა;
ფერი ეცვალა მგზავრობას, მზისაგან დაცხულობასა,
დამტვერილიყო, გატყობდით შორიდან მოსრულობასა.

გულ-მკერდი ვეფხსა უგვანდა და ლომის თათსა — მკლავია,
დიდის ზრდილობით მეფის წინ მდაბლად დახარა თავია;
დაუტკბა უცხო მოყმესა მეფე წარბშეუკრავია,
უბრძანა: „ვინ ხარ, ჭაბუკო, კვლავ ჩემგან უნახავია?“



მან მოახსენა: „მეფეო, ბედი გამეხსნა, პირველად
მე თქვენის დიდებულების დღეს შევიქმენი მხილველად,
ვეახელ თქვენსა დროშასა აწ თავის შესაწირველად:
რაცა გეწადოს, მიბრძანე, შევიძლებ გაუჭირველად!“

მეფემ დაიწყო ლაღობა, ინებებს გაღიმებასა,
უბრძანა: „სიერმე გავუშვი, ვეწიე მოხუცებასა:
რაც ვიყავ, იგი აღარ ვარ, ღონე არ მაძლევს ნებასა,
თორემ შენ როდი დაგითმობ მე ჩემსა დამარცხებასა!

სხვა უბედური შემთხვევაც თავს ბევრი გარდამხდენია:
უდროვოდ თვალის გამოთხრით მრავალი ცრემლი მდენია;
შენ კი პირველი ისარი სტყორცნე, არ აგიცდენია,
დიდად მიამა, სიმკვირცხლე მაგონებს ჩემსას შენია.“

„მეფეო, რისთვის მიკადრებთ მონასა, თქვენსა მხლებელსა!
ღირსი არა ვარ, მიბრძანებთ სიტყვებსა მე საქებელსა,
თქვენ უოველსავე შეიძლებთ სხვებისგან შეუძლებელსა,
არავის ვხედავ ხმელეთზე მე თქვენსა დამმარცხებელსა.



აწ დავამტკიცებ, მეფეო, რაცა მაქვს მოხსენებული!“
წავიდა, მსახურს მოსთხოვა თავისი მიბარებული,
და ისევ დაუყოვნებლად დაბრუნდა მოყმე ქებული,
მეფის წინ დროშა დაასო, მტრის დროშა დამარცხებული.

სთქვა: „შეინანებს გილანი თავისსა შეცოდებასა,
აცხადებს თქვენსა წინაშე ტახტისა ერთგულებასა;
სირცხვილნაჭამი გენუკვის და ითხოვს შეწყალებასა,
პირქვე ემხობა, მოელის მეფისა სულგრძელებასა.

გამარჯვებული დავსტოვე მუნ თქვენი სპასალარია,
მცირედი, მაგრამ გულადი, ჰყავს უძლეველი ჯარია;
დაიმორჩილა გილანი, დალეწა ციხის კარია,
დაინარჩუნა სიმდიდრე, შეკრიბა დიდი ლარია.

მე ზაქარიამ მიბრძანა, გხლებოდი დაჩქარებითა,
ეს დროშა გამომატანა ქალაქის გასაღებითა;
ერთი წერილიც მოგართვათ სხვადასხვა ფეშქაშებითა.
აწ ბედნიერი შევიქმენ, მეფეო, თქვენთან ხლებითა!“

მეფე მიეცა სიხარულს, ჭაბუკს მოჰხვია ხელია,
უბრძანა: „შენგან მომერთვა ამბავი საგრძნობელია;
აწლა გჯეროდეს, ეგ ჩემთვის მით უფრო სასურველია,
რომ შენ ხარ ამის მომტანი, ვარ ბედის მადლობელია!

სპასალარს დიდად ვუმადლი მისგან შენდამი ნდობასა,
უკეთესს ვერ აღარჩევდა, ვიფიცავ ხელმწიფობასა;
იჭვი არ არის, მისცემდი გილანში შემწეობასა,
ბრძოლის ველს გამოიჩენდი სიმხნესა, მამაცობასა!"

მეფემ ერმასა სიყვარულით ყელსა ხელი გარდასჭიდა,
შემოიხსნა ავგაროზი, ოქროს ჯაჭვით გარდაჰკიდა;
იმ დღის ჯილდოდ ეგ უბოძა, შემდეგისთვის სხვა დაჰპირდა.
ერმა კი ხელთა მოეხვია, დაუკოცნა, არ დაჰრიდა.

ამ დროს მეფეს მოუვიდა სიტყვა, დისგან მორთმეული,
მოახსენეს: „რუსუდანი არის ცრემლებმორეული:
თქვენზე ჰშიშობს, დაინახა ირგვლივ ხალხი მოხვეული,
ჰფიქრობს, ვითომც ფათერაკი ჰქონდეს ვისმე მოწეული".

გაიღიმა დიდმა მეფემ: „ესლავეო!" ასე ბრძანა,
გილანიდან ახალმოსულს ჭაბუკს ხელი წაატანა,
რუსუდანის გასაცნობად იმ კარვისკენ წაიყვანა,
ზოგი სხვაცა თავადები გაიყოლა მეფემ თანა.

მბრძანებელმა იგი მოუმე წარუდგინა დასა ჩქარა,
უთხრა: „ღმერთმან მოავლინა ეგე ჩემად გასახარად;
შენ მოგანდობ დასასჯელად, შეცოდების დასადარად,
სიჭაბუკით არ დაზოგო, იყავ ცივად, გაუმთბარად!"

ვეღარ გასძლო სიხარულით, რა თამარმა დაინახა:
სახის ფერი გაუწითლდა... „შალგააო!" დაიძახა...
მეისვე ენა ჩაიწყვიტა, გულსა შიში განიზრახა,
აღარა სთქვა დანარჩენი, მოითმინა, შეინახა.

თამარს ხალხი შეეწია: ჰყვიროდნენ და ღრიალებდნენ,
მისი სიტყვა ვერ გაიგეს, ერთსულოვნად ზრიალებდნენ:
ზოგი დუდუკს დაჰმღეროდა, ზოგნი ცხენით ჭიანებდნენ,
იქით სცემდა დაფა-ზურნა, აქეთ ბუკით გრიალებდნენ.

შალვა გრძნობდა წინასწარვე, იქ თამარი დახვდებოდა,
ნახა სხვათა უმჯობესად, გული ნდომით ანთებოდა;
მზეს სჩაგრავდა ბრწყინვალებით, მდიდრად ეცვა, უხდებოდა.
თვალნი ვეღარ მოაშორა, ვერ მალავდა, სწუხდებოდა.

ხან ერთსა და ხან მეორეს მისდიოდა სახის ფერი,
აქ ჭაბუკი იდაგოდა, იქით ქალი — მშვენიერი;
ამას როგორ იფიქრებდა მეფე ჩვენი ბედნიერი,
რომ თამარის ეშხის ალსა შეუპყრია ეს მლიერი!

რუსუდანი მხიარულად წინ მეფესა შემოხვდება.
„მიბრძანეთ — მოახსენებს — ამა ურმისა შეცოდება:
ჩემგან ყოველს დამნაშავეს ღირსეულად გარდახდება,
ბოროტის წილ დაიტანჯვის, კეთილისთვის არ წახდება“.

მეფემ უთხრა: „მე ანაზდად ცაში მერა დავინახე,
სიუმაწვილე მომაგონდა, მისი მოკვლა განვიზრახე;
ათგზის მეცა მშვილდ-ისარი შევსტყორცნე და შევუმახე,
ვერც ადგილი ვაცვლევინე, ვერც მოვკალ და ვერც შევლახე.

გაგულისდნენ ჩემნი მხლებნი, მიიტანეს იერიში,
ვინ რამდენი ააცდინა, არ მიქნია ანგარიში,
პაიკები გამიწბილა, ჩამომძახა მეფეს ქიში:
ვერც მოარტყეს, ვერც გადენეს, ვერც აჩვენეს რამე შიში.

ამ ჭაბუკმა ერთი სროლით მოკლა, მიწას დაანარცხა,
შეარცხვინა ჩემი ჯარი, ერთიც კაცად არ შერაცხა;
მეფე ვიყავ, არ დამზოგა, მაჯობა და დამამარცხა,
სადარბაზოდ აღარ ვარგვარ, მოვიღობო უნდა ფაცხა.

აწ მეორე შეცოდებაც დიდი აქვსო, ასე ბრძანა:
მან გილანის ალებისა მე ამბავი მომიტანა,
ციხის დროშაც, გასაღებიც კვლავ მომართვა იქიდანა,
დამატკბო და მომასვენა, გულზე ჟანგი გარდამბანა!“

უდარდელმა რუსუდანმა სამსაჯულოს გახსნა ბჭენი,
სთქვა: „პირველი შეცოდება აქვს სინორჩით ჩანადენი,
მეორეს კი ვერ შევუნდობ და არც არის შესარჩენი...
მომიყვანეთ, დააჩოქეთ, მომისმინოს განაჩენი!..“

შალვამ კრძალვით თავდახრილმა მის წინ მუხლი მოიყარა,
თამარს სხვების შეუმჩნევლად თვალი თვალში გაუყარა...
რუსუდანმა მოწყალებით ჭაბუკს გული გაუხარა:
მუჭით პირში ოქროები ჩაუტენა, ჩაუყარა.

რუსუდანის განაჩენით მეფე დარჩა კმაყოფილი,
ლაღობდა და იხარებდა, სიტყვამჭევრი, ენატკბილი;
ტაშს უკრავდა, შაბაშობდა, დადიოდა თავმოხდილი...
ჯარმაც თანვე მიაყოლა ტაშისცემა და სიცილი.

ხალხი ჰყვირის: „ღირსიაო, შალვა მეტად რომ შერისხოთ!“
მეფე ბრძანებს: ,,ჯერ წერილის წამკითხველი კაცი ვიხმოთ,
თუ ამისი შესახები ქება რამე წავიკითხოთ,
მაშინ აღარ შევიცოდოთ და არც უნდა გავიკითხოთ!“

წერილია დაბეჭდილი, ამად ხელი არ შეახეს.
მეფე ბრძანებს დაჩქარებას, წამკითხველიც ჩქარა ნახეს —
ჩვეულებრივ ტახტის მდივანს ვარამ გაგელს დაუძახეს,
და წაკითხვა იმ ბარათის მათ საჯაროდ განიზრახეს.

ბრძოლის ამბავს განუმარტავს მეფეს თვისი ამირბარი,
სწერს, გილანის აღებისას ვით იბრძოდა ქართველთ ჯარი;
თუ რა სიმხნით დაამარცხეს, დაიმონეს მტრის ლაშქარი,
ან რამდენი ორსავე მხრით დარჩენილა ცოცხალ-მკვდარი.

სხვათა შორის იხსენიებს შალვას სიმხნეს, მამაცობას,
მისგან ჯარის მოხმარებას, მოწინავე რაზმთა წყობას;
გულუშიშრად მტრებზე მისვლას, სიმარჯვეს და მეისრობას,
იერიშით შიგ ჩარევას და მახვილით მკვეთელობას.

კიდევ სწერს, რომ ხელმწიფესთან გამოგზავნა ცხენი ხუთი,
ნასუქალი ბედაური, ფეხმაგარი, არ სათუთი.
თითოეულს უნაგირზედ ოქრო აკრავს თითო ფუთი,
უზის თვლები ფასუთქმელნი, ვერ ჩაიტევს ვერა უთი.

ხუთი ოქროს ბეჭედია შალვასაგან დანათვალი,
ორი კარგი ზურმუხტია და მესამე — დიდი ლალი;
ერთი რგვალი ფირუზია და მეორე განათალი:
შეაფასო, თითო სოფლად ეღირება თითო თვალი.

სამი ოქროს ხმალი არის, გაწყობილი სპეკალებით,
მრავალგვარი აბჯარია თავ-თავისის წყობილებით,
თუთხმეტამდის შალი არის, აკერილი ფერადებით,
დროშა ოქროთ მოჭედილი ერთად ციხის გასაღებით.

ფიცი არის საერთგულოდ ხანებისგან დადებული,
მეუფროსე ხანის თავი ხურჯინშია ჩადებული,
ამოიღეს, მეფეს უძღვნეს შეღებილი, გასისხლული...
ესე იყო ყოველივე შალვასაგან მორთმეული.

რა მდივანმა გადიკითხა ზაქარიას მონაწერი,
ღმერთს მადლობას შესწირავდა თვით მეფე და მისი ერი;
გასათხოვი და ქმრიანი, ქვრივი იყო თუ ბებერი,
ყველა შალვას შესცქეროდა, მახინჯი და მშვენიერი.

ვითა გიჟი მარტის თვეში ჰაერია არეული,
მზისა სხივში უცნაურად წვიმაც არის გარეული,
ეგრეთ თამარს სიხარულში ცრემლები აქვს ჩარეული,
შალვას თვალით უნათებდა სახე მისი მთვარეული.

მეფემ ბრძანა, დაწუნარდითო, მოისმინეს მისგან თქმული,
და თითიდან წამოიძრო მან ბეჭედი დიდებული,
ბუდე ჰქონდა ფირუზისა და ალმასი შიგ ჩასმული,
ჭაბუკს ჯილდოდ მიუბოძა, გაუხარა ამით გული.

ამა ბეჭდით შალვას მამას ელისაბედ დაეშარნა,
რომლის გამო სამუდამოდ მას სიცოცხლე გაემწარნა,
ამ შავის დღის მოგონებით აღარც მეფეს გაეხარნა,
ლხინის ნაცვლად უცალთვალოდ ბევრგზის ცრემლნი დაეღვარნა.

მეფე შალვას არიგებდა, უბრძანებდა გულახდილი:
„ვხედავ, ჯერე გული არ გაქვს დანიშნული, დაბეჭდილი,
ეს ბეჭედი სიყვარულში არის დიდად გამოცდილი,
ან დაგატკბობს სამუდამოდ, ან შეგხვდება შენ სიკვდილი!

ეს თილისმის ბეჭედია, მოიხმარე გონიერად:
ასკილს ვარდად ნუ მიიღებ საენოსველად, ხელსაჭერად,
ღირსეული აირჩიე, შენის ჭკუის შესაფერი,
აჩქარებით არ მოსტყუვდე, არ შეიქმნე თავის მტერი.

ზაქარიამ მკვირად იცის ემაწვილების ჩემთან ქება,
შენ კი გაქებს უსაზომოდ; ბრძენია და არ შეცდება;
სპასალარის წარმოდგენით მეტი ჯილდოც გეკადრება,
ვალად მედგას შემდეგისთვის, მეფე ვარ და გარდამხდება“.

რა მეფისგან დარიგება ყურად იღო, მოისმინა,
გულს იმედი ჩაესახა, სიხარული მოეფინა;
მეფის ხელზე საკოცნელად მოიდრიკნა მუხლნი წინა,
აკოცა და თაყვანი სცა, მოწყალება დაიჩინა.

მეფემ შალვა ააყენა, დაუბრუნდა შემდეგ ქალებს;
შეხედა, რომ რუსუდანი ბოხჩას სჩხრეკს და ათვალთვალებს;
უთხრა: „თქვენთვის თუ აღირჩევთ ამ ბოხჩიდან თითო შალებს,
დანარჩენსაც დავარიგებ, არ დავიდებ სხვების ვალებს“.

თამარს უთხრა: „შენც გასინჯე სხვა ბოხჩები გაუხსნელი.
რაც გიამოს, ამოიღე, გინდ შალი და გინდ სარტყელი.
ერთიც მომტანს აურჩიე, შეუხვიე შენვე ყელი:
ღირსი არის, ემსახუროს მას ლამაზის ქალის ხელი“.

თამარ ბოხჩას თითო-თითოდ გადასჩხრეკდა, გადაშლიდა,
უხაროდა, რადგან მეფე თავის სიტყვას არ დაშლიდა,
შალვა მეფის ბრძანებულსა აფასებდა, ასე სთვლიდა:
ზღვა და ხმელი რომ მიგეცათ, ამ სიტყვებში არ გასცვლიდა.

იწყო შალვას სამსახური სიხარულით ქალმა ნელა,
დიდხანს ხელი აფათურა, შებოჩინდა, გაამნელა,
ხან ერთის და ხან მეორის შალის წვერი დააგრძელა...
გულში ჰფიქრობს, ნეტავ ერთი დაალამა, დააბნელა!

შალვას ცეცხლი ენთებოდა, გული ჰქონდა განახური;
თამარ თრთოდა, წითლდებოდა სიყვარულის მონაწყური;
ვერ ჰბედავდნენ საუბრობას, მათ კერძ ჰქონდა ყველას ყური,
უნებურად განეშორა, გაათავა სამსახური.

ჟამი დადგა შეღამების, მზე გორაზედ მოეფარა,
მეფის თაყვანსაცემელად ხალხმა თავი მოიყარა,
ასაურელსა ხმასა სცემდა ბუკი, ზურნა და ნაღარა,
მეფე თავის ამალითურთ სასახლისკენ გაემგზავრა.

გზა-გზა მეფემ მოიწონა გმირ ჭაბუკთან საუბარი,
უბრძანებდა: „წერილებში ხარ უსაზღვროდ ნაქებარი,
მაგრამ ვინ ხარ, სადაური, არ აცხადებს ამირბარი,
ეხლა კი მსურს, რომ შევიტყო სახელი და შენი გვარი“.

შალვა შიშობს, არ დაჰკარგოს მეფის ტკბილი სიყვარული,
მოახსენა: „დიდებულო, ხარ ქართველთა სიხარული!
გევაჯები, არ გამრისხო, გექმნეს ჩემი სიბრალული,
ვითხოვ, ჩემი გვაროვნება იყოს დრომდის დაფარული!“

მეფემ უთხრა: „რად შეგრისხო, შეცოდება ხომ არ გმართებს?
ვხედავ, არ გაქვს თავადობა, გვარი სხივით არ გინათებს,
მაგრამ ჩემი სამსახური აგამაღლებს, გაგიმართლებს,
სიბნელიდან ამოგიყვანს, სამუდამოდ გაგინათებს“.

რა მეფისგან მოისმინა მოწყალება ქადებული,
მოახსენა: „ხელმწიფე ხარ უსწორო და დიდებული;
ღირსება და გვაროვნება შენგანვე მაქვს ბოძებული,
წინანდელებრ აღარ ბრწყინავს, სინათლე აქვს მოკლებული.

გეახელით ამ იმედით, ობლის პური გამომეცხო,
გვარი მქონდა მოელვარე, სანამ ჭუჭყი არ წამეცხო;
დროთა ვითარებისაგან მცირედ ჟანგი გარდამეცხო;
იმედი მაქვს, სამსახურით გარდავსწმინდო, გარდავრეცხო“.

მეფემ უთხრა: „ნუ იშიშვი, არ მოვითხოვ შენგან ხადილს;
კარს გაგიღებ სასახლისას, დაგინიშნავ ჩემთან სადილს,
მოწყალებას მოელოდე, არ გაგიტეხ ამა ქადილს,
მოთმინება იქონიე, აგისრულებ გულის წადილს“.

რა დასრულდა საუბრობა, სასახლესაც დაუახლდნენ,
შეერილიყო დიდი ხალხი, სანამ მეფეს დაინახვდნენ;
მცხოვრებლები ქალაქისა ზედ თბილისის კართან დახვდნენ,
„მეფეს ღმერთმან გაუმარჯოს!“ გაჰყვიროდნენ, გაიძახდნენ.

შალვა უჭვრეტს თავის სატრფოს, მეფეს გვერდით დაეფარა,
და ცხენიდან გადმოსტომას ამ განზრახვით დაეჩქარა.
ჯერ რუსუდანს ემსახურა, მერე თამარს წაეხმარა,
მაგრამ ახლოს მიკარებით კნინღა სული გაეპარა.

მეფის სახლი საზაფხულო იდგა მაშინ ნარიყალას...
ირგვლივ ჰქონდა ციხეები, გვიხატავდა ქვეყნის ძალას;
სიამაყით დასცქეროდა შორეახლო წყალს და ჭალას,
დღე და ღამე ამზადებდა დასამარცხებ მტრის მასალას...

თვით ქალაქი რამდენიმე ქოხისაგან შესდგებოდა,
კლდის უბნიდან მოსახლობა ავლაბრამდის გრძელდებოდა;
სიონთან და ანჩისხატთან ქვის სახლები შენდებოდა,
ახლოს იყო მეფის სახლი და მით უველა მშვენდებოდა.

მეფემ მხლებნი დაითხოვა და შალვასაც მისცა ნება,
უბრძანებდა: „დაღლილი ხარ, გეჭირვება მოსვენება;
გახსოვდეს, რომ სასახლეში შენც ადგილი გენიშნება:
როცა გსურდეს ჩემი ხილვა, მოდი, რიდი ნუ გექნება“.

შალვა მეფეს დაეთხოვა, წამოვიდა, მოიწყინა
და თამარის მოშორებით ცრემლი თვალთა დაიდინა.
საყვარელი მისი მონა წამოუძღვა ღამით წინა,
მიიყვანა კლდის უბანში, იქ ნაშოვნი ჰქონდა ბინა.

ნაღვლიანი ქვეშსაგებში ჩაწვა მილად, მოისვენა,
ძილსა შინა თამარქალი ესიზმრა და მოეჩვენა:
ვითომ მკერდზე ნეტარებით დაეკონა, დაესვენა,
თითქო გრძნობდა, ცხადიაო, მუხათგვერდი გაიხსენა.

დილით ადგა, შეიმოსა მზეჭაბუკი ტანადსრული.
შიგნით ჰქონდა საომარი მას ჯავშანი გარდაცმული,
სასახლისკენ გაეშურა საკვირველად მოკაზმული;
რა მივიდა, მუნ დაუხვდა ჯარი მწყობრად დარაზმული.

თითოეულ დამხდურს იგი იკითხავდა, გაიცნობდა:
მათთან დაჰყო საღამომდის, ლაღობდა და საუბრობდა;
მაგრამ გულით იტანჯოდა, ვინ იცოდა, რას ფიქრობდა!
ცეცხლი სწვიდა დაუშრეტი, იჭირვებდა, დაიიმობდა.

ვინ არ იცის, სიყვარული არის ძნელი ასახსნელი!
სიყვარული ლახვარია, მოლესილი, გულისმჭრელი!
ერთისათვის მკურნალია, სიკვდილისგან გამომხსნელი,
მეორისთვის — სენი არის, უწამლო და უკურნელი.

ურიცხვია დაღუპული უბედურის სიყვარულით,
ზოგი სტკბება წამის ყოფით იმის გამო სიხარულით;
ვერ შეიძენ ველად გაჭრით, მუქარით და სიქადულით,
ვერც მახვილით მოიპოვებ, ვერც იუდი დიდის ფულით.

სიყვარული უხორცოა, ეშმაური, უხილველი,
სიყვარული არსებობით საუნჯეა ხელუხლელი;
არც პატიმრად შეინახვის, ვერც განგმირავს საჭურველი,
თვით მეფესაც დაიმონებს, ძლიერია, საკვირველი!

სიყვარული ადამიანს შნოს აძლევს და ალამაზებს,
გაგიჟებულს მოამშვიდებს, დაარბილებს, გაანაზებს,
ბუნებით წუნარს, მშვიდობიანს, გაახელებს, გააბრაზებს,
უცოდინარს ხელოვანს ჰყოფს, ათვალთმაქცებს, აჯამბაზებს.

სიყვარულის დასაჭერად ბევრგან მახე დამიგია,
მაგრამ თვით მე შევუპყრივარ, გული ლახვარს ამიგია;
არის კაცთა მომხიბლავი, არც წესი აქვს, არც რიგია,
ვერ შევიტყვე, თუ რა არის, მისი ვერა გამიგია.

სიყვარულით იცვლებიან ხასიათნი, კაცთა ზნენი,
მაღლდებიან, მდაბლდებიან დედები და მათი ძენი;
სიყვარულის ცბიერებას თაყვანს სცემენ ხელმწიფენი,
უხილავის მანქანებით ჰგიჟდებიან მისგან ბრძენნი.

ვითარ ხიდი ბეწვისაგან ზღვაზე ფიქრით გამიდვია,
მართ ამისი გამორკვევა თავში ცუდად ჩამიდვია;
არას ვამბობ სიყვარულზე, აწ კალამი დამიდვია,
თვითვე ახსნას ეს საგანი, მკითხველისთვის მიმინდვია.

სიყვარულზე ლაპარაკმა გამიტაცა უნდო მალით,
მიჯობს შალვას დავუბრუნდე, იდაგება ცეცხლის ალით...
მუდამ დადის მეფის სახლში მოკაზმული ხმალ-ხანჯალით,
მაგრამ მისი სატრფიალო არ უნახავს ერთხელ თვალით.

კვირას წირვის მოუსმენლად თამარ სახლში არ სდგებოდა,
აღტაცებით მიდიოდა, სალოცავად წარსდგებოდა;
ასე ჰქონდათ პაემანი, შალვაც იქვე დახვდებოდა,
თამარ მნათი მისის ცქერით ნუგეშობდა და სტკბებოდა.

ერთხელ მარტო მიდიოდა, თან არ ახლდა შალვას მონა.
მთვარის შუქის ელვარებამ კვლავ თამარი მოაგონა;
და ქუჩიდან ხმა მოესმა, გააჩერა, დაადონა,
„წინ წერილი დაგივარდათ“, ეს სიტყვები გააგონა.

შალვამ ძირს რომ დაიხედა, წიგნი ჰპოვა დავარდნილი,
ვისი იყო, ვერ გაიგო, აბრკოლებდა ღამის ჩრდილი.
იქვე ახლო ქოხი იდგა, შიგ შევიდა ფერმიხდილი,
შუბლზე ოფლის მოსაწმენდად გადაისვა ხელმანდილი.

მუნ არავინ არ დაუხვდა და პირჯვარი გადისახა,
სიბნელეში ვერ შენიშნა, ბოძი იყო, დაეჯახა;
ბოძთან მდგარი მან უმაწვილი ქალი ვინმე დაინახა,
ვერ გაიგო, რას ნიშნავდა: „ვინა ხარო?“ მიაძახა.

ქალმა უთხრა: „სტუმარი გარ, აქ სხვა გვივის მასპინძელი,
არის ვინმე დედაბერი, უცხოვრია ასი წელი;
ის ეხლავე გეახლებათ, აგვენთება ჩვენ სანთელი,
მცირე ხანი მოითმინეთ, მოგერთმევათ საგარძელი.

გამომკითხავთ ვინაობას?— გარ ღარიბი ვინმე ქალი,
სხვისა ჭირი გულს მიკუწავს, ვერ გაგუმლებ მე საწყალი;
მუხათგვერდის კომკისაგან მოდებული ცეცხლის ალი
ნუთუ გაქრა და აღარ გწვავთ თქვენ იმისი ნაპერწკალი?

შალვა შეჰკრთა, შიშის გამო თითქო გახდა უგრძნობელად,
სთქვა თუ, ჩემი საიდუმლო შეუტყვიათ უეჭველად;
ქალი განგებ მომიგზავნეს ჩემის აზრის საცნობელად!
უპასუხა: „მე არ მესმის, ვისი მქონდა ცეცხლი მწველად!“

ქალმა უთხრა: „ბოდიშს გითხოვ, შემცდარი გარ მე ბედკრული,
თქვენ კი შალვად გიგულვებდით, სიტყვა გკადრეთ უმეცრული.
თუ რომ იყოთ, გეხსომებათ მუხათგვერდში თქვენგან თქმული,
ღამით თქვენის შთამოების ისტორია წაკითხული...

თქვენ რომ შალვა ბრძანდებოდეთ, გეხსომებათ, ვინმე სხვაცა!
მე ქალურად დაგაშავე და მეგონეთ სხვა გიღაცა...“
მიუხდა და მოეჭიდა გაბედულად, იმამაცა...
„ეს წერილიც სხვისიაო“, მეის ხელიდან გამოსტაცა.

შალვამ უთხრა: „ქალთან ბრძოლას მე მშვიდობას ვამჯობინებ:
არცა ხელით შეგეხები, არც მახვილით მოგაკვდინებ;
საიდგან ხარ მოგზავნილი, მართალს თუ არ მაცოდინებ,
ჩემგან სიტყვას ვერ წაიღებ, არცა რას შეგატყობინებ."

ქალმა უთხრა: „თუ არა ვარ მე შემცდარი თქვენის ცნობით,
გნებავთ ჩემი ვინაობა, მოგახსენებთ, მოგენდობით:
მე თამარის მოახლე ვარ, ნაწოდები მისგან დობით,
ვარ იმისგან მოგზავნილი, მას ვიფიცავ, თუ მენდობით.

მე სოფიო მქვია, თქვენ კი დამიძახეთ როგორც გნებავთ,
თქვენც გექნებათ მისგან თქმული, თუ რამ კოშკის გაგონდებათ;
ჩემგან ამის მოხსენებას ნუ მიიღებთ შეცოდებად,
თამარ თქვენთვის მტირალია და თქვენ აღარ გეცოდებათ!"

შალვამ უთხრა: „თუ გნახავდი, არ ვფიქრობდი არასოდეს,
პირველ გნახე, ცილსა მწამებ, ვითომ სატრფო არ მახსოვდეს...
ღმერთს ვიფიცებ, ჩემი გული მუდამ ცეცხლით იდაგოდეს,
უთამაროდ ქვეყანაზე მე სიცოცხლე არ მინდოდეს.

რა მტირალი კოშკიდანა წაველ, თამარს დავეთხოვე,
ამ სიტყვებით განვეშორე, ეს პირობა დავუტოვე:
თუ გილანში მე სახელი მხნეობისა ვერა ვპოვე,
კვლავ ცოცხალი ვეღარ მნახო, მიტირე-თქო, ასე ვთხოვე.

მუნ დამიხვდა ივანეს ძმა ზაქარია სპასალარად,
ვიყავ მისი მონათლული და მიმიღო შვილის დარად:
შემიყვარა, არ ზოგავდა თვის ქონებას ჩემ სახმარად...
იქ თამარის მოგონებით მეზრდებოდა სევდა მარად.

ზაქარიამ არ გამიშვა, დავრჩი მასთან, მოვიცადე...
მე გილანის აღებისას დიდი ჭირი გამოვცადე;
მას ჩემდამი სიყვარული სამსახურით გარდვუხადე,
სრულად ჩემი საიდუმლო გადავეცი, განვუცხადე.

სპასალარმა ეს ამბავი არ უწყოდა, არ იცოდა,
მომისმინა, გაუკვირდა, შემიბრალა, შემიცოდა;
საკადრისი ბინა მომცა, თავის სახლში მიმიწოდა,
ვითა მამამ შემიყვარა, მოშორება არ მინდოდა.

მან მიბრძანა, მახარობლად ქართლში მსურსო გაგაგზავნო,
წერილი და ცხის დროშა მეფეს უნდა მიუტანო;
რა ეახლო, წესი არის, სამგზის უნდა ეთაყვანო,
მაგრამ შენი ვინაობა ჯერ არაფრით გაამჟღავნო.

ზაქარიას დარიგებას დიად გულში დავიმარხავ,
მაგრამ გეტყვი, შემდეგისთვის რასაც მტკიცედ განვიზრახავ;
რა სპასალარს მე ქალაქში მობრძანებულს დავინახავ,
მეფეს მაშინ მოვახსენებ, ვერ გავუმხელ რასაც ახლავ.

აჰა, დაო, საიდუმლო გადმოგეცი ჩემი სრულად,
თვით თამარსაც, ვიცი, შენთან არა რა აქვს დაფარულად,
გენდობა და მიაჩნიხარ ერთგულად და მოყვარულად,
იმედი მაქვს, რომ ხვაშიადს შეგვინახავ დაკრძალულად".

ქალმა უთხრა: ,,შევინახავ თქვენს ხვაშიადს, ვფიცავ ზენას,
ცოცხლად სადმე დავიმარხო, მირჩევნია მე თქვენს წყენას!
იმედი მაქვს, ამოვაშრობ თქვენს თვალებზე ცრემლთა დენას,
ერთი რამე რომ წამომცდეს, ამოვიძრობ უმალ ენას!

ერთხელ თქვენის მოგონებით თამარ იყო მძიმე ავად,
მე გილანში განვიზრახე მოსვლა თქვენდა სანახავად,
მისდა ნუგეშსაცემელად, თქვენის ამბის საკითხავად,
მაგრამ სადღა წავიდოდი, ამიკრძალა აკი თავად.

ეხლა დროა, რომ გიახლოთ, ამისათვის არ გამკიცხოთ,
რაცა გცოდეთ, მაპატიეთ, გევედრებით, არ გამრისხოთ;
ეს წერილიც თან წაიღეთ, სჯობს ბინაზედ წაიკითხოთ,
თუ მიბოძებთ ხვალვე პასუხს, გთხოვთ, რომ აქვე მომაკითხოთ".

მსწრაფლ ჭაბუკიც წამოვიდა, გული ედვა ანაძგერი,
ღაწვი ჰქონდა დაცვარული, ამშვენებდა ვარდის ფერი,
მიდიოდა, თან მიჰქონდა ის უსტარი სასურველი...
თავის სახლში წაიკითხა საყვარლისგან მონაწერი.



# პირველი წერილი თამარისაგან შალვასადმი

„შალვა, ჩემო სიხარულო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო,
ჩემის თავის სანუგეშოდ ნაშობო და გამოზრდილო,
ბედისაგან დაჩაგრულო, დიდის ჭირის გადახდილო,
უნუგეშოდ დამწვარი ვარ, გთხოვ, მოხვიდე, მომიჩრდილო!

სანამ კალამს ავიღებდი, თავში ფიქრნი მომიგროვდნენ,
და თითებიც მოსაწერად თამაშობდნენ, იჩქაროდნენ,
ჩემის გულის პასუხები შენთან მოსვლას ისწრაფოდნენ,
რა საწერად საქმე მისდგა, გამიფრინდნენ, გამიქროლდნენ...

ეხლა შენთან, აღარ ვიცი, რით დავიწყო მე უბნობა...
კვლავ ცოცხალი დავალ ქვეყნად, ნახე ჩემი გულმაგრობა!
შენი ესდენ დაშორება ჩემგან აღარ დაითმობა,
შენთან არის განუყრელად ჩემი გული, ჩემი გრძნობა...

მუხათგვერდის კოშკიდგანა რა გილანში მიხვიდოდი,
მე იმედი მეკარგოდა: თუ გნახავდი, არ ვიცოდი!
მტრის ბანაკში გიგულვებდი, გული მქონდა დანაკოდი,
ჩუმის ცრემლით ვიღვრებოდი, ვიტანჯოდი, ვის ვეტყოდი!

ეს სოფელი საზოგადოდ ცრუ და გაუტანელია,
ერთი ვინმე აღმინიშნე, კმაყოფილი რომელია!
მეც იმისგან დავისაჯე, დავჭკნი, ხორცი დამელია,
მუდამ ტანჯვას ჩემთვის სჯობდა, საწამლავი დამელია.

წინანდელი სავსე სახე აღარა მაქვს მე ნახევრად,
დედა ჩემთვის სევდიანობს, უძილოა ღამემთევრად...
მან სოფიო მომიყვანა გასართობლად, შესაქცევრად,
იგი ჩემდა საამებლად მუდამ ლაღობს ენამჭევრად.

რა სოფიო მომივიდა, შევიწიე, მოვიხმარე,
გამოვუტყდი, ჩემი საქმე მხოლოდ მასთან არ დავფარე,
ამით ცოტად მე ნაღველი შემიმცირდა, გავიხარე,
გული ჯაჭვით შეკრული მაქვს, გამიხსენი, მომეხმარე.

თუ ჯერ კიდევ არ შეგმულდა უფურჩქნელი შენი ვარდი,
სოფიოზე არ დაეჭვდე, არის ჩემთან შენაზარდი,
მის ტოლებში მე არა მყავს მისი ცალი, შესაფარდი:
თვისის ტკბილის სამსახურით განმაშორა მცირე დარდი.

რა მოწყენილს შემამჩნევდა, ცრემლებს აღარ მადინებდა,
„შენს საქმროსთან დაგასმენო!" მექადოდა, მაშინებდა.
ხან მოთხრობას მიკითხავდა, ხან ზღაპრებით მამინებდა,
ხან გიჟურის მასხრობითა უნებურად მაცინებდა.

დღესა ერთსა მეყრილიყო ქალაქი და კლდის უბანი,
დაფა-ზურნით დაიარეს ბაღები და მოედანი...
შინ ვიჯექი და ღაწვები ცრემლით მქონდა დანაბანი,
შემობრძანდა დედაჩემი, მხიარული რუსუდანი.

მითხრა: „შვილო, ამისრულდა, რაც ღვთისადმი მითხოვნია,
აჰა, შენზედ მისი უხვი მოწყალება მიპოვნია:
შენი თავი დიდს ყიასდინს სულთანს ცოლად უთხოვნია.
საქართველოს დააგიწყებს, რაც ტანჯვაში უცხოვრია.

მას პირობად დაუდვია ეს წესი და სამართალი:
შეგვენახვის ქრისტეს სჯული, არ გექნება შენამალი,
საბერძნეთის დიდის ტახტის შეიქმნები დედოფალი,
ამაღლდება საქართველო, დამცირდება მტრისა ძალი!"

დედის სიტყვამ გამაკვირვა, შემაშფოთა, შემაკრთომა,
სახის ფერი დამეკარგა, მომივიდა გულზედ ხდომა,
ეს სოფელი შემაძულა და სიკვდილი მომანდომა,
შევბნდი, საწოლს ჩავესვენე, ვერ შევიძელ მეტი ჯდომა.

დიდხანს ვეგდე უგრძნობელად... რა გონს მოველ, გავიხედე:
დედა იქვე დავინახე, ჩემგან სიტყვის მოიმედე.
მის სურვილს და ალტაცებას წინააღმდეგ ვუთავქედე,
უიასდინის ცოლობაზედ უთანხმობა გავუბედე...

დედაჩემმა გაიოცა, რაცა ვკადრე, არ მიჯერებს...
მითხრა: „შენი ხასიათი მე უდროოდ დამაბერებს;
ამ სამეფოს რისთვის ჰღუპავ, ან რას ეტყვი შენს ხალხს მერე,
შენ ამაზედ უარის თქმას მეფე როგორ შეიფერებს?!

საბერძნეთის ხელმწიფეა წოდებული დიდ სულთანად,
ვინ გაჰბედავს მასთან ხლებას ცუდის ამბის მისატანად?
ეს იცოდე, შენ იქნები დედოფალი მოკლეხანად...
გადასწყვიტე, ერთსა თვესა გამლევ ვადად, ჰაემანად".

მსურდა, დედას გავსტესოდი ჩვენს უბიწო სიყვარულში,
მაგრამ დავსთმე, აღარა ვსთქვი, შიში მედვა ამად გულში,
შენ გილანში ბრძოლა გქონდა, მე აქ ვიყავ სინანულში,
თვე გათავდა, ვიტანჯოდი, ცეცხლი მენთო წმინდა სულში.

არ ვიცოდი, ვადის შემდეგ ბედი თუ რას მომიტანდა,
შენი მოსვლა არ მეღირსა, გამიგრძელდა, გამიხანდა,
სოფიოთი ვნუგეშობდი, სხვა პატრონი არ მიჩანდა;
მეორე თვის დასაწყისში დედა ისევ შემობრძანდა.

მე დავუხვდი მწოლიარე, ფერმისდილი და სნეული,
მოვიწმინდე, ცრემლი მქონდა დაღვარული, დანთხეული;
თან მოიღო, წინ დამიდვა რაღაც ყეთრში გახვეული,
მეუცხოვა, როდი ვიყავ მე საჩუქრებს დაჩვეული.

მითხრა: „შვილო, ნუთუ სწუხარ, რომ აქამდე ვერა გნახე?
დრო მოგეცი მოფიქრების, რაცა წინად გაგაზრახე.
იმედი მაქვს, მოლბებოდი, არ იქნები ისე მკვახე:
აჰა, შენთვის მოძიმღვნია საბერძნეთის მეფის სახე...

სხვა რა გინდა უკეთესი საჩუქარი ამას გარდა,
თვით გასჩხრიკე, შენი საქმრო გაქკაცია ახალგაზრდა!
დამეთანხმე, ნუ გრცხვენიან, აიხადე შუბლის ფარდა...“
ხელში მომცა, მირს დავაგდე, ვითომ უცებ გამივარდა...

კვლავ აიღო, მომაწოდა დედამ იგი მუდარებით...
ჩარჩო ჰქონდა სურათისა შეჭედილი ალმასებით,
იხატოდა მის სახეში სიურმე თავის მოყვარებით,
ცხვირმოგრძო და თვალებფართო, შავის წვერით და წარბებით.

მიიხრა: „შვილო, არვინ არის ქალი შენებრ ბედნიერი!
დღეს განგებამ მოგანიჭა ნეტარება ქვეყნიერი,
საბერძნეთის დედოფლობას დაგილოცავს ჩვენი ერი,
რაც დიდება იქ მოგელის, ვერ აგიწერს მეცნიერი!“

დედას ფეხთქვეშ ჩავუვარდი ტირილით და ცრემლთა ფრქვევით,
მეტისმეტად გავაკვირვე, გავაჯავრე ჩემის ქცევით,
კვლავ დავუწყე მუდარება დაჩოქილმა მუხლზე მთხვევით,
მის სურვილზე უთანხმობა ვაგრძნობინე ამ შემთხვევით.

მოვახსენე: „ვერ ავიტან ესდენ ტანჯვას, მწუხარებას,
არ ვემიებ ჩემთვის პატივს, არც დიდების მოყვარებას,
მოგიკვდები, ვერ გავუძლებ საქართველოს განშორებას,
სამუდამოდ ნუ წამართმევ სამშობლოში ყოფნის ნებას... .

ის მეფეა: ქალის მეტი რა იქნება მის ქვეყანას!
რადგან დიდი სულთანია, ბევრს იპოვნის ჩემისთანას,
თუ ჩემზე ხელს არ აიღებს, მე დავიცემ გულში დანას,
გადაწყვეტით მოგახსენებ, ვერ ვიქმარებ უიასდანას...

თუ ოდესმე ქმარს მალირსებს დიდებული დიდი ღმერთი,
სამშობლოში გამოჩნდება საკადრისი ვინმე ერთი...
არ მწადიან სადედოფლოდ ათინა და საბერძნეთი...
ერთს ქართველში არ გაგიცვლით, რომ მიბოძოთ ოსმალეთი!

თუ ამაზე გამიწყრებით, არ გექმნებათ მოსაწონად,
რომ არა მსურს დედოფლობა და სამეფო მეავდეს მონად,
ჩემს ცხოვრებას მონასტერში დავჰყოფ ხალხის მოსაგონად,
თქვენ მლოცველად ჩვეულებით, გეკურთხები მონაზონად“.

დედაჩემი უთანხმობის მიზეზს სჩხრეკდა და ეძებდა,
მტუქსავდა და მიწყრებოდა, ხან მშობლურად მარიგებდა,
მაგრამ ჩემგან ამას გარდა სხვას ვერა რას გაიგებდა,
წავიდოდა, დამტოვებდა, გულით სევდას წაიღებდა.

შენი ცეცხლი მეყოფოდა სოფლისაგან განაწირსა,
აწ ამაზე უმძიმესი ზე დამერთო ჭირი ჭირსა.
შენი მოსვლა გამარჯვებით იმ ბრძოლიდან რა მეღირსა,
კვლავ სიცოცხლე განმიახლდა მე საფლავად განაპირსა!

როგორც გხედავ, არ გაკლია დედაჩემის ყურადღება,
ვსიამოვნებ, ხშირად მესმის იმისაგან შენი ქება;
სურვილი აქვს, რომ გაიგოს შენი გვარი, შთამოება;
თუ მოხვალ და ინახულებ, ვიცი, დიდად იამება.

მაგრამ იგი ცრუ სოფელზე არის თითქო გულმოსული,
მუდამ სწუხს და აგონდება სიყმაწვილე გადასული:
რომ ეახლო, იმედებით განუახლე სიხარული,
პირში ქებით აგრძნობინე დაუთმობი სიყვარული.

მის წინ ღიღსანს იტრიალე, იქონიე მოცალება,
დაუკვირდი, არ აჩქარდე, განაგრძელე მასთან ხლება:
თუ რომ ტკბილად შეგეეაროს, იგრძნო მისი მოწყალება,
გამოუტყდი ჩვენს საქმეში, მოითხოვე შებრალება.

რასაც ვერ გწერ, დანაშიენებს ორთავ გულნი ერთად გრძნობენ,
უბედური დრო და ჟამი მათ ორთავეს მწარედ მტრობენ:
თუმცა ქართლის დიდებულნი შენ ჩეტრფიან, შენ გნატრობენ,
მაგრამ დროა, მეც მომხედო: შენ თავს მგლეჯენ, სულს მაძრობენ!

შენს მასლობლად რომ ვიტანჯო, საუკუნე ჩემთვის წამ არს,
მაგრამ შენს თავს მაშორებენ, მიმზადებენ სულთნის ქამარს;
გთხოვ მომკლა და მიმაბარო სამშობლოში წმინდა სამარს...
თუ ეხლავე არ მიშველი, ვეღარ ნახავ შემდეგ თამარს!“

ეს წერილი რამდენჯერმე გადიკითხა შალვამ გრძნობით,
დარწმუნდა, რომ მისი სატრფო იტანჯება ხორცთა ჭკნობით,
თვალთა ცრემლი დაედინა საზარელის ამბის ცნობით,
გული ცეცხლით ეწვებოდა, ვით სანთელი იწვის ღნობით.

ჰკვნესის, ოხრავს, მწუხარეობს და გონება ეკარგება;
რაგვარ რა ჰყოს, ვერ მიმხვდარა, წამს დაჯდება, წამს ადგება,
იტყვის: „ჩემი ვინაობა ვით გავბედო, ვით მეთქმება,
რა შეიტყობს მეფე ჩემსას, მისგან მახე დამეგება!

თუ გაიგო, რომ შვილი ვარ იმ ელიზბარ ერისთავის,
მისის თვალის გამომთხრელის, შემცოდის და დამნაშავის,
წამსვე სიკვდილს დამინიშნავს, მეშინია ამად თავის,
მაგრამ მიჯობს, არ დავფარო, უარესიც შემხვდეს ავის!"

ადგა დილით ფერმიხდილი, მთელი ღამე მილნატეხი,
იყო სევდით გარმოცული, ვერ გადადგა მშვიდად ფეხი.
იტევის: „ღმერთო, დამიხსენი, განმარიდე შენ მტრის ხერხი,
შემეწიე, ამაცდინე განასროლი ჩემზე მეხი!

დღევანდელს დღეს დაღუპულა მამაჩემი ელიზბარი,
მეც დღეის დღეს მიკენდობი, ვარ სიკვდილის მაჭებარი,
ან სურვილებს ავისრულებ, შევიქმნები გულდამტკბარი,
ან მამისებრ დავინთქები... ღეე, დარჩეს სხვას თამარი!"

ესე სთქვა და სასახლესთან დაელოდა დაბინდებას...
შიში ჰქონდა რუსუდანის, მისგან ეჭვდა არმიღებას;
კართან დადგა, არ შევიდა, მოუცადა მის ბრძანებას:
რა მოხსენდა, შალვაამო, წამს მისცემდა შესვლის ნებას.

რა ეახლა, დაიდრიკა, თაუვანი სცა, წარსდგა ზრდილად,
მუნ თამარი დაინახა, წინანდლისა იყო ჩრდილად,
შეკრთა, ფერმა გადურბინა, გონს მოეგო, დადგა ფრთხილად,
ეველა დასთმო, გადიტანა გონიერად, გამოცდილად.

თამარ წუნარად გაიპარა, თავის სასლში შეიმალა,
რუსუდანმა შალვას სიტყვა წაართვა და არ აცალა:
„აწ რომელს ქარს დავუმადლოთ, შენ რომ ასე მოგამალა,
მოგბერა და გადმოგაგდო, ჩვენდა ხილვად მოგაცალა".

შალვა იდგა მოხდენილის უოფაქცევით, საამურით.
მოახსენა: „პირველ ვითხოვ, ნუ აღმავსებთ საყვედურით!
თქვენ გიფიცავთ, ბატონის დავ, მე ვუუურებ იმათ შურით,
ვინაც თქვენთან ხშირად დადის, სტკბება თქვენი სამსახურით!

ვერ გბედავდი თქვენთან ხლებას, არ მქონია დღემდის ნება,
ეხლა დიდად გსიამოვნებ, მოვისმინე რა ბრძანება,
შეიწყალეთ ესრეთ ჩემი კადნიერი მოსხენება,
სიტკბოებად შემიცვალეთ აქამდელი მრისხანება".

ქალმა ბრძანა: „ჩემთან მოსვლას ამას იქით ნუღარ ჰშიშობ,
გესურვება — აქ შემოხვალ, გესურვება — კვლავ გაგიშობ,
შენ ჰყვავი და მე კი ვსჭკნები, ვწუხვარ, დღეებს განგარიშობ,
აწ სიბერე შემეპარა, ველარ ვილხენ, ველარ ვვიშობ".

მალვამ ჰკადრა: „ბატონის დავ, რად უფერი შეიფერეთ?
ეოველს ყვავილს სიახლითა თქვენ სჯობიხართ, დაიჯერეთ,
თქვენის წლების მოზიარე ბევრნი სხედან უქმროდ ჯერეთ,
ესე სიტყვა რაზედ ბრძანეთ, თავი რისთვის დაიბერეთ!"

მან უბრძანა: „ადრინდელად აღარ დარობს ჩემთვის დარი,
ხელმეორედ გაცოცხლებას ნუ მოელის ნურა მკვდარი!
თუმცა გხედავ, აღარა ვარ ქმაწვილქალთა შესადარი,
მაგრამ მცნობთა არ დამაგდონ, ესღა მრჩება სამუდარი.

მალვა, რასაც შენ მიმალავ, იმას სარკე მე მიცხადებს:
რამდენჯერაც ჩავიხედავ, ახალ სევდას დამიბადებს,
რაიც ვიყავ, აღარა ვარ, მომავალი ჭირს მიქადებს,
შენ კი სტყუი, მეფერები და მამსგავსებ ახალ ვარდებს!

აბა, მოდი, შემომხედე, რაღა დამრჩნენ მოუშლელნი?
მართალია, ეს თვალები ერთხელ იყვნენ კაცთა მწველნი,
ღაწვთა ჩემთა ფერს ნატრობდნენ ვარდნი ახლად გაშლილნი,
თეთრთა მკერდთა ვერ მიღრიდნენ თვისი ალმასნი გაუთლელნი.

მაგრამ... ეხლა შავი დრონი მოცვივდნენ და ხელი მტაცეს,
სახის შნო და ბრწყინვალება წამართვეს და წარიტაცეს;
შურით მიმტრეს, მიღალატეს, არ დამინდეს, ისე გამცეს,
სიყრმე სრულად დამიკარგეს და სიბერე თავში დამცეს!..."

მოახსენა: „ბატონის დავ, ნუ შექმნილხართ ჰმუნვარებით!
გფიცავთ, ესლაც ვერ გიღრიან ვერა თვალნი ელვარებით:
მთვარეს შუქსა გამოსტაცებთ, ვარსკვლავს სჩაგრავთ ბრწყინვალებით...
ეგ თვალები მზეს მეტობენ სხივითა და მხურვალებით".

რუსუდანსა ესდენ ქებამ გულსა ეანგი გარდაფერა,
გახალისდა, გაკეკლუცდა, დასტკბა, ყელი მოიღერა,
რაცა მისგან მოესმინა, მიიღო და შეიფერა,
შალვას ხელი დაუჭირა, არ გაუშვა, გააჩერა.

უთხრა: „შალვა, შენთან შეერა იყო მეტად უეცარი:
ამაღლების დღესასწაულს ჩამოიჭერ ვითა ქარი;
შენმა ნახვამ აალელვა თვით მეფე და მისი ჯარი,
ღირსეულად ვერ დაგიხვდი, მცირე გარგე საჩუქარი...

მაგრამ შენი მოვალე ვარ და იცოდე, არ შევირჩენ:
სიტყვას გამლევ, შენზე მეფურს მე სიუხვეს გამოვიჩენ,
ნულარაზედ შესწუხდები, მე უკეთესს ვერას გირჩევ,
დიდებულად შეგინახავს, რა ჯილდოსაც მე გაგიჩენ.

ნუ რისათვის ნულარ ჰშიშობ, მხნედ იყავ და უზრუნველად,
შეგეტყობა, მოსული ხარ ჩემთან რისმე სათხოვნელად,
რაცა გინდა, მომახსენე, შეგისრულებ უეჭველად,
სიტყვას გამლევ, არ უარგყო, რაზომც იქმნეს ჩემთვის მნელად".

შალვამ უკვე დაიჩოქა მოსასხევენად მეფის დისად,
ქალსა სისხლი აუდუღდა, ფერს იცვლიდა წამ-წამისად,
ჟრუანტელი მოსდიოდა, ტკბილად გრძნობდა, საამისად,
ჰფიქრობდა, რომ შალვას ცეცხლი აღგზნებული იყო მისად.

რუსუდანმა შალვას ქოჩორს ხელი სწრაფად წაატანა,
თმა მოჰზიდა ასაყენად, „ადექიო!" ყრმას უბრძანა:
„რადგა ჰფარავ საიდუმლოს", სთქვიო, მალა დაატანა...
„ვისის ცეცხლით იდაგები, ვისი გიჭრის გულსა დანა?

მითხარ ყოვლი საიდუმლო, შენგან დღემდის დაფარული,
ვის უპყრია ეგე გული, ვინ გყავს სატრფოდ დასახული?
მთვარეა თუ ვარსკვლავია, ზამთარი თუ გაზაფხული,
ქაჯია თუ ეშმაკია, უხორცოა თუ ნახული?

არ დაგ'სრახავ, რადგან ყრმა ხარ, სიყვარულის ლტოლვა-სევდას,
სისხლი გიდუღს, არ დაგაცლის მოთმინებით შორს გახედვას...
არც წესია, ვაემა არ სთქვას, შენახული გულში ედვას:
მე გუმტყუნებ ემაწვილკაცებს დაფარვას და ვერგაბედვას!

მე წინადვე შეგამჩნიე, სურვილებით იწვებოდი,
ხშირად ფერი გეცვლებოდა და სახეზე წითლდებოდი!
საამიო სამოსელით იკაზმოდი, ირთვებოდი,
თითოეულს შენს გულისთქმას მე ადრევე მივხვდებოდი...

მე დროჟამმა დამამარცხა, თავი ჩემი მებრალება:
აღარავის არ ვუნდივარ და სუყველა მეკრძალება!
შენ ნორჩი ხარ, სამაგისოდ ბევრი დრო გაქვს, მოცალება,
ვინაც გიყვარს, შეგიყვარებს, თვით არ გინდა მიმალება...

თუ რომ გახსოვს, კვლავაც მითქვამს, ეხლაც გეტყვი წელანდულად:
დიდად მომწონს, მიმაჩნია საქებრად და სიქადულად,
როცა ვაჟი თვის სიყვარულს არ იპარავს გლას ქურდულად,
და პირველვე განუცხადებს თავის სატრფოს გაბედულად!

სრულად ვიცი ის აზრები, რაც შენ თავში გიტრიალებს,
რაც გათრთოლებს უნებურად, რაც გიკიდებს ცეცხლის ალებს,
რაც გალხენს და რაც დაგატკბობს, რაც გისველებს მაგ შავ თვალებს...
მაგრამ ხალხში თუ გამჟღავნდა, დაისჯები, გაგაწვალებს...“

შალვამ მისკენ წაიწია, მისწვდა ხელზედ საკოცნელად,
მოახსენა: „ბატონის დავ, თქვენ გამოჩნდით ჩემად მხსნელად:
საფლავიდან დამაბრუნეთ, განმიკურნეთ სენი მთელად...
ვხედავ, თამარს კიდეც უთქვამს, რაც მინდოდა მე სათქმელად!“

რუსუდანი ყურს არ უგდებს, თავის სიტყვას კვლავ აგრძელებს...
სთქვა: „წამალი მისადგომი წყლულს განკურნავს, განამრთელებს.
მართ სიფრთხილე საიდუმლოს აადვილებს, არ ამნელებს,
ცუდად მისი შემნახველი ნათელს შეცვლის, დააბნელებს.

მართებს კარგსა მებაღესა, უადგილოდ არას რგვიდეს:
რაცა დარგოს, მოაშენოს, დროზე სწმენდდეს, დროზე რწყვიდეს,
მართ მიჯნური საყვარელსა თვისსა გარედ არ ზრასვიდეს,
ხშირის ნახვით დაატკბობდეს, სიყვარულსა მისსა ზრდიდეს.

იდუმალი სევდა გტანჯავს, მე გაგიყოფ, თუ მიწილებ...
თვით არ ამბობ გულის პასუხს, შენ ჰფარავ და მე გამხილებ:
აწ დაგატკბობ, სამუდამოდ მწუხარებას აგაცილებ,
მაგრამ იყავ კრძალულებით, გიბრძანებ და გაგაფრთხილებ.





მმა ატარებს მხოლოდ სახელს, წოდება აქვს მას მეფობის,
თორემ საქმეს მე ვაკეთებ, მიჯერებს და მომენდობის:
ხელთ მიპყრიან სიმართლენი თვით უსაზღვრო მფლობელობის
და სამშობლოს ბედ-იღბალი ჩემის ნებით გაიბრჭობის!

ერთგულნი და ღირსეულნი ჩემის ხელით მაღლდებიან,
ორგულნი და მემუხთლენი ისჯებიან, მდაბლდებიან,
ავაზაკნი, შემცოდენი შავს ჯურღმულში ვარდებიან,
ამად მტერნიც იშიშვიან, თაუვანს მცემენ, მბარდებიან.

მნებავს, შენცა აგამაღლო და მწვერვალზე აგიყვანო,
არ გაკადრო შეუფერი საქმე რამე, საუგვანო;
ხშირად ჩემთან დასტკბებოდე, მვირად სადმე გაიგზავნო —
ესრეთ ჩემი საიდუმლო არავისთან გაამჟღავნო!..“

შალვა ეჭვობს, ამ სიტყვებით ნუთუ იგი გამოსცადეს!..
ბოლოს მიხვდა, რას ნიშნავდა, რაც აღუთქვეს, რაც უქადეს...
რუსუდანის მღელვარებათ დაფარული განუცხადეს,
ჰფიქრობს, თავი როგორ იხსნას, ვით აშორდეს მაცდურ ბადეს.

მოახსენა: „ჩემი თხოვნა ამირიეთ, შემიშალეთ:
ესოდენის დაჰირებით გამაგიჟეთ, გამომცვალეთ..,
რისიც მსურდა მოხსენება, სიტყვა როდი დამაცალეთ,
აწ უთქმელად ვერ დაგტოვებ, თუ გინდ ენა ჩამათალეთ!

უბედურის მამის შვილი უბედურად ვარ შობილი,
უეჭველად თქვენც გექნებათ თამარისგან მოთხრობილი:
რასანია თქვენი ქალი მყავს შემთხვევით გაცნობილი,
მან დამწვა და ჩემი გული მისგან არის დაპყრობილი!"

შალვა ძლივსღა იღებდა ხმას, ესა სთქვა და სხვა აღარა.
ხელმწიფის დას, რუსუდანსა, ჟრუანტელმა დაუარა...
შეკრთა, ფერი დაეკარგა, ამა ცნობამ გაამწარა,
თმა მოჰზიდა, გაიწეწა, თავი გიჟსა დაადარა.

მსწრაფლ გონება შეიკრიბა, რომ არ გახდეს სასაცილო...
უთხრა: „რა სთქვი, უბედურო, უშიშრად და უსირცხვილოდ?
ბედი შენი, ვინმემ წინად გაგაფრთხილა უსაცილოდ:
გცადე, ჩემზედ აღარა სთქვი, გადამირჩი უსიკვდილოდ!

ფიქრმა ფუჭად ჩამიარა, ამად დავრჩი გულნატკენი,
განგებ სიტყვა შეგაჰარე, ეშმაურად, შესაცდენი;
მაგრამ გითხრეს ჩემი აზრი, არ დაგაგდეს ცრემლსადენი,
ვინაც გამცა, მიღალატა, იმისგან ვარ მე ნაწყენი".

შალვას თითქო არ ესმოდა რუსუდანის ნაუბარი,
ენა სიცხით უშრებოდა, მის წინ იდგა ცრემლმქუხარი;
მოახსენა: „შემიბრალეთ, მთხოვნელი ვარ გულმდუღარი,
ნუ გვაშორებთ მე და თამარს: ის ცოლია და მე ქმარი!

მე თუ აღარ შემიცოდებთ, შეიწყალეთ თქვენი ქალი:
ის უჩემოდ ვერ იცოცხლებს, გინდ შეიქმნეს დედოფალი;
მე მაკუთვნა ეკლესიამ, თქვენც გასჭერით სამართალი,
ნუ დაჰღუპავთ სამუდამოდ, რაზომ მყავდეთ მე გამწყრალი?"

რუსუდანი მრისხანებით მეტად იყო ფერმიხდილი,
უთხრა: „ვითარ კადნიერობ სხვის კერაზე გამოზრდილი!
რაც იყბედე, ვით გაჰბედე, რა ღვაწლი გაქვს გადახდილი!
ვინ შალვა და ვინ თამარი, სად მეფე და სად აჩრდილი!

ქვეყანა და ხალხის საქმე მიგაჩნია ვითა ჩალა,
ან გიჟი ხარ, ან რეგვენი, ან გადგია ვისმე მალა,
ანუ ჩემმა ტრფიალებამ თავში ტვინი აგიშალა,
ან წინასწარ მიგიღია სასიკვდილო შენ სამსალა!

ნუთუ ქება ზაქარია სპასალარის გასულდიდებს
და თავისა წასაგებელს მაცდურობის მახეს გიგებს?
მისგან ქება არას გარგებს, თუ არ მეფეს გადაგკიდებს,
ვერც სურვილებს შეგისრულებს და ვერც სიკვდილს აგარიდებს!

ერთი ვაჟი სპასალარის წოდებული არის შამშედ,
სიბრძნით სრული ქებულია მოჯადრაკედ, მედუმაშედ,
მოედანზედ მობურთალედ, მოჯირითედ, მოთამაშედ,
ბრძოლის ველზე ვერვინ უდრის მოლაშქრედ და მოთარაშედ.

აწ რასაცა შენ მაკადრებ, რისთვის შამშე არ მიბედავს?
ალბად იცის თავის ფასი და ის შენებრ არა ჰპბედავს,
უკადრია სამეფოსთვის, გონიერის თვალით ხედავს,
რომ ისურვოს, ვინ აღირსებს, მას სასიმოდ ვინ მიხედავს!

შესაძლოა, რომ შენს გარდა სხვანიც იყვნენ ამის მდომნი,
მაგრამ ჩვენის შიშის გამო ვერ ამხელენ ქვეშევრდომნი;
სიმეს თვითვე აღირჩევენ მეფენი და მათნი ტომნი,
სრასა შინა შეკრბებიან, გადასწყვეტენ ერთგან მსხდომნი“.

მოახსენა: „ბატონის დავ, აწ გაფიცებთ თქვენს გაჩენას,
ნუ ინებებთ თქვენის ხელით ჩემის სულის აღმოხდენას!
თვით თამარიც მოგიკვდებათ, ვერ გაუძლებს ცრემლთა დენას:
ის უჩემოდ ვერ იცოცხლებს, სიკვდილს არჩევს გადარჩენას...“

შემდეგ ყველა განუცხადა მუხათგვერდში გადასრული,
მათი შეყრა, მათი ნახვა, მათი საქმის დასასრული,
მათის ერთგან შეუღლების პირობა და ფიცი სრული,
და წინაშე სვეტიცხოვლის მათგან აღთქმა დადებული.

რა ისმინა რუსუდანმა შალვასაგან მონათხრობი,
დიაღ ძნელი, ულოდნელი საქმე შეჰხვდა გასაბრჯობი!
მსწრაფლ წამალი მოუნახა ჭაბუკს გულის დასატკბობა,
მუქარებას ამჯობინა, უთხრა სიტყვა მოსალბობი:

„გამიგონე, შვილო მალვა, არ გიწყრები აღარაზედ,
არ ვამტყუნებ მე ჩემს თამარს, გავამტყუნო აბა რაზედ?
არ იცოდა თვისი სახლი, გამოვზარდე სხვათა კარზედ...
ვის რა ვუთხრა, ჩემს თავს ვპოვებ დამნაშავედ მე ამაზედ!

მონასტერში აღიზარდა, უდედმამოდ, უკაცურად,
ჩემნი ყმანი, წარგზავნილნი მისად ხლებად, სამსახურად,
ეახლენ და არა ამცნეს, გამოაწყვეს მყის ვაჟურად,
საგამზრდელოს მოაშორეს, წაიყვანეს უნებურად.

ეს შემთხვევა თამარისთვის იქნებოდა საშიშარი,
იფიქრებდა, მოტაცებით არის სადმე წანაგვარი;
ამ დროს ვაჟი მშვენიერი იქმენ მისი შენაყარი,
მოგვენდო და შეასრულა ყოვლი შენი სათხოვარი.

თამარ მისთვის გადავხიზნე, მოვიშორე რისხვა ღვთისა,
რომ შეეტყო, ქალი მყავდა, მთხოვდა შაჰი სპარსეთისა,
არ მივცემდი — დაგვარბევდა, რიდი მქონდა თავს-ერთისა,
მეშინოდა საქართველოს დაგლეჯის და გაწეწვისა.

შენცა უწყი, ყიასდინი საბერძნეთის სულთანია,
გაუგია, მე ქალი მყავს, დაუტკბია გულ-ტანია,
ფაშა არის მოციქულად, ბევრი წამოუყვანია,
მეფისათვის საჩუქარი ბევრი ჩამოუტანია.

ჩემი ქალი უთხოვია, ეჩქარება ჩვენს მოყვრობას,
თუ არ მივცემთ, მალას იხმარს, მტრობად შეცვლის მეგობრობას.
საქართველოს აღაოხრებს, შეგვანანებს უთანხმობას;
სამეფოს სისხლს ვერ დავიდებ, თვისობა სჯობს იმის მტრობას.

თუ მას ქალი არ მივეცით, ეს ჩვენს შორის სისხლს დაბადებს,
შემოგვებრძვის დიდის ჯარით, საქართველოს ამოაგდებს;
სხვა მტერიცა დროს იპოვნის, ჩვენთვის მახვილს მოამზადებს:
თუ მკურნალი არ გვეყოლა, წყლულზედ წამალს ვინ დაგვადებს!?

საქართველოს დამცირების ოსმალოა მაცადინი;
აწა სულთნის მამა იყო თვითონ დიდი ნუქარდინი.
მან ითხოვა დედაჩემი, ვით თამარს მთხოვს ყიასდინი,
დედამ იგი არ ისურვა, შეუცვალა ჭირად ლხინი.

ამ მიზეზით ნუქარდინი მოკვესია დიდის ჯარით,
მტერს დაუხვდა თამარ მეფე ქართველებით მკლავმაგარით;
მაშინ წითლად შეიღება დედამიწა სისხლის ღვარით,
უსჯულონი აღიხოცნენ, მლეულ იქმნენ ქრისტეს ჯვარით.

ეხლა ჩვენი საქართველო აღარ ბრწყინავს ადრინდულად,
მას ჩემი ძმა ვერ ჰპატრონობს და ეპყრობა რაღაც მტრულად:
ფრთა შეჰკვეცა, დაამცირა, განაბნია იგი სრულად,
დიდი დედის ერთგულები გაიხადა მან ორგულად.

ამ დროს ჩვენის უთანხმობით უიასდინ რომ გაგაშმაგოთ,
დიდის ძალით მოგვადგება, რა პასუხი უნდა გაგოთ?
მთელი ხალხი გაიჟლეტგის... შენ მითხარი, თუ რა გარგოთ:
ერთის ქალის დაკარგვა სჯობს, რომ სამეფო არ დავკარგოთ!

ჩინგიზ ყეინს შეუყრია ჯარი ჩვენთან საბრძოლველად,
დარბანდს უკვე მოაღწია, მოსდებია მთა და ველად,
მოდის თურმე მუქარებით, მეფის თავის მოსაჭრელად,
საქართველოს დასარბევად, ჩვენი სისხლის შესასმელად.

ეხლა, შვილო, შენც იფიქრე, რა ცეცხლშია ეს ქვეყანა,
გონიერად დაუკვირდი, რა ძნელია გარდატანა:
ვით გაუძლებს საქართველო, ყოვლგნით მტერმა მოატანა,
სისხლით მორწყვას ელოდება ველი, ბაღი, მთა და ყანა!

ამ დროში რომ ეს სამეფო ისე იყოს, როგორც ძველად,
მეუდროებით, ძლიერებით, უშიშრად და უშფოთველად,
ირგვლივ მტერი არ ეხვიოს, არ სჭიროდეს სხვა მაშველად,
თამარს ცოლად შენ მოგცემდი, გაცხოვრებდი უზრუნველად.

ბუნებისგან მდიდრადა ხარ შემკობილი ხელოვნებით,
ათას სულთანს მირჩევნიხარ სიმედ ჩემის გემოვნებით,
საყიდელით ქალს არ გაძლევ, არც ვისამე შეგონებით,
მაგრამ რადგან ძლიერია, უნებურად გემონებით.

მე დედა ვარ, მისი გაყრა დამირჩება სანანებლად,
მოვკვდები და აღარ ველი თამარს ჩემად დამტირებლად;
მე შვილს ვკარგავ საქართველოს აღსადგენად, სადიდებლად,
შენც შესწირე შენს სამშობლოს სიყვარული მისდა მსხვერპლად!

სულთანისთვის ნათქვამ სიტყვას ვერ შევცვლი და ვერ გუმტყუნებ:
თამარს სხვაზე ვერ გაგათხოვ, მისგან ვეღარ დავიბრუნებ;
შენც მისდამი სიყვარული დასთმე, რჩევას ნუ მიწუნებ,
მე გიქნები დედაშენი, შენთვის მუდამ მე ვიზრუნებ".

„ბატონის დავ, ქვეყნისათვის კაცმა თავი უნდა დასდოს,
მამულს უნდა გამოადგეს, დედამ შვილი თუ დაბადოს;
ვინაც მოკვდეს სამშობლოსთვის, თვისი ვალი გადიხადოს,
ის უკვდავად ჩაითვლება და სიცოცხლეც დაიქადოს.

თუმცა გიცი, აღმისრულებთ ქადებულსა, დანაპირსა,
მაგრამ ვეღარ ამომიყვანთ მე ქვესკნელად დანამირსა:
თუ თამარი განმაშორეთ და მიეცით სხვასა პირსა,
თვით მეფობაც რომ მიბოძოთ, ჩემთვის ჩალად არა ღირსა!

ეს პირველი სიყვარული მომაკვდინებს, გამათავებს,
შავს მიწაში დამამინებს, ვითა ლოდსა გამაქვავებს;
უჩემობა თქვენს თამარსაც დაანაღვლებს, დაამავებს..."
შალვას ცრემლი მოერევა, სიტყვას ჰკარგავს, ვერ ათავებს.

„ვითა ჩვილი ვერ იცოცხლებს უმუმურად, ურძეობით,
და ხეხილი ზამთრისაგან მართლ დაჭკნების უმზეობით,
ეგრე თამარ ვერ იხარებს, დაილევის უჩემობით,
მოგიკვდებათ, ვერ უშველით ვერასგვარის შემწეობით..."

რა ესა სთქვა, ხმა ჩაუწყდა შალვას, ენა ჩაუვარდა,
რეტი თურმე დაესხვია, თავში სისხლი აუვარდა.
უკანასკნელ თაყვანი სცა, რა ეღონა ამის გარდა,
ვითა გიჟი, წამოიჭრა, კარებიდგან გამოვარდა.

რუსუდანი, სევდით სავსე, მარტოდ დარჩა გულმოკლულად;
არ ჰფიქრობდა, ვინმე ჰყავდა დარაჯად და მეკარულად;
თურმე თამარს ქალი უდგა მოყურადედ მუნ ფარულად;
რაცა მათგან მოესმინა, მოახსენა მასვე სრულად.

ამის ცნობით თუმცა თამარს ჭირი ჭირსა დაემატა,
მაგრამ შალვას სიყვარული მიემატა ერთიათად,
არც სურვილი დაუმალა მისი ხილვის, არცა ნატვრა,
და თავისი საწადელი კალმით ასე დაუხატა:

„შალვა, ჩემო სანატრელო, შენი თამარ მლივსღა კრინავს,
სტირის, ოხრავს, სული უწუხს, ხელი უთრთის, ტანში ზრინავს,
დღე იტანჯვის, ვერ ისვენებს, ღამით შფოთავს, ველარ სძინავს,
მხოლოდ მაშინ მოიოხებს, როცა ფიქრით შენთან ჰფრინავს.

გმადლობ, დედა ინახულე: ესვე იყო ჩემი ნდომა,
მაგრამ სრულად გაგიცუდდა შენი ღვაწლი, შენი შრომა;
ჩემდა ნაცვლად მოგიბოძა დიდი რისხვა, დიდი წყრომა,
მომავალი ნეტარება შეგიცვალა მწარედ დრომა.

დიდად გმადლობ, ვერ შეგიპყრა დედაჩემის რისხვის შიშმა,
ვერ შეგაკრთო მისგან შენზედ მოტანილმა იერიშმა;
ვერც სასყიდლით შეგარყია, ვერ დაგმლია ანგარიშმა!
ვითარ შეგზღო ბედისაგან სასიკვდილოდ გასათიშმა!

შენს ჩემდამი სიყვარულში ვნახე სულის მე სიმტკიცე:
უნაკლულოდ შეასრულე, რაც შარნის დღეს შემომფიცე;
ყოველი სიტყვა, შენგან თქმული, შენ კაცურად დამიმტკიცე,
მე ბედისგან დაჩაგრულმა თავში ლოდი უნდა ვიცე!

კვლავ ჩემგანაც მოითხოვდე სიმტკიცეს და ერთგულებას,
მე უშენოდ რომ დამაგდო, ვერ გავუძლებ ცეცხლთა დებას;
ეს იცოდე, უსიკვდილოდ არ დავყვები დედის ნებას,
აწ რაცა გსურს, შევასრულებ, შენგან ველი დარიგებას".



# ელიზბარის უეცარი სიკვდილი საპყრობილეში შემთხვევით შვილის ნახვისა გამო

ერთს საღამოს გახშმობის ჟამს ანათებდა ბადრი მთვარე,
სოლოლაკის ახლო-მახლო, სამხრეთის მხრით, ქალაქს გარე,
კლდის ნაპირას მხართემოზე იყო შალვა მწოლიარე,
ღრმა ფიქრებში შთავარდნილი, მოწყენილი, მგლოვიარე.

იქვე ახლოს ას ნაბიჯზე ხევის პირზე გადამდგარნი,
ჩანდნენ მეტად საზარელნი შენობანი, რაღაც შავნი,
სადაც მუდამ ისჯებოდნენ შემცოდენი, დამნაშავნი,
ან მეფეთგან შერისხულნი, ანუ გიჟნი საშიშარნი...

შალვა იყო მარტო მწოლი მამაცურად, არა მხდალად,
თითქო მთვარე დაემებდა, სხივს აფრქვევდა თვალში მალად,
დაინახა ორთა ჩრდილი, მიმავალი მისკენ ჩქარა,
ზე წამოხტა, რომ ხანჯალი მათთვის გულში გაეყარა.

შეამჩნიეს მოძრაობა, თვალი მოჰკრეს ხანჯლის პრიალს;
ერთმა მაღლად შემოსძახა, ხმა უგვანდა მეხის გრიალს:
„შეგანანებ, უბედურო, მანდ წოლას და მანდ კოტრიალს,
საპყრობილის სიახლოვეს როგორ ბედავ შენ ხეტიალს?“

შალვა მათგან მუქარებას ვერ ითმენდა, ჯავრდებოდა,
იჩქაროდა მათთან შეყრას, გულმესისხლედ ცხარდებოდა;
არ იცოდა, ვის ელოდა, შეცდომაში ვარდებოდა;
თურმე ერთი იმ ორთაგან დიდი მეფე ბრძანდებოდა.

რა შეიცნო შალვამ მეფე, გაუკვირდა, ეუცხოვა,
სევდისაგან შმაგადმყოფმა მსწრაფლ გრძნობები მოიგროვა,
თაყვანი სცა, შეცოდების მან ბოდიში მოითხოვა,
რისხვის ნაცვლად მეფისაგან სიტკბოება მოიპოვა.

მეფემ ბრძანა: „შალვა ჩემო, სად ყოფილხარ ასე ღამე?
მე უდროოდ შენის ნახვით იჭვები რამ შემოგწამე:
ვარსკვლავს მონად შეუპყრიხარ, გულზე სენი გაწევს რამე,
ანუ სატრფო დაგიკარგავს, მას ემიებ აქ თუ სამე".

შალვას ჩუმი ტანჯვისაგან ღაწვნი ცრემლით ემდუღრება;
მოახსენა: „დიდებულო, მარად ბედი მემუქრება,
ჩარხს უკუღმა მიტრიალებს და სურს ჩემი დამწუხრება,
ამის გამო მე ვარსკვლავიც აღარ მინათს, უკვე ჰქრება..."

მეფე ბრძანებს: „ეგ საგანი გონიერად გამოვხატოთ:
ღვინის კათხას ვერვინ გასთლის უოსტატოდ, უხარატოდ;
ვარს სანთელი თუ არ აკრავს, არ ანათებს გული მარტოდ,
მაშ პატრუქიც რომ არ დაჰქრეს, ლამპარს ზეთი უნდა ვმატოთ.

ვავს, ვისიმე სიყვარული გაგჩენია დასაწველად,
ჩაუგდიხარ უკვე ხარკში, აღარ გტოვებს უტანჯველად,
ვისი ბაღის ყვავილია, მომახსენე, ვინ ჰყავს მცველად,
ან კარები ვინ დაგიხშო და არ გიშვებს საუნოსველად?"

მოახსენა: „მეფევ, თქვენი მაქვს შიში და მორიდება,
ნუ ინებებთ გამომკითხოთ, ვისი ცეცხლი მეკიდება...
ჩემი ვარდი ედემშია, იქ იშვა და იქ იზრდება,
რომლის კარი მძლავრის ხელით დახშულია, არ იღება."

მეფემ ბრძანა: „სიყვარული რამდენადაც გაგამწარებს,
მით უმეტეს უკანასკნელ დაგატკბობს და გაგახარებს.
მომახსენე ბაღის მცველი, ვინც ამ ტანჯვას არ გაკმარებს,
მე მივიღებ მზრუნველობას, მე გაგიღებ ბაღის კარებს.

ჩემს სიყრმეში ბევრი რამე უნებლიეთ განმიზრახავს,
სხვის ბაღებში შევპარულვარ, ზოგჯერ მცველიც არ მინახავს,
სადაც იყო ჩემი სატრფო, მიმიგნია, მომინახავს;
მაგრამ ზოგჯერ ბედი ჩემი მიწყევლია, დამიძრახავს.

სიტყვას გამლევ, არ დაგაგდებ შენის ვარდის უნახველად,
თუ კარები ვერ გაგიღე, სხვა ხერხი მაქვს მოსაშველად:
გალავანში გადაგიყვან მე პატრონის უკითხველად,
ოღონდ მცველი წალკოტისა უნდა მითხრა უეჭველად".

ყრმა იშიშვის, ვერ ასრულებს მეფის სურვილს, მეფის ნებას,
სიტყვა პირში ეყინება, ვერ უბედავს გაწბილებას,
მოახსენა: „დიდებულო, გითხოვ თქვენგან მოთმინებას,
დროებამდის ნუ მიბრძანებთ ჩემგან ამის მოხსენებას".

შეიჭმუხნა მეფემ შუბლი, გამოჰხატა გულნაკლობა,
და ამ ლექსით აგრძნობინა შალვას წყრომა, არმადლობა:
„ვერ მივმხვდარვარ, თუ რას ნიშნავს ესდენ ჩემდა უნდობლობა,
ყოვლის შენის საიდუმლოს დაფარვა და უცნობლობა!"

მეფეს სურდა შალვასადმი გულისწყრომა დაეფარა,
არ დასაჯა, შეიწყალა, სულგრძელობა მოიხმარა.
ეს კი უთხრა: „სხვა სათქმელი შენთან მეო მაქვს აღარა!"
შემდეგ პირი მიიბრუნა, წაბრძანდა და გაეყარა.

შალვამ იგრძნო, რომ დაჰკარგა დიდი მეფის ყურადღება,
სევდა სევდას თან დაერთო, განუმრავლდა მწუხარება,
თვალთა ცრემლი დაედინა, ლაწვნი სისხლით შეეღება,
ვაებით და მუშტისცემით მკერდი სრულად დაელება.

რა მეფესა ყურთა ესმა შალვასაგან ტირილის ხმა,
შეეცოდა, დაუძახა: „აქ მოდიო!" — შორს განისმა.
ეახლა და თაყვანი სცა, ბედისაგან განარისხმა,
„რად სტირიო?" გამოჰკითხა გულკეთილმა, არამქისმა.

მოახსენა: „დიდო მეფევ, რა გაკადრო, ვით გაბედო?
ვერვინ მიცნობს უთვისტომოს, უმამო ვარ და უდედო;
თქვენ მწყალობდით, გაგარისხეთ, დავშთი თქვენგანც უიმედო,
ამას ვსტირი: რად შევიქმენ ყოველის მხრით მე უბედო!"

მეფემ ბრძანა: „არვის არგებს, უმიზეზოდ ცრემლი ჰღვაროს,
სნეულს ჰმართებს სატკივარი ექიმის წინ აღიაროს:
უამისოდ მას მკურნალმა ვით უწამლოს, მოეხმაროს?
შენ რას იტყვი იმ უმლურზე, თავის სენი ვინც დაჰფაროს?“

მოახსენა: „ყოველ საგანს კაცი სრულად ვერ გაიგებს,
ზოგჯერ მძიმე ავადმყოფიც წყლულზე წამალს არ დაიდებს,
მკურნალის წინ თვის სატკივარს ჰფარავს, ხმასაც არ გაიღებს,
რადგან იცის: რა შეიტყობს, თვით ექიმიც ხელს აიღებს“.

მეფე უცქერს გაოცებით, მას სახეზედ აკვირდება.
უთხრა: „სასჯელს აღარ მიგცემ, სიყრმე შენი მებრალება,
მსურდა გულით მე შენდამი მოწყალების მიწოდება,
მაგრამ დიდად ჰშიშობ, ალბათ, გაქვს რაიმე შეცოდება!“

მოახსენა: „ჩემგან თქვენი შეცოდება არ ეგების,
მაგრამ შავის ბედისაგან მიზეზი მაქვს მე ბრალდების:
ხვალ, მეფეო, თუ მიმიღებ, მთხოვნელი ვარ თქვენგან ნების,
აქამომდე დაფარული ჩემგან ყოვლი მოგხსენდების“.

ბრძანა: „თუმცა შენს პირობებს მივიღებ და დაგჯერდები,
ხვალ სამეფო საქმის გამო სასახლეში ვერ დაგხვდები;
ეხლა წადი, მომიცადე, მეც სიჩქარით დავბრუნდები!
მაგრამ არა, თან მეახელ, გიჯობს, ნუღარ დამშორდები!“

მეფემ შავის შენობისკენ გაუშვირა შალვას თითი,
უთხრა: „შენში ხასიათი დავინახე მე ამითი:
ხარ საუნჯე, ხვაშიადის არგამცემი და ბეჯითი,
ესლა მინდა, მეც გიჩვენო დიდის ნდობის მაგალითი.

ერთი ტყვე მყავს საგიჟეში, მივალ მისად სანახავად,
მეტისმეტად დასჯილია, იტანჯება საცოდავად;
ის ითვლება ჩემს წინაშე სასიკვდილო დამნაშავად,
ჭკუისაგან შეშლილია, ვეღარას ჰგრძნობს თავისთავად.

რომ შეიპყრეს, სწორედ მაშინ დაჰკარგვია საწყალს შვილი,
მკვდარია თუ დამხრჩვალია, ეს არ იცის მან ნამდვილი...
გონებაზე შემცდარია, არც შიში აქვს, არც სირცხვილი,
მძაფრის სიცხით იდაგება, ნელ-ნელ დნება, ვითა ცვილი.

გუშინ მცველმა მომახსენა, უთხოვია ჩემი ნახვა,
გონებაზე მოსულაო, გაჰქრობია ცუდი ზრახვა,
თუ რომ ეგე დასტურია და არ არის მხოლოდ ჩმახვა,
გადავსწყვიტე გამოუგანა, მიტევების მაქვს განზრახვა.

უბედურის ფათერაკით გაიფუჭა თავი მალით,
ოცდაორი წელიწადი ციხეში მყავს დანამალი;
არ ჰგონია ალარავის, რომ ის არის კვლავ ცოცხალი;
ეხლა კი მსურს რომ შევუნდო, მადევს მისი ცოდვა-ბრალი!"

და გამოჩნდა იმ საზარი საპყრობილის შენობები;
წინ წავიდა დაჩქარებით ციხისმცველი, მეფის მხლები,
მან სიბნელის გასანათად მოუკიდა კელაპტრები,
მსწრაფლ გააღო ციხის კარი, თან ჰქონოდა გასაღები.

რა შევიდნენ, კიბე შევლეს, ოთახები გაიარეს,
იქვე იყო სხვა ოთახი, ჰგავდა რაღაც მგლოვიარეს,
კელაპტრებმა შუქი მისცეს ბნელით მოცულ არემარეს,
ერთ კუნჭულში თვალი მოჰკრეს კაცს უმრავად მწოლიარეს.

ხმაურობა თურმე ესმა, რა გააღეს ციხის კარი,
კრუსუნით და მძიმე ფშვინვით მლივს გაინძრა ცოცხალ-მკვდარი,
კაცს ბალანი მთელ სახეზე მოსდებოდა ვით ჯაგარი,
მხოლოდ თვალნი უბრწყინავდნენ, სხვაფრივ იყო შესაზარი.

თმა და წვერი წელამდისინ ჩაჰკიდოდა, ვითა მჭვარტლი,
გადასთხმოდა ერთმანეთში დაჭუჭყული, დანაყარტლი,
აქა-იქა ბალნის ძირში ულოღავდა რაღაც მატლი,
შიგ ჰბუდობდა, ნავარდობდა, ქსელს აბამდა დედა-ზარდლი.

მცირედ თავი წამოსწია, თვალი ჰკიდა ჭერსა ზედა,
შემდეგ რაღაც სიამითა უცნობ ჭაბუკს გადახედა:
მიიზიდა მისმა სახემ, გრძნობის თვალით დააშტერდა,
და დასასრულს თვისი ჭვრეტა გადიტანა მეფეზედა.

„ოჰ, მტარვალო, ჩემო მეფევ! — შემოსძახა ხმაგაწყვეტით: —
ასლოს მოსდეგ, სულთამხუთო, დასტკბი ჩემი აგი ბედით,
ამას აქით ველარ მნახავ, ეს იცოდე გადაწყვეტით...
მაინც გმადლობ, უკანასკნელ რომ დამატკბე შენის ჭვრეტით!

გევედრები, მოდი ახლოს, შენგან ტანჯულს შემომხედე...
ნუთუ სრულად მომიძულე, სამუდამოდ გამიმეტე?
შენგან ასე დავიწყების არ ვიყავი მოიმედე,
ღმერთსა შევთხოვ, მოგიტევოს, რაც კი ჩემზე იმოქმედე.

იმედი მაქვს, დიდი ღმერთი აქ სატანჯველს იქ მაკმარებს,
ჩემს თავს მალე მოგაშორებს, შემაერთებს წინაპარებს:
ჩემი თამარ დედოფალი წმინდა სახელს მუნ ატარებს,
მწამს, მიმიღებს მოწყალებით, თავის დროშას დამაფარებს!

მეც ვუამბობ, დიდებულო, შენს მეფობას და ქველობას,
შენს სიყვარულს ერისადმი, შენგან ხალხის მმართველობას,
მტრის დამლევას, გამარჯვებას, მტკიცედ სჯულის დამცველობას,
შენს სიუხვეს, ჰურადობას, შენს სამართალს და მსჯელობას...

ლაშავ, როცა საწყალობლად დამინიშნე აქ სადგომი,
მაშინ სიყრმე მამშვენებდა, სახით ვიყავ მონახდომი;
სიჩაუქეს მიქებდიან, ვეფხის მქონდა მე ნასტომი,
გულადობით და ძალ-ღონით ვერ მჯობნიდა ხვადი ლომი...

ესლა შენის მოწყალებით სასიკვდილო ოფლი მცვარავს,
ერთს პატარა ზღვას შეადგენს, მე რომ ცრემლი დამიღვარავს;
თმა და წვერი ჯაგრად მექცნენ, ტანს და სახეს მთლად მიფარავს...
მითხარ, ჩემი შემოსედგა რომელ სულდგმულს არ შეჰზარავს!

ამ ციხეში ტანჯული ვარ ოცდაორი წელიწადი.
ერთი მუშუთვაჯი მყვანდა, უბედურს დღეს დანაბადი,
მითხრეს, წყალში დაიხრჩოვო, ვერ გავიგე ვერა ცხადი:
ვის შესტკივა ჩემზე გული, ვის აწუხებს ჩემი დარდი!“

მეფემ დედა დაიფიცა, დაიმოწმა მაღლით ღმერთი:
„ჩემთა ყმათა წარგზავნილთა თვე იარეს შეუწყვეტლივ,
სძებნეს, მისი ვერ გაიგეს, დაიარეს ქართლ-კახეთი,
ვერც მიმა და ვერც გამზრდელნი ვერ იპოვეს მათ ვერც ერთი.“

„კმარა, მეფევ, ნუღარ მტანჯავ! — უბედურმა უთხრა ცივად, —
რაც დიდება მომანიჭე, საკმაოა ჩემ პატივად,
ერთხელ გარეთ რომ გაგეშვი, ვიქცეოდი კვლავ არწივად,
თუ ცოცხალი ვიპოვნიდი, შენ გიძღვნიდი გმირსა გივად.

აღარ მახსოვს, მზე და მთვარე რა წესებით განაგებენ!
ურიცხვია ცის მნათობი, თითო-თითოდ სახელს სდებენ,
მათ ეტრფიან ქვეყნიერნი, მათ ამკობენ, მათ აქებენ,
მე კი მათაც შემიძულეს, ჩემთვის აღარ ანათებენ...

სად ხარ, ჩემო სიყრმის შვილო, ვინ გამოგჭრა ბროლის ყელი,
ვინ უღმერთომ გაისვარა მაგ უმანკო სისხლით ხელი?..
ნუთუ ჩემთვის არ კმაროდა სხვა წვალება, სხვა სასჯელი:
მიკვირს, სული რადღა შემრჩა, ვით არ მოვკვდი, ვით გავსძელი!

შვილო, მამა უბედური ვინ შობილა ჩემისთანა!
ნუთუ მართლა ალაზანმა თვის მორევში ჩაგიტანა?
ან იქნება ვინმე მტერმა გულს დაგარჭო ბასრი დანა...
მიკვირს, ღმერთო, ესდენ ცოდვებს როგორ ზიდავს ეს ქვეყანა!“

სთქვა: „ბოროტის ენისაგან მაქვს ყოველი მონახდენი,
უშვილძიროდ მოსპობილი ვკვდები, ჭკუას შენაცდენი...“
მერე შალვას მიაქცია მან თვალები ცრემლნადენი:
„მე თუ შვილი შემრჩებოდა, იქნებოდა ამოდენი...

აწ, მეფეო, შეიბრალე ეს ჭაღარა ჩემი თავი,
მე საფლავის კარებიდან გევედრები მომაკვდავი:
მითხარ, თუ გინდ დამატყუე, ცოცხალია საცოდავი?
ან თუ მოჰკლეს, ვისმა ხელმა გაუთხარა მას საფლავი?..

ცრუ სოფელმა მიღალატა, აქ ცხოვრება არ შემარგო,
წმინდა თამარ დედოფალთან ვემზადები, გადვიბარგო;
ვითხოვ, ღმერთმა მიუტევოს, ვინც ეს ხვედრი მე მომაგო...
სად ხარ, ჩემო ქორფა შვილო, ჩემო შალვა, ჩემო კარგო?!“

რა ჭაბუკმა მოხუცისგან ეგ სახელი გაიგონა,
დაიყვირა: „მე ვარ, მამავ, შენი შვილი, შენი მონა!“
მივარდა და მოეხვია, მაგრად გულში ჩაეკონა...
მეფე რაცხდა მოჩვენებად, სინამდვილე არ ეგონა.

აწ რამდენად დამსწრეთათვის საშიშ იყო სასმენელად,
ანუ რამდენ საგრძნობელი გარეშეთა საცნობელად,
მის აღწერას რომ შევუდგე, მეჩვენება, გაგლახ, ძნელად:
მიმინდვია მკითხველთათვის ეს შემთხვევა განსასჯელად.

პირველადვე მისმა ნახვამ შალვას იჭვი დაუბადა,
მაგრამ სანამ არ დარწმუნდა, მოითმინა, მოუცადა;
რა სახელი მისგან ესმა, ვერ დაჰფარა, განუცხადა,
მოხუცს ცნობა დაეკარგა, მსწრაფლ გონება მიეხადა...

ალერსით და ჩახუტებით შვილმა მამას ვერ უშველა;
ცივი წყალი მოითხოვა, ციხისთავმა მიაშველა;
მამას თავზე გადაასხა და გულ-მკერდი დაუსველა:
შეკრთა, თვალნი აღახილა, გადმობრუნდა, დაახველა.

სთქვა მოხუცმა: „მილსა შინა დამიძახა ვიღაც მესხმა,
ჩემდა ნუგეშსაცემელად მან წარმოსთქვა ვითომ მესხმა,
მითხრა: — შენი შვილი ვარო! — ჩამრჩენია ყურში ეს ხმა,
აღარ მახსოვს, აქ დამძახეს, თუ ზეციდგან შემომესმა...“

„მე ვარ, მამავ, შენი შვილი, შენგან მესხეთს დანამალი.
ღმერთმან შენზედ მოავლინა მისი უხვი სამართალი:
მეფემ სრულად გაპატიგა შეცოდება, შენი ბრალი,
ეხლავ გავალთ ამ სახლიდგან, მოთმინებას მიეც ძალი.“

დაუყვირა: „ეგ ტკბილი ხმა, შვილო, კვალად ჩამომძახე,
მოდი ახლოს, შვილო, ჩქარა დამანახვე შენი სახე...
ეგრე, ეგრე... ჩამეხვიე, გულზე ხელი შემომახე...
ვკვდები, თვალნი მეხუჭვიან, შემდეგ ცრემლით მივაგლახე.“

ხელით იწყო ფათურობა, უტყვად ეგდო მცირე ხანი,
ცნობა სრულად დაეკარგა, გაუშეშდა ხორცის კანი,
მარღვში სისხლი გაუჩერდა, გაუცივდა მთელი ტანი
და ამგვარად დაასრულა წუთის სოფლის კიდე-განი.

ყრმა მამასა უძახოდა, მაგრამ ვერა შეასმინა,
ხელს უსვამდა, ეხვეოდა, დაჩოქილი ედგა წინა.
დაკარგულის შვილის ნახვით მან სიკვდილი შეიძინა,
უეცარის სიხარულით საუკუნოდ დაიძინა.

შალვას გული ამოუჯდა ცხელის ცრემლით ატირებულს,
ვერ შეხედებით ვერა სულდგმულს აწ ამაზე გაჭირვებულს,
ეწაფება, ხშირად ჰკოცნის მამის სხეულს გაცივებულს...
ხელი სტაცა, ააგლიჯა მეფემ იგი მიცვალებულს.

მეფემ უთხრა: „კმარა, შვილო, ტირილი და ცრემლთა თხევა,
ჭეშმარიტად ჩვენ განგებით მოგვივიდა ეს შემთხვევა;
უკანასკნელ შენ მიიღე მამის ლოცვა და კურთხევა,
მეც შემინდე შეცოდება, შემიცვალე ლოცვად წყევა.

დღეს სიკვდილით დაბოლოვდა ჩემი მკაცრი განაჩენი,
მან ჩემს გამო მწუხარებით დაასრულნა თვისნი დღენი;
მეც ზომაზედ უმაღლესი საქმე შემხვდა დღეს საწყენი:
თუ იცოდი, რად არ მითხარ, რომ ეს იყო მამაშენი?“

მოახსენა: „მე ვიცოდი, დამნაშავედ ითვლებოდა,
ამის გამო მეშინოდა, ჩემგნით რაღა ითქმებოდა?!
მაგრამ ეს კი არ მეგონა, სატუსაღში ვით ლპებოდა,
არ ვფიქრობდი, ქვეყანაზედ კვლავ ცოცხალი იქნებოდა!“

მეფემ ბრძანა: „რაღას გვარგებს აწინდელი მწუხარება?
სხვისის ენით მომივიდა მისი წყრომა, მძულვარება;
ვიცი, მისგან ფათერაკად მოსდა ჩემი დაბრმავება,
ღმერთმან მის სულს დაუმკვიდროს საუკუნო ნეტარება!

თუმცა მამა დაგეკარგა, შეიქმენი მისგან ობლად,
მაგრამ სრული ბედნიერი არვინ არის ამა სოფლად!
მამის ადგილს მე დავიჭერ, მიგულვებდე შენად მშობლად,
გვარს და მამულს დაგიბრუნებ მისის სულის შესანდობლად.

ხელმეორედ ნუ ინდომებ აქ შემოსვლას, მამის ნახვას,
გონიერად მოიქეცი, დაჰმორჩილდი ჩემს განზრახვას;
თუ გამიგეს ეს შემთხვევა, ხალხისაგან ველი მრასვას,
მე ვიზრუნებ საიდუმლოდ ღირსეულად მის დამარხვას“.

თუმცა შალვას საცხოვრებლად აღარ სურდა ეს ქვეყანა,
მაგრამ მაინც ყურადღებით მოისმინა, რაც უბრძანა;
მამას ყელზედ მოეხვია, ცრემლით სახე გადაჰბანა,
მეფემ ხელი დაუჭირა, წაბრძანდა და წარიტანა.

შალვა ესრედ აღრეული არ ყოფილა თავის დღეში,
თვალთა წინა ეხატოდა დატანჯული მამის ლეში;
უპატრონოდ, უსამართლოდ დაგდებული შავს ციხეში...
გამობრუნდა, აღარ შეჰყვა მეფეს იგი სასახლეში.



იტყვის: „ჩემებრ განწირული ვინ ყოფილა სოფლად არსი,
ვის უნახავს ხორციელი უბედური, ჩემი მსგავსი?!
შობიდგანვე მე სასტიკად მტანჯავს ქვეყნის დამაარსი,
ალბათ ვიყავ ამის ღირსი და ამიტომ მხამი მასვი!

ოცდაორი წელიწადი მამა მყავდა დაკარგული;
მეფემ შვილი დაუბრუნა, გვარი მისცა და მამული...
რომელს წამსაც მრევლინა მისის ტანჯვის დასასრული,
თვით იმ წამში საცოდავმა განუტევა, ვაგლახ, სული!

მომცა ღმერთმა მე საცოლე, ცის მნათობში ვერ არჩევენ,
შემხედველნი ჰგიჟდებიან, სურვილითა სულსა ჰლევენ,
მისის ტრფობით თვით მეფენი ერთმანეთის სისხლს ანთხევენ...
უმოწყალოდ მექცევიან, გულით მგლეჯენ, სხვას აძლევენ“.

ამის ფიქრით გაუწყვეტლად მოსდიოდა ცრემლი ღვარად,
მამა-ფლასით შეიმოსა, ახლოს არვინ გაიკარა.
ხან დუმილი შეიპყრობდა, ხან თავის ბედს უჩიოდა,
იჯდა მუდამ სიბნელეში, გული ცეცხლით უღვიოდა.

ქართველების ჩვეულებით იგლოვდა და მარხულობდა,
წუთისოფელს ემდუროდა, ვითა ხელი ჩურჩულობდა;
სევდით იყო შეპყრობილი, მარად სიკვდილს ნატრულობდა,
არც წირვაზე დადიოდა, აღარც თამარს ნახულობდა.

თვალთა ცრემლი ჩამოჰქუხდა, ვითა სეტყვა, ვითა კოხი,
ამ დროს ქალი კარს მიადგა, ხელთა ეპყრა მცირე ჯოხი,
და წერილი მიუტანა, თამარისგან მოსაოხი,
სატრფო სწერდა: „მოგელიო იქ, საცაა ბებრის ქოხი“.

ადგა, ნახვად წამოვიდა, მათი შეყრა გაიოცნეს,
გაუკვირდათ, მწუხარებამ რად ორნივე არ დახოცნეს,
თვალნი, ცრემლით მონარწყავნი, მოიწმინდეს, მოიხოცნეს.
და ბაგენი შეაწებეს, ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

შალვამ უთხრა: „სულთა დგმაო, სჯობდა ჩემი დაგეჯერნა:
რუსუდანი ვერ გაგვყრიდა, ჩვენ რომ ჯვარი დაგვეწერნა!
ეხლა ისიც გაგარისხეთ, უმოწყალოდ დაგვემტერნა,
საწამლავი გადაგვასხა, ორთავ გულნი დაგვისერნა.

ჩემმან თხოვნამ ვერ დასძლია მის საზიზღარს გულხარბობას,
არ აფასებს ჩვენს სიყვარულს, შურით არღვევს ჩვენს ერთობას;
ჩემგან უკვირს, როგორ გამხელ, გითარ გბედავ მის სიმობას,
და შეჰხარის საბერძნეთის დიდის სულთნის სიდედრობას".

ქალმა უთხრა: „დედაჩემი ბოროტია, არაწმინდა,
შენს თავს თვითონ შემეცილა, მაზედ გული გამიყინდა;
ეხლა ცდილობს, ჩვენც გაგვყაროს, აგვიმტერდა, ჩაგვიყინდა,
თუ მოგშორდი, თავს მოვიკლავ: მე შენს მეტი არვინ მინდა.

ჩვენი საქმე ჯერ არ იცის არცა მეფემ, არცა ხალხმა.
ორთავესთვის უკუღმართად იწყო ბრუნვა ბედის ჩარხმა;
ყოვლი ღონე მოვიხმაროთ, დავაბრუნოთ ისევ წაღმა:
ერთი რამე მოვისაზრე, თუ იქნები შენც თანახმა.

ნიკოლაოზ კათალიკოსს უჯერებდა დედა ერთ დროს,
მოციქულად მივუგზავნოთ, შეგვახვეწოს, შეგვავედროს,
რჩევა მისცეს, დაითანხმოს, მოალბოს და მოამდედროს,
სიკვდილისგან გამოგვიხსნას და სიცოცხლე შეგვახვედროს".

შალვამ უთხრა: „არის ტკბილი ყოველივე შენგან თქმული,
მაგრამ ვიცი გარდაწყვეტით, ვერას გვარგებს მოციქული,
დამიჯერე, არ მოლბება რუსუდანის ურჩი გული,
საბერძნეთის სულთნისაგან არის იგი მოსყიდული.

ნიკოლაოზ კათალიკოსს ჩვენი ბედი რომ მივანდოთ,
დედაშენი გარისხდება, შური ახლად რად დავბადოთ?
დრომდის ჩვენი საიდუმლო, სჯობს, არავის განვუცხადოთ,
მოთმინება ვიქონიოთ, კვლავ შემთხვევას მოვუცადოთ".

თვისის ბედის გარდაწყვეტას თათბირობდნენ, ბაასობდნენ,
განთიადის შური ჰქონდათ, სიყვარულით ალერსობდნენ;
მათ სოფიო ახლდათ თანა, მასთან არას ნამუსობდნენ,
ხშირად ბაგით ერთმანეთსა სიტკბოებას გამოსთხოვდნენ.

მთელი ღამე გაატარეს ამა ყოფით, ამა წესით,
მაგრამ ვერა გარდასწყვიტეს ვერც ტირილით, ვერც ალერსით;
დილით ადრე გაიყარნენ მწუხარებით, სულის კვნესით,
აწ ორნივე დაისაჯნენ სატანჯველით უარესით.



# ანდერძი მეფისა ლაშა-გიორგისა

განვლეს დროთა რაოდენთა ორთავესთვის უფერულად.
შობიდანვე ბედი მათი მოქმედებდა თურმე მტრულად;
თვითონ მეფეც შექმნილიყო საწუთროზედ გულნაკლულად,
თავი ეგრძნო სიყრმისაგან სიბერეში გარდასულად.

ერთხელ დილით მეფის სახლში ბრძანდებოდნენ შეკრებილნი
ქართლის თავად-აზნაურნი, საზეიმოდ განწყობილნი,
მტერთა რისხვით აღმომწყვეტნი, მოყვასთათვის ენატკბილნი,
მშობელ ქვეყნის დასაცავად მზადმყოფნი და მხრებგაშლილნი.

ამ დროს მეფე გამობრძანდა სახელმწიფო სამოსელით,
თავს გვირგვინი უმშვენებდა და ფაენი ეპყრა ხელით,
ტანი სრულად დაეფარა მარგალიტის მოსასხმელით,
ალმასით და იაგუნდით შიგრეულით, ფასუთქმელით.

მუნ სამეფო ტახტი იდგა, ზე აღვიდა მეფე ბრძენი.
მარჯვენის მხრით ჩაუმწკრივდნენ სამღვდელონი, თანდამსწრენი,
მარცხნით მისნი დიდებულნი, მოხელენი, მოწესენი,
მსწრაფლ მოიცო დუმილებამ ვინცა იყო დანაშთენი.

ბრძანა მეფემ: „დიდთა ჩემთა წინაპართა შთამოებით
მე სამეფო ტახტ-გვირგვინი მიმიღია ღვთის განგებით;
აწ განვაგებ ძალისაებრ თქვენისავე დახმარებით,
მაგრამ არ გვაქვს მეუდროება, მარად შფოთში ვიმყოფებით.

თქვენცა უწყით, დიდებულნო, არის წელნი მრავალ ასნი,
საქართველოს ახვევიან ოსმალონი, თურქნი, სპარსნი.
აქაურნი რიყის ქვანი იმათ უჩანთ, ვით ალმასნი,
და სურთ, ჩვენის დამონებით განადიდონ მათნი დასნი.

დედაჩემის თამარის დროს ყველას გახსოვთ ქართველთ ბრძოლა,
ოსმალების ჩვენგან ძლევა, განდევნა და ისართ სროლა,
ლეშმა მათგან დაშთენილმა ეს ქვეყანა აუროლა,
იმის შემდეგ ვერ ჰბედავდა ჩვენს გინებას მათი მოლა.

ეხლა სულთანს ხვარასნისას შემთხვევია საქმე მნელი,
ჩინგიზ ყეინს გაუმართავს მასთან ბრძოლა საშინელი,
ძლევა ყეინს დარჩენია, გაქცეულა ხორასნელი;
რაც ჰქონიათ, დაღუპვიათ — ხაზინა თუ საქონელი.

ჯალალედინს ხორასანი უპატრონოდ დაუგდია,
გადმოსულა, ნახჭევანი თურმე ხელში ჩაუგდია,
სოფლებს ჯარით შესევია, ნაცარტუტად გაუხდია,
ჩემთან წერილს იწერება, თავი ისე აუგდია!

არა ჰფარავს ჩინგიზისგან მორევნას და დამარცხებას,
გამოითხოვს ხორასნელი ჩემგან ჯარის დახმარებას.
მაგრამ თხოვნის ხასიათი ემსგავსება მუქარებას:
თუ არა ვიქმ, ჩხუბს გვიცხადებს და გვექადის აოხრებას.

ოსმალონი მარად ჩვენთან ამ წესებით მოქმედობენ:
როცა მათთვის საჭირო ვართ, მლიქვნელობით მიგვიმსრობენ,
ბოლოს მაინც გვიმუხთლებენ, განა წამით დაგვინდობენ,
თუ დრო ნახეს, უმოწყალოდ დაგვაქცევენ, დაგვამხობენ...

თქვენ რას ბრძანებთ ამ საქმეზედ, ჩემნო კვერთხნო და იმედნო,
მამულის და სამშობლოის სიმაგრენო, ნათლისვეტნო,
მოყვარეთა სიქადულნო, მტერთა მსგრელნო, აღმომწყვეტნო,
სახელმწიფოს ბედ-იღბალის გონიერად გადამწყვეტნო?"

კრება ჰკვირის: „თანახმა გართ, დიდო მეფევ, რასაც ბრძანებთ:
მოვემზადოთ საბრძოლველად, დიდად ნუღარ დავახანებთ,
ჯალალედინს თავის ქადილს, იმედი გვაქვს, შევანანებთ,
მათს ქონებას ხალხს გავუყოფთ, დაგამარცხებთ ხორასანებთ!“

ზაქარია სპასალარი ამ დროს იყო გარდაცვლილი,
სიყრმითგანვე ბრძოლის ველზედ სარდლობაში გამოცდილი.
იოვანე არღუთაშვილს შეუსრულდა დღეს წადილი:
თვით იწოდა ათაბაგად, დაიჭირა ძმის ადგილი.

მეფემ ბრძანა: „როცა ჯარი მოგროვდება, გავშლი ხელებს,
მაშინ ჩვენი ათაბაგი წაუძღვება წინ ქართველებს.
იმედი გვაქვს, ჩვეულებრივ, სისხლით მორწყავს მინდორ-ველებს,
თავის თავსაც გამოიჩენს და ჯარებსაც ასახელებს.“

ათაბაგმა მოახსენა მეფეს სიტყვა მონებრივი:
„ლომებრივთა თქვენთა სპათა შეჰფერს გამგე ლომებრივი,
მე სიბერემ დამასუსტა, დამიბნელა თვალთა სხივი,
დღეს ვერც ერთში ვერ ვივარგებ: ბრძოლა მოხდეს, თუ გინდ კრივი.

სხვადასხვა დროს ჭრილობებით სისხლი გაშრა, დამეხარჯა,
კაცი ფეხზე ძლივსღა ვდგავარ, რა დროსია ჩემი გარჯა!
დავუძლურდი, აღარ მიჭრის აღარც ხმალი, აღარც მაჯა,
მე სარდლობას ნუ მომანდობთ, შეისმინეთ ჩემი აჯა.

მრავალნია ჩვენს ლაშქარში ჩინებულნი ახალ ყმანი:
ბოცო, შამშე, ლომი შალვა, განთქმულია მათნი ხმანი,
აღირჩიეთ უკეთესი სარდლად ერთი იმათგანი,
სპასალარად აღიყვანეთ, მიანდევით თქვენი სპანი.

აწ, მეფეო, რაც გაკადრეთ, გირჩევთ, ასე მოახდინეთ:
ერთი მათში უმჯობესი მეთაურად დაადგინეთ.
მე თუ სადმე საჭირო ვარ, თანაშემწედ მიმიჩინეთ:
მზად გახლავართ, მამულისთვის მომიხმარეთ, მომაკვდინეთ!“

მან უბრძანა: „ათაბაგო, მოვისმინე შენი რჩევა.
ჩვენს ლაშქარში შენი მჯობი დიაღ ბევრი აღირჩევა,
გისაც მეტად შეუძლიან მტერზედ მისვლა, ხმლის მოქნევა,
მაგრამ სიმხნეს საქმისათვის ჭკუა სჯობს და გამორჩევა.

გადავწყვიტე, აღარ დავშლი, შენ ითვლები მეთაურად!
მამულს უნდა ემსახურო, რაგინდ იყო დღეს უძლურად,
შეიწიე ყმაწვილები, მოექეცი ყველას ძმურად,
ღირსეული ადგილები განუწესე სამსახურად.

ნუ გექნებათ ერთმანეთში სიხარბე და უთანხმობა:
ძირი არის ბოროტების სიძულვილი, შური, მტრობა!
აღიხოცეთ გულისაგან საკუთარი სარგებლობა,
დააფუძნეთ ხალხთა შორის სიყვარული და ერთობა.

გახსოვდეთ, რომ გასული ხართ სამშობლოის დასაცველად,
გახსოვდეთ, რომ თქვენ საერთო მტრებს მოელით საბრძოლველად,
რაცა ჩვენთვის წინაპართა შეუნახავთ შეურყევლად,
მოვალე ვართ, ჩვენს მომავალს დავუტოვოთ ისევ მთელად.

გახსოვდეთ, რომ აქ მარხიან წინაპართა ჩვენთა ძვალნი:
დახოცილან მამულისთვის, დღესაც სჩანან მათნი კვალნი.
ჩვენც მივბაძოთ, აღვასრულოთ მათებურად ჩვენი ვალნი,
მათ პირნათლად შევეყარნოთ, ჩვენც იქა ვართ მიმავალნი!

ვინც ნამდვილი ქართველია და სიხარბეს არ გაჰყვება,
ის ქართველი მტერთან ომში არაოდეს არ შერცხვება;
თვის სიცოცხლეს არ დაზოგავს, სიკვდილს გმირულ წინ დახვდება:
საბოლოოდ მას დარჩება სახელი და გამარჯვება!“

ხალხი ჰყვირის: „გაუმარჯოს ჩვენს პატარა საქართველოს,
ერთობა და სიყვარული მის შვილთ შორის განავრცელოს,
ბედნიერი მეფე ბრძენი აცოცხლოს და ადღეგრძელოს!“
მეფე სიტყვას დაუბრუნდა და სურს კვალად განაგრძელოს...

ბრძანა: „მე დრომ მომახუცა, მიღალატა, მომდგა სელი,
დავუძლურდი, დავსნეულდი, როგორც კაცი ხორციელი!
ვხედავ, დღენი დამიმოკლდნენ, ვემზადები, სიკვდილს ველი,
ამ მიზეზით, დიდებულნო, ანდერძი მაქვს აწ სათქმელი.

თქვენგან ვითხოვ, შემდეგ ჩემსა ისვე დარჩეთ, რაც იყავით,
ჩემს დაკარგვას ნუ ინაღვლებთ, მე ნუ მიგლოვთ ძაძა-შავით;
ყური უგდეთ, ეპატრონეთ, გამოზარდეთ ჩემი დავით,
მტერსა მტრობით უპასუხეთ, საქართველო დაიცავით.



თუ რამ გცოდეთ, შემინდევით, სული ჩემი მოიგონეთ,
ეს ანდერძი უცვალებლად ამისრულეთ, გამიგონეთ:
ჩემი შვილის წამოზრდამდის რუსუდანი იბატონეთ,
მეფედ დასვით დროებამდის, იყოლიეთ მეპატრონედ."

კრება ჰყვირის: „ღმერთმან დავით ბედნიერად გამოზარდოს,
მისცეს ლომის ძლიერება, ვეფხისაებრ გაამარდოს,
ერთგულთათვის მოწყალე ჰქმნას, მტერზედ რისხვით ანავარდოს,
მისის აღზრდით საქართველო მხიარულ ჰყოს, არ ადარდოს!"

უკანასკნელ მეფისაგან სიტყვა ესმათ წარმოთქმული:
„თქვენც იცით, რომ სახლში მიზის გასათხოვი მე დისწული,
საბერძნეთის მეფისაგან მომივიდა მოციქული,
დღეს თამარი სადედოფლოდ მისგან არის დაწინდული".

მაშინ ისევ ატუდა ხალხში ჩოჩქოლი და მღელვარება:
„იყოს თამარ ბედნიერი!" ერთხმად ამბობს მთელი კრება:
„საბერძნეთის ხელმწიფესთან თუ გვეღირსა დამოყვრება,
დღეს გვმართებსო ქართველობას უსაზომო ნეტარება."



ამა ცნობით ერთს იმათგანს აღუშფოთდა მწარედ გული:
მოაგონდა მისი სატრფო, მისი ტკბილი სიყვარული...
ვეღარ დასთმო, გარს გავიდა სევდისაგან ფერწასული,
იგი იყო ჩვენი შალვა, ბედისაგან დაჩაგრული.

მეფემ ბრძანა: „დიდებულნო, ეხლა ესეც მოისმინეთ:
ვითარ დღემდის, მამულისთვის კვალად ჭირნი დაითმინეთ,
ჯერ მიბრძანდით ეკლესიად, ჰარაკლისი მოისმინეთ,
შემდეგ ჩემთან ციხის ბაღში ინადიმეთ, მოილხინეთ“.

ლოცვის შემდეგ დიდებულნი ციხის ბაღში ნადიმობდნენ,
ჯიხვებს სცლიდნენ და ურთიერთს ალავერდით დაუთმობდნენ,
ზურნა-დუდუკ-დაირაზედ ყმაწვილები თამაშობდნენ,
ჩანგი სმენას დაატკბობდა, თან მღეროდნენ, თან გალობდნენ.

ლხინის გამო აღარ იყო ყურთასმენა, გაგონება,
მეფემ შალვას შეამჩნია მოწყენა და დაღონება.
გაიფიქრა: მიზეზია მისგან მამის მოგონება,
ობლობას გრძნობს, მწუხარებით დაუკარგავს გლახ გონება!

გაიხსენა მეფემ მისგან შალვასადმი ქადებული, —
თავის სიტყვას არ შესცვლიდა, წესად ჰქონდა დადებული.
ბრძანა: „დრო შევასრულო, ვარ ამისი ვალდებული...“
კრებას სთხოვა მოისმინოს სიტყვა, მისგან ბრძანებული.

ბრძანა: „მრავალს გეხსომებათ, წინად წლისა ოცდაორის
იყო კაცი ნიჭით სავსე დიდებულთა თქვენთა შორის, —
ზნით მაღალი, გულად ლომი, არმოყვარე ცრუ და ჭორის...
ჭკუას შესცდა, დაგვეკარგა, მსხვერპლად იქცა ტყე და გორის.

გვარად იყო ერისთავი, უწოდებდნენ ელიზბარად,
თავის მამულს ერთგულებით მსახურებდა გაუმცდარად;
უმემკვიდროდ გარდაიცვალა, — მოვიგონებთ აწ აღარად, —
ცოტას ვხედავთ მის თანასწორს გასაჭირში მოსახმარად.

ელიზბარის მოსაგონრად აწ ვაცხადებ მე ჩემს ნებას:
შალვა ჭაბუკს მივანიჭებ მის მამულს და გვაროვნებას,
უცილებლად ეპატრონოს უძრავ-მოძრავ მის ქონებას.
აჰა, სიგელს ბეჭედს ვასვამ და ვამტკიცებ ამ ბრძანებას!“

ასარფეშა გამოსცალა, მეფემ შალვას მიულოცა.
შალვა ზეზე წამოვარდა, შესაფერი მადლი მოსცა:
სუფრიდგანა გადმოვიდა, თაყვანი სცა, ხელთ აკოცა,
თვალთა ცრემლი გადმოსდინდა... შეუმჩნევლად მოისოცა.

ამ შემთხვევას ათაბაგი უყურებდა რაღაც გრილად,
დანაშთენთა დიდებულთა ადღეგრძელეს მეფე ტკბილად;
შალვას მისგან მოწყალება მიულოცეს ერთობილად,
სახვალიოდ პურ-მარილი გამოსთხოვეს, არგეს წილად.

წვეულები შეზარხოშდნენ, თავში იგრძნეს ღვინის ძალა.
მეფე მეტის ჯდომისაგან დაღონდა და დაიღალა,
ადგა, კრება ადღეგრძელა და ბადია გამოსცალა.
სახსოვარი ნადიმობა სიტკბოებით დაიშალა.



# სიკვდილი მეფისა ლაშა-გიორგისა

მეფე დიდად დაუძლურდა. ტანში სენი გაემსჭვალა,
მოელოდა თურმე სიკვდილს, დღენი თვისნი დაეთვალა,
ათას ორას ოცდაცხრაში ცრუ სოფლიდგან გარდიცვალა,
ქართველთ ტკბილი ნეტარება მგლოვარებად შეიცვალა.

ქვეყნის ყველა კუთხიდგანა დიდებულნი დაიბარეს.
შეიკრიბნენ თავ-პირ ცემით, იტირეს და ცრემლი ღვარეს;
სულიერი წესი მისცეს, მღვდელთმთავრები წაიმძღვარეს,
წინაპართა მისთა თანა სასაფლაოს მიაბარეს.

ამ დროს ახლო გარნისისა ქართველები ბანაკობდნენ.
მებრძოლთ რაზმნი დაწყობილნი ოცდაათჯერ ათასობდნენ.
სისხლმონაწყურ ჯალალედინს ლაშქრიანა მოელოდნენ,
მტრის სიმრავლეს არ ჰშიშობდნენ, ამოჟლეტას უქადოდნენ.

მაშინ მეფის ანდერძისებრ რუსუდანი დედოფლობდა.
იოანე ათაბაგი ბრძოლის წესებს განაწყობდა.
ამ დროს თამარ საბერძნეთში სულთნის ჰარემს შეამკობდა,
შალვა ქართლში უიმედოდ გულმოწყლული ბედსა ჰგმობდა.

სიკვდილის წინ ათაბაგი თურმე მეფეს მოუხმია,
და იმისთვის შალვას საქმე დაწვრილებით უამბნია,
ამა ცნობით წყეულ სარდალს თვალზედ ცრემლი გაჰშრობია:
ვარამის და წყენისაგან გულს ლახვარი დაჰსობია.

მეფეს მისთვის უთხოვნია შალვასადმი მზრუნველობა,
ცრემლით უანდერძებია, არ მოეკლო მფარველობა,
ზრუნვის ნაცვლად იმ ათაბაგს განუზრახავს თურმე მტრობა,
გესლით სავსეს სიბერის ჟამს უსმარია კვლავ გველობა.

ამ დროს ატყდა გარნისს ბრძოლა, არვინ იყო განმაზავედ,
ათაბაგმა დაურიგა ბუკ-დაფდაფი მესაკრავეთ,
თორელთა და კასელთ ჯარებს შალვა მისცა მან მოთავედ,
განზრახ სიკვდილს შეაგება, გაისტუმრა მეწინავედ.

შალვას მხლებნი მეომარნი, არჯაბანნი, ბრძოლის მდომნი,
მტერს მეხივით თავს დაესხნენ, გადიხადეს დიდნი ომნი:
არ დარიდნენ მტრის სიმრავლეს, მიეტევნენ, ვითა ლომნი,
„ჰკა მაგასო!“ იძახოდნენ დაჭრილები, სულთა მხდომნი.

უთვალავი მტრის ლაშქარი იერიშით შეაჩერეს,
შიგან ხმლებით ჩაერივნენ, მთელი ღამე გაათენეს.
დანაღვართა მათგან სისხლთა ტბის მორევი დააყენეს:
ერთხელ ოცი მოდიოდა, მაგრამ ზურგი არ აჩვენეს.

სარდალს ხშირად კაცს უგზავნის, მისგან მაშველს დაიბარებს,
სწერს ათაბაგს: „გაგვწყვიტესო, ნუ აჩერებ უკან ჯარებს:
რა გინდ იყოს გულოვანი, ერთი ოცზედ ვით იმარებს...
გვიშველეთო, გვიშველეთო, მიაქვს კაცი სისხლის ღვარებს!“

ვითა სეტყვა ჰაერიდგან შონაბერი, დანაქუხი,
უთვალავი მოდის მტერი. შეუპყრია შალვა წუხილს:
იჟლიტება კასელთ ჯარი, ისმის ხმლების ჩახაჩუხი.
მაშველს მაინც არ უგზავნის ათაბაგი, ბერი კრუხი!

მაშინ უთხრა შალვამ მსახურს, ვით ამხანაგს ამხანაგმა:
„დახე, გული ჩემის სისხლით ვერ გაიძღო ათაბაგმა;
ფუჭად ჩავლო კაცის გზავნამ მასთან, თხოვნამ, ლაპარაკმა.
ჩემის მტრობით ესდენ სული ხომ დაღუპა ამ ქოფაკმა!

ჩემი ჯარი უკან მიდის დანამარცხი, დანაშალი...
ღმერთი რისხვით აზღვევინებს, ვისაც ადევს ამის ბრალი.
მე აქ ვრჩები, ამხანაგებს ვეღარ ვნახავ კვლავ ცოცხალი,
საქართველოს არ შევარცხვენ, სანამ მერტყმის ჩემი ხმალი!

შენ კი დღემდის თავგანწირვით მემსახურე, მიერთგულე,
ეხლაც მოგთხოვ, თუ გიყვარვარ, ეგ სურვილიც შემისრულე:
ჯარს გაჰყევი, ქართლში ჩადი, დედოფალი ინახულე,
რაც აქ მოხდა, დაწვრილებით სიტყვიერად დაუსრულე.

მე დიდებად მიმაჩნია, მტრის მახვილით თუ მოვკვდები,
ჩემის ვალის აღსრულებით წინაპართან გავმართლდები.
შენ კი სტამბოლს გაეშურე: ქართლში ნუღარც შენ დასდგები,
რომ იქნების სადმე ნახო თამარ, ჩემი ცეცხლთა მდები!

უთხარი, რომ მისმა გაყრამ შემაძულა მთლად სოფელი,
მივატოვე მეგობრები, სამშობლო და საყოფელი;
ტკბილს და მწარეს ვეღარ ვარჩევ, დამეხურა საგრძნობელი,
არვინ დამრჩა ქვეყანაზედ ჩემი სევდის გამქრობელი.

უთხარ, მასთან გაყრის შემდეგ თავის მოკვლა დავაპირე
და განზრახვაც შევასრულე, მტრის მახვილით განვიგმირე...
ცა დამექცა, ქვეშ მოვექეც, გავისრისე, გავითქირე,
ცოცხალთ რიცხვში ნუ მიგულებს, მოვკვდი, ქვესკნელს დავიძირე...

უთხარი, რომ მის წერილებს ვატარებდი მარად მე თან,
სიცოცხლეში ავგაროზებრ ვინახავდი ნაწილებთან;
აწ ისინი მისდა ნაცვლად დაიმარხნენ ჩემთან ერთად...
ამ ქვეყანას ვეღარ მნახავს, გაეშურე ჩემს მამებთან!

ღმერთს ვსთხოვ, ხილვა ერთმანეთის იმ სოფელში კვლავ გვაღირსოს,
აქ გვაკმაროს სატანჯველი, იმ ქვეყანას არ გაგვრისხოს,
შეგვახვედროს ერთმანეთი, შეგვატკბოს და შეგვათვისოს,
მუნ ლამპარი სიყვარულის აქაური არ დაგვივსოს...

და თუ ღმერთმა ეგ სურვილი უკანონოდ ჩაგვითვალოს,
მასვე უნდა შევევედროთ, სხვა განგებით გვისაშვალოს:
წესი მისგან დადებული ჩვენ ორთათვის გამოსცვალოს,
მუნ სიწმინდით შეგვაუღლოს, ვით ამ სოფელს, არ გვაწვალოს.

გადის ჯარი, ნუღარ ჰყოჳნი, ბანაკები დაიცალა,
შეზღვა შენის სამსახურის მე შემთხვევამ არ მაცალა:
დედაშენის მუმუთ ვსწოვდი, მამა იყო ჩემი ლალა,
რაც მაქვს, შენთვის მიჩუქნია, მე დამრჩება მარტო ფალა."

„რას მიბრძანებთ? მე ცოცხალი ქართლში ვითარ დავბრუნდები!
მე უთქვენოდ რაღად მინდა თავი, კლდეზედ გადუგდები?
თუკი სადმე სიკვდილია, თქვენს სანაცვლოდ მე შევხვდები..."
ამ დროს, ვითა ნიაღვარი, მათ მოაწვა გუნდი მტრების.

შალვას ჯარის სიმაგრენი შელეწეს და დააქციეს:
თორელების, კასელების სისხლი უხვად დააქციეს;
ვერ გაუძლეს მტრის სიმრავლეს, — დაამარცხეს, გააქციეს,
შალვას ცხენს და ივანესას ისრები ჰკრეს, წააქციეს.

მაშინ უთხრა შალვამ მსახურს: „აიღეო მტრებზედ ხელი,
ეხლა დროა გაიხსენო სიტყვა ჩემი წყლანდელი,
წამსვე წადი, აღარ დასდგე, ამისრულე საწადელი:
ჯერ ქართლს ჩადი, მერმე — სტამბოლს, ნახე ჩემი სულთამსდელი."

ტირილით და მწუხარებით გმირს ივანე დაეთხოვა,
რა დაბრუნდა, გზაში დახვდა ჩასაფრებულ მტერთა გროვა:
ყოველის მხრით შემოერტყნენ, გასასვლელი ვერ იპოვა.
მათგან ქვებით ჩაიქოლა და სიკვდილი მოიპოვა.

შალვა, ვითა ხვადი ლომი, იბრძოდა და მტერთ მუსვრიდა.
აწ სიცოცხლე არ უნდოდა და სიკვდილი გადასწყვიტა.
დაღვარული მებრძოლთ სისხლი არემარეს წითლად რწყვიდა,
შალვა დარჩა მარტოდ-მარტო, მხლებნი მტერმა გაუწყვიტა!

აღარ დარჩა მის გარშემო ქართველების ნატამალი,
მტერი მისგან იმალოდა, ვისაც ჰქონდა დასამალი,
კაცსა ორად გააპობდა დანაკრავი მისგან ხმალი,
ბოლოს მაინც გადაუტუდა, ხელში დარჩა ნასამალი.

რას იქმოდა, აღარ ჰქონდა სხვა მახვილი, სხვა აბჯარი,
არცა მშვილდი, არც ისარი, არც ლახტი და არცა ფარი.
გათამამდა, მოეხვია წინ და უკან მტრის ლაშქარი...
ტყვედ შეიპყრეს, წაიყვანეს, გაუკოჭეს მაგრად მხარი...

რა დაბრუნდა ჯალალედინ, ნახჭევანში დაბინავდა,
შექცევა და სიხარული გამარჯვებულს არ უგავდა:
უმჯობესი მეომარი დაეღუპა, ვინც კი ჰყავდა,
უკეთესი მებრძოლთ ჯარი სანახევროდ გაუთავდა.

სულთანს შალვა წარუდგინეს, შებორკილნი ჰქონდა ხელნი.
მოახსენეს: „აგისრულდეს მარად თქვენი საწადელნი!"
დიდად უქეს შალვას სიმხნე და ბრძოლანი მაშინდელნი,
ამცნეს მისი ვინაობა: თურმე სცნობდნენ ხორასნელნი!

შალვას უთხრა: „მეც მიქებენ შენს სიმხნეს და გულადობას,
თუმცა მტერსა ვით მოგენდო? დრო თუ შეგხვდა, მიზამ მტრობას!
მე მტერშიაც კი გაფასებ ღირსებას და ვაჟკაცობას,
მსურს, ცოცხალი დაგარჩინო, მაგრამ მოგთხოვ ამ პირობას:

პირველ — უნდა ქრისტე დაჰგმო, შეიყვარო მაჰამედი,
და მეორედ — სამსახურზედ ფიცი მომცე და იმედი,
ჩემს მეფობას არ არჩიო თქვენი მეფე წარსაწყმედი, —
თუ ასე იქმ, უმჯობესად შეიცვლება შენი ბედი!"

„ჰე, სულთანო, აწ გაბედვით მოგახსენებ პასუხს სწორეს:
რაც მიბრძანეთ, მაგ სიტყვებმა მე მიწასთან გამასწორეს.
დიდად ვწუხვარ, ვერ გისრულებ ვერც პირველს და ვერც მეორეს,
თავი მზად მაქვს ჩასაქოლად, თუ მომაყრით ქვას და ყორეს!"

რა ისმინა, ჯალალედინ გაგულისდა მეტისმეტად,
თოკით ხეზე მიაბმია, სასიკვდილოდ გაიმეტა.
დუმილება ჩამოვარდა, გარდაიქცა ხალხი ჭვრეტად.
შალვა სიკვდილს არ შიშობდა, როდი დასცდა: „ვაი, დედა!"

რა შეხედა ხეზე მიკრულს, სულთანს იგი შეეცოდა:
თურმე ისე გამოსცადა, თორემ მოკვლა არ უნდოდა;
მან ჯალასიებს რაღაც ყურში ჩასჩურჩულა, მოუწოდა.
კვლავ სულთანი სიცოცხლისთვის სჯულის შეცვლას მოითხოვდა.

მიახსენა: „არა ვშიშობ არც სიკვდილს და არც შეპყრობას!
ათასჯერაც მოვკვდე, მიჯობს შერცხვენას და სჯულის გმობას...
თუნდაც შიშით სიტყვა მოგცეთ, თქვენც ერწმუნოთ ამ დათმობას,
იცოდეთ, რომ დაგატყუებთ და შეგიცვლით მაგ თანხმობას."

სულთანმა სთქვა: „კიდეც მთხოვო, დაგარჩენდი აი, სწორედ!“
მოისარებს დაუძახა: „დაუმიზნეთ, გაისროლეთ.
ეჱელამ თავში მოახვედრეთ, ერთმანეთსა მიაყოლეთ,
მერე ლეში სადმე ხევში გადააგდეთ, გააქროლეთ!“

დგას ჭაბუკი გაუნძრევლად, ვითა მსხვერპლი სულსახდელი,
გულ-სხეულში დაურბოდა რაღაც ცივი ჟრუანტელი!
კბილს კბილები დააჭირა, მოსდიოდა ოფლი ცხელი...
იგრძნო წამი, მწარე წამი, ტანჯვის წამი საშინელი!

ამ დროს მშვილდნი მოიზიდნენ და აღსრულდა სამართალი...
შალვა დარჩა უვნებელი, თითქო ღვთისა ჰფარავს ძალი,
ვაჰ, ისარნი ასცდენოდნენ, მცირედ იყო ფერნამკრთალი,
მუნ დამსწრეთა გაიკვირვეს, რა იხილეს კვლავ ცოცხალი.

სულთანმა სთქვა: „დღეს გამოჩნდა სასწაული ქვეყნიერი!
რაც მომითხრეს ჯალათებმა, მტკიცეა და დასაჯერი:
გასროლის დროს წინ აღუდგათ თურმე ჩვენი ფეხამბერი.
მან დაიხსნა სიკვდილისგან ეს ქართველი სჯულ-ოხერი.

აწ, ქართველო, წმინდა მაჰმადს უჩუქნია შენთვის სული,
კვლავ მიხილავს უდიდესი მისგან ქმნილი სასწაული.
ჩემგან ქრისტე ვერ დაგიხსნის, თუ არ დაჰგმე მისი სჯული:
ან სიცოცხლე აირჩიე, ან წვალებით აღსასრული!“

თუმცა ვიცით, სიყრმის დროზედ კაცს სიცოცხლე უღირს ძვირად, —
მით უმეტეს შალვა იყო შემკობილი ტანად, პირად,
მაგრამ ჭაბუკს სჯულისათვის არ მიაჩნდა ჭირი ჭირად,
ხორცი მისცა დასატანჯად, თავი დასდვა გასაწირად.

შალვამ სულთანს მოახსენა ათრთოლებით, ბაგის კვნეტით:
„ვნებავს, ისრით მომაკვდინეთ, ვნებავს ხმლით და ვნებავს კეტით.
გინდ ჩანგლებით მომაკვდინეთ, გინდ შამფურით, ხორცსახვრეტით,
თქვენს სჯულს მაინც ვერ მივიღებ, ეს იცოდეთ გარდაწყვეტით!“

სულთანმა სთქვა: „თანახმა ვარ, სჯულს გიტოვებ უცვალებლად,
მაგრამ მოგთხოვ, სამუდამოდ ჩვენთან დარჩე ჩემდა მხლებლად:
თუ მომიხდეს ქართლზედ ბრძოლა, არ გამშორდე უბრძანებლად,
მიწინამძღვრო, არ მიმუხთლო, მექმნე გზების მასწავლებლად

მამცნო ყველა ჩვეულება, მათი ზნე და მათი წესი,
ვით განაგებს დედოფალი, რა ძალა აქვს უაღრესი;
თან გამაცნო ადგილები, სად შიშია უარესი,
ან მხედრები როგორი ჰყავს, სად ციხე აქვს უმაგრესი!“

მოახსენა: „ჩემს სიკვდილზე მეტად ადრე გეთანხმები,
ვინემ გავსცე მე სამშობლო და გავსწირო ჩემი ძმები!
მაშინ სჯულსაც გუღალატებ, გავთათრდები, შევიცვლები,
ერთს ქართველსაც ვერ ვუმუხთლებ, სულ რომ მაჭმო თქვენი ემები!“

სულთანს გული მოსდიოდა, იყო მაზედ უმადური,
გაკვირვებით ბუტბუტებდა: „რა მტკიცეა გიაური!“
უკანასკნელ სიტყვა სთხოვა შეუცვლელი, უდაური,
თუ რა წესით შეუძლიან ქართველს მისი სამსახური.

შალვამ უთხრა: „სიტყვას გაძლევ, შეგისრულო, რაც გიქადო,
თუ გამიშვებ, შენთან დავრჩე, მე გაპარვას არ ვეცადო;
ქართლს საომრად ვერ გაგყვები, ხორცზედ ტყავიც რომ გამხადო,
თუ სხვა მტერი შემოგებრძვის, მრავლად სული აღმოვხადო.“

რა ისმინა შალვას თქმული, ხორასნელმა გაიხარა.
უთხრა: „შენებრ ჯიუტისგან ეს სიტყვებიც ფიცად კმარა!“
ბრძანა, თოკი შეხსენითო, სიკვდილისგან დაიფარა.
ყრმა კი მდაბლად ეთაყვანა, გაზრდილობა მოიხმარა.

შალვა დარჩა ჯალალდინთან, აუსრულა მას პირობა,
რაც აღუთქვა, არ უმტყუნა, არ იხმარა სულმცირობა,
სულთანს დიდად მოეწონა, მისცა კარის ვეზირობა,
შეიტკბო და შეიყვარა, სწამდა მისი თათბირობა.

ერთ დღეს უთხრა: „შენ გიგულებ ერთგულად და მისანდობად.
დღემდის ბრძოლა ქართველებთან მე მიმაჩნდა ნავარდობად,
აწ კი მათთვის აღებული ხმალი მზად მაქვს დასადობად,
ერთი რამე მოვისაზრე და მსურს შენდა გასანდობად.

ეხლა მართავს საქართველოს რუსუდანი დედოფალი,
მინდა მასთან შევაერთო ჩემი ღონე, ჩემი ძალი:
მისი მნებავს ცოლად შერთვა, თუ დასთანხმდა ამას ქალი,
უმჯობესად შეიცვლება საქართველოს ბედ-იღბალი!

თუ ეს მოხდა, მაშინ ქართლი ხელმეორედ აყვავდება,
მყუდროებას შეიმოსავს და მშვიდობა დამყარდება;
რაც წაართვეს, დაიბრუნებს, ხელში უხმლოდ ჩაჰბარდება,
ჩვენი მტერი დაიჩაგრის და მოყვარე გაჰხარდება.

პირველ ნებით გამოვითხოვ, არ შევკადრებ მიმალებას,
ნებიერად შევუდგები, ვისმარ ყოველ საშვალებას;
თუ არა იქმს, ვინ დამიშლის მის დარბევას, მის აკლებას,
შენ რას მეტყვი ამ საქმეზედ, ხომ არ ხედავ დაბრკოლებას?"

მოახსენა: „მოვისმინე თქვენგან აზრი წარმოთქმული,
აქ ჩემდამი მოგინდვიათ სათათბიროდ საქმე ბრძნული.
თუმცა არის რუსუდანი წლოვანებით ხანდაზმული,
არა ვხედავ დაბრკოლებას, თუ არ გექმნათ მხოლოდ სჯული.

როგორც ვიცი, ათაბაგი არის უკვე გარდაცვლილი,
მის ადგილზედ უნდა იყოს დღეს ავაქი, მისი შვილი;
თუ ბრძანდებით ამ ფიქრით და ნამდვილ გრძნობით აღჭურვილი,
მას მივწეროთ, რომ დედოფლის გვამცნოს აზრი და სურვილი".

ეს სიტყვა რომ ხორასნელმა შალვასაგან გაიგონა,
დაუმადლა, დაუჯერა, მისი რჩევა მოიწონა,
მსწრაფლ წერილი მოამზადა, გაისტუმრა ბიჯნისს მონა,
ეს აზრები მისაწერად მოიფიქრა, მოიგონა:

„აწ, ავაქო, შენ მოგიწერ მე სულთანი ხორასნელი:
ჩემს ხელთ იყო სამფლობელოდ ნახევარი ზღვა და ხმელი,
ინდოეთით ჯიონადმდე მეფე ვიყავ გამგებელი,
ერან, თურან, ხატაეთის, ჩინ-მაჩინის მბრძანებელი!

დრო და ჟამი შეიცვალა: მტრად აღმიდგა მე ჩინეთი,
მუნ გამოჩნდა ჩინგიზ-ყეინ, განარისხა ჩემზედ ღმერთი;
რამდენჯერაც შევებრძოლე, ვერ მოვიგე მე ვერც ერთი
და წამართო ჩინ-მაჩინი, სჰარს-თურანი, ხატაეთი.

რა სხვა ღონე აღარ მქონდა, დიდი ჯარი მოვაგროვე,
წამოვედი, სასულთანო უპატრონოდ მივატოვე,
ქართლს წერილი გამოვგზავნე, დახმარება მოვითხოვე,
მაგრამ თქვენის მეფისაგან მე პასუხი ვერა ვპოვე.

მოხმარების მაგიერად თქვენცა სამტროდ შემომეხეთ,
ღამით თავზე დამესხენით, დიდი ბრძოლა ამიტეხეთ;
წინა რაზმი შემილეწეთ, სიმაგრენი დამიტეხეთ,
უკეთესი მებრძოლთ ჯარი გამიწყვიტეთ, დამიჩეხეთ.

სიცოტავით ყურადღება პირველ აღარ მოგაქციეთ,
თქვენ სასტიკად შეგვებენით, გითა მხეცნი მოგვესიეთ;
ჩვენ სიმრავლით გაგიმარჯვეთ, დაგამარცხეთ, გაგაქციეთ,
მაგრამ მეირად დაგვიჯინეთ, დიდი სისხლი დავაქციეთ.

რაც კი მაშინ ქართლმა გვიყო, აღარ არის გასახსენი,
აწ გავიგე საგლოველი საქმე, დიდად გულსატკენი,
უსამართლოდ სოფლისაგან გარდაცვლილა მეფე თქვენი,
რომლისათვის საქართველოს თანავუგრძნობ ცრემლნადენი.

დღეს რუსუდან დედოფალი საქართველოს ბედს განაგებს,
მესმის, ერთგულს აჯილდოებს და შემცოდეს არ შეარგებს.
გთხოვთ, გადასცეთ ჩემი აზრი, ნება დამრთოს, არ წააგებს:
მნებავს მასთან შეუღლება, ნუ უარმყოფს, ნუ მამაგებს.

თუ დედოფალს დაითანხმებ და გამყვება იგი ცოლად,
შენ დაიჭერ პირველ ადგილს, არვის შევიქმ შენად ტოლად;
თუ არა იქმს, რისხვით მოვალ დასაქცევად, დასაქოლად,
საყდრებს ვაქცევ მეჩეთებად და სამღვდელოს გავხდი მოლად.“

თუმცა ავაქს ამ წერილით ეუცხოვა სულთნის ნდომა,
მაგრამ თხოვნის ასრულებას შეუდგა და მოინდომა.
როგორც კაცსა ხორციელსა, მოუვიდა მას შეცთომა:
სხვა ვერა რა გაარიგა, დედოფლისგან შეხვდა წყრომა.

დედოფლისგან გულის პასუხს მოელოდა რა სულთანი,
სურვილებით გასჩენოდა მეტისმეტი კაეშანი.
ამ დროს კიდეც წარუდგინეს მას წერილი მინატანი:
ავაქ სწერდა, უთანხმობას გიცხადებსო რუსუდანი.

რა გაიგო ხორასნელმა, თითქო ჭკუით შეიშალა,
ფუჭად გაქრა მისი აზრი, სურვილები ჩაეშალა;
სიტკბოების მოლოდინი გაუცრუვდა ასე ჩქარა,
მეტისმეტის ნდომისაგან სალერღელი აეშალა.

სთქვა: „დამაგდო რუსუდანმა ქვეყანაზედ გასათრევად:
სულთანი ვარ, არ მიკადრა საყვარლად და მოსახვევად!“
ველარ დასდგა, წამოვიდა მაგიერის მისაზღვევად,
დიდის ძალით წარემართა საქართველოს დასარბევად.

ჯერ სომხითი მოაოხრა, მერე თბილისს დაუახლდა.
რა გაიგო რუსუდანმა, მწუხარება განუახლდა:
სარდალნი და დიდებულნი მუნ დაჰყარნა, ვინც კი ახლდა,
თვითონ ღამით გაიპარა, ქუთაისში გადასახლდა.

დილით ადრე თავს დაესხნენ, ქალაქს ალყა შემოარტყეს,
ქართველებიც მოემზადნენ, გუშაგებით გზები გაჰკრეს,
პირზედ ჯვარი გარდისახეს, საომარი ბუკი დაჰკრეს,
დიდი ბრძოლა გადიხადეს, ციხეები გაიმაგრეს.

რა დაღამდა, სულთნისანში ჩირაღდნები აუკიდეს,
სპარსნი, თბილისს მოსახლენი, თურმე ქრთამით მოისყიდეს:
მტრებს თოკები გადაუგდეს, გალავანზედ ჩაუკიდეს...
უღალატეს, შემოუშვეს, ქალაქს ცეცხლი წაუკიდეს.

მაშინ ტანჯულ საქართველოს მოევლინა ზეცით რისხვა,
თუ რამდენი ამოსწყვიტეს, არვის ძალუძს მკვდართ აღრიცხვა:
ცხენით სრესდნენ, აღარ ჰქონდათ შეწყალება, არც გაკითხვა,
არ დაჰკლიათ სიკვდილის წინ მამებს ტანჯვა, დედებს კიცხვა.

ქმრებს ცოლების თანდასწრებით სახერხელით თავებს სჭრიდნენ,
შვილთ აკვნიდან დედის თვალწინ ამოჰგლეჯდნენ, თვალებს სთხრიდნენ,
ცოლებს ქმრების დასანახად შეარცხვენდნენ, წაბილწვიდნენ,
მღვდლებს ჩანგლებით სტანჯავდიან, ეკლესიებს ცეცხლით სწვიდნენ.

დაიარეს შენობები, მთა, მინდორი, კლდე და ღრენი,
გამოსძებნეს, დაატყვევეს მცხოვრებნი და მოვაჭრენი,
მათ ყელები გამოღადრეს, ვინც იხელთეს მძინარენი
და გარშემო წითლად დადგა ქართველთ სისხლის მდინარენი.

ბარბაროსი ხორასნელი ბოროტების იქმნა მუშა,
ღვთის მგმობელმან სიონითგან ჯვარ-გუმბათი გადმოჰფუშა,
თვისად ტახტად გააკეთა, გადაადგა ზედან შუშა.
ღრუბლით გაჩნდა მეხისტეხა, ცა მრისხანედ მოიქუშა.

რაც სიონზედ იმოქმედა, ამ წყეულმა არ იკმარა.
შიგ შევიდა, ყოვლად წმინდა ჩამოიღო, გააპარა,
ხატი ჩვენის მაცხოვრისა ხალხში ცემით გაატარა
და მტკვრის ხიდზედ უპატიოდ ერთმანეთზედ დააყარა.

მაშინ ბრძანა, ტყვე ქართველნი მოეყვანათ საწამებლად.
მსწრაფლ მცველებმა წარუდგინეს, რადგან იყო მისი ნება.
„ხატნი ფეხთ ქვეშ დასთრგუნეთო!“ მათზედ გასცა ეს ბრძანება.
არ უსმინეს, შეარცხვინეს ბარბაროსის მანქანება.

მათის ნების წინააღმდეგ ჯალათები გაათრევდნენ,
ზოგთა წყალში ჩაახრჩობდნენ, ზოგთ მახვილით თავებს ჰკვეთდნენ.
იმ დროს ბევრნი ქართველთაგან წმინდანებად გადაჰკეთდნენ,
ქრისტესათვის წამებულნი ანგელოზებს შეუერთდნენ.

ამ წესითვე მოაოხრა, ამოსწყვიტა მთლად სომხეთი:
არ დასტოვა დაურბევლად არტაანი, არც კახეთი,
მირიანად ამოაგდო, ამოჟლიტა ჯავახეთი...
ამოდენის სისხლის ნაცვალს აზღვევინებს მასაც ღმერთი!



# მწუემსისაგან სიკვდილი ჯალალედინისა და შალვასი

იმ დროს, როცა საქართველოს გაუთხარა მტერმა მირი,
მარცვა-გლეჯით, ხოცვა-ჟლეტით ადგა დიდი გასაჭირი,
ვერ მღებოდა ქართველთ სისხლით ჯალალედინ, ტყის ნადირი,
რუსუდანი ქუთაისში იჯდა მწარედ ანატირი.

დაივიწყა მმის ანდერძი, ბოროტებამ გაამხეცა
და გატეხა მეფის სიტყვა, გაარისხა ამით ზეცა.
მოინდომა ტახტ-გვირგვინი მმისწულისთვის არ მიეცა,
რომ ეს ტახტი გაუყოფლად დარჩენოდა თავის მესა.

საბერმნეთში თავის სიმეს გაუგზავნა საჩუქარნი;
მიუწერა: „აღმიჩნდნენო მტერნი დიდად საშიშარნი,
დამიწყვიტეს ქართველები, — ერთმანეთზედ ჰყრიან მკვდარნი!“
წვრილად ამცნო ხორასნელის ნამოქმედნი საზიზღარნი.

„იმედი მაქვს, არ დაითმენთ, რა მიიღებთ ჩვენგან ცნობას;
შვილი არ მყავს მოსწრებული, თქვენგანველი პატრონობას,
მტრის ხელიდგან დამიხსენით, ნუ მომაკლებთ შვილურ გრძნობას!
საქართველო მეღუპება, ვითხოვ დროით შემწეობას!“

შემდეგ ჯარის გამგებელნი მოიწოდა თვის სადგურად.
არღუთაანთ შამშე იყო მაშინ ქართლში მანდატურად;
ვითარ შამშე, ეგრეთ სხვებიც მსწრაფლ ეახლნენ სამსახურად:
საქმე ყველას მიუჩინა, არვინ დარჩა უსაქმურად.

უთხრა: „ძმებო, მტრებისაგან ქვესკნელთა ვართ ჩანამვრენი,
ვითათბიროთ, რაცა სჯობდეს, ვიყვნეთ ერთად მოაზრენი;
იმერით და აფხაზეთით შემოვკრიბოთ მოლაშქრენი,
ან ამოვწყდეთ, ან გავწყვიტოთ: ვართ სიკვდილის მონატრენი!“

მოახსენეს: „დედოფალო, ვართ ბედ-იღბლის მაწყევარი,
ჯერჯერობით ეს სამეფო გაგვიწყვიტეს ნახევარი“...
მსწრაფლ სიები შეადგინეს, დაარიგეს საწვევარი,
რომ სამშობლოს ყველა კუთხეს გაეგზავნა მათთვის ჯარი.

ამ დროს ჩინგიზ ყეინობდა, ჩინეთს იჯდა ფეხმორთხმული.
მოიწოდა თავის ვაჟი, გის სახელად ერქვა თული,
მისცა ჯარი უთვალავი, ბრძოლის ველზედ გაწვართული,
ხორასნელზე გაისტუმრა ჯაჭვ-აბჯარით ჩახლართული.

წამოვიდა თულის ჯარი, ქვეითი და ცხენოსანი, —
ზოგნი იყვნენ უწვერულნი და ზოგნი კი წვეროსანი;
მსწრაფლ დაიპყრეს სათურქეთი, მოარბიეს ხორასანი,
იერიშით თავს ესხმოდნენ, მხნედ იბრძოდნენ თულის ყმანი.

რა გაიგო ჯალალედინ ხორასნელმა მოსვლა თულის,
მეძარებით მისად ბრძოლად ჩინეთიდან წამოსრულის,
ჯარი ჰყავსო უთვალავი ჩინეთელი, თუ სხვა სჯულის,
ბრძანა: „ჟამი მოახლოვდა ჩემის ცუდად აღსასრულის...

მაგრამ შიში არას მარგებს, ვიცი, სისხლი სისხლს ვერ დაჰბანს“.
მეის ჯარების მოგროვება მან უბრძანა უფროსთაგანს.
თბილისიდგან აიყარა, დაბინავდა არდაბაგანს,
გაეკაცს ფერი უქვაოდა, უსკდებოდა გული ჯაბანს.

სულთანმა სთქვა: „დავიბენი, მე აღარა გამეგება!
თულს რომ ბრძოლად შევეტაკო, ვიცი, მახე დამეგება:
ჰყავს ლაშქარი უთვალავი, ჩემგან ძლევა არ ეგება,
შაჯობებს და დამამარცხებს, ხმალი უქმად ჩამეგება.





აქამომდე ვიმედობდი, მე ხალიფა შემეწევა,
მაგრამ იგი თულის შიშით ადგილიდან ვერ ინძრევა:
აწ ამდენის კაცის სისხლი უსარგებლოდ დაიქცევა“.
შალვას უთხრა: „შენ რას მეტყვი, ეხლა მინდა შენი რჩევა“.

„... თქვენის ნებით რომ დაჰბრუნდეთ, ეს არ არის საზრახველი,
და თუ მტერმა დაგამარცხათ, წაგიხდებათ მთლად სახელი.
თქვენი ჯარიც გაიკიცხვის, ამ ჟამამდის ნასახელი;
სირცხვილისგან არ გექმნებათ არსად თვალი გასახელი.

თულთან ბრძოლა რომ წააგოთ, სამუდამოდ დამარცხდებით,
მაშინ ხალხიც გიღალატებთ, ტახტისაგან გარდახტებით,
თავს ვეღარსად შეიკავებთ, ერთს ადგილზედ ვერ დასდგებით,
ერთგულიცა მტრად გექცევათ, გაფუჭდებით, გაბახდებით“.

„შალვა ჩემო, რაცა მითხარ, მეც ეგ მქონდა ნაფიქრები:
თულის ჯარი ურიცხვია, მაჯობებენ მარტოს მტრები;
მე ჯარები ცოტა მყავანან, რა გინდ იყონ გულმაგრები.
პირველ მალას მოვიპოვებ, მერე ჩხუბსაც მოვესწრები.

დიდებული ყიასდინი სულთანია საბერძნეთის,
გვაქვს დიდის ხნის მეგობრობა და კავშირი ერთმანეთის,
მასთან წავალ, შემიწყნარებს, სიყვარული კი აქვს ღმერთის,
ჯარებს მომცემს, შემეწევა, მტერი არის თვით ჩინეთის".

საბერძნეთის ხსენებისას შალვას სისხლი გაუშავდა,
წარმოუდგა, მისი სატრფო იქ ყიასდინს ცოლად ჰყავდა,
ცრემლი ველარ შეიკავა, ღაწვებს მითი მოირწყავდა,
მეტისმეტის მწუხარებით გული მწარედ უტოკავდა.

შალვა იტყვის: „რა ღონე მაქვს, უნდა წავყვე მალისმალით,
თამარს უკვე ქვეყანაზე არ გგონივარ მე ცოცხალი.
რა შემხედავს, გაიკვირვებს, მაჩანჩალად ჩამთვლის ქალი,
ან უთუოდ ვეგონები მშიშარა და დიდად ფრთხალი.

ჩემს ივანეს სტამბოლამდის მტერი ვერსით შეიპყრობდა.
ამბავს ჩემი სიკვდილისას ჩემს საყვარელს მოუთხრობდა,
თამარ მეტის მწუხარებით სევდას ველარ გაიქრობდა,
თუ მარჯვე დროს იპოვნიდა, გულში მახვილს ჩაისობდა".

შალვამ იგი არ იცოდა, რა დაჰმართეს მის ივანეს:
გზაზედ მტრები შემოერტყნენ, შეჰკრეს, აღარ დაახსნეს
და სტამბოლში წასვლის ნაცვლად შავს მღვიმეში ჩააბრძანეს,
თამარ-ქალთან მისატანი სიტყვა ზეცას წაატანეს.

შალვამ თავის ბედისწერის არ იცოდა სათაური,
რომ სტამბოლში წასვლის ნაცვლად წინ გზა ედო უცნაური;
თამარის წილ ივანესთან მიიყვანდა ნაგზაური.
არვინ უწყის, რა მოელის, სად მოკვდება სადაური!

ამ დროს კაცნი მოსულიყვნენ, რუსუდანის წარგზავნილნი,
თან ლაშქარნი მოეყვანათ, ბრძოლისათვის გამზადილნი:
მწყობრად იდგნენ ასპარეზზედ მეომარნი ხელგაწვდილნი,
საქართველოს ყველა მხარის, ყველა კუთხის ღირსი შვილნი.

იყო ჯარში კაცი ვინმე, მას იტყოდნენ ეგრისელად,
დადიანთა გვაროსანი, ცოტნე ერქვა ვის სახელად.
დედოფალმა აარჩია, იცნო პატივსადებელად,
სპასალარად განაწესა, ჰყო ჯარების გამგებელად.

ხორასნელზე წარემართა და გამოჰყვა თან ლაშქარი,
მაგრამ ღამით თბილისიდგან გამოიქცა სულთნის ჯარი.
გამობრუნდა, დაედევნა მისაწევრად უშიშარი,
მტერს ბოლნისის ხეობაში დაეტაკა სჰასალარი.

ჯალალედინს და მის ჯარებს ცუდი დილა გაუთენეს:
რაც კი იმათ ქართლს დაჰმართეს; შეანანეს, გაუხსენეს,
ხმლებშიშველნი ჩაერივნენ, სისხლის ღვარი აუყენეს,
მოლებს პირი აუბჩინეს, ღორის ხორცით გაუტენეს.

თუმცა პირველ ქართველებმა მტერნი ხმლებს ქვეშ გაატარეს,
სანახევროდ ამოწყვიტეს, აკვნესეს და გაამწარეს,
მაგრამ ბოლოს ძლევა ისევ გადავიდა სულთნის მხარეს.
მომხდურები დააბნიეს, გაფანტეს და გადაუარეს.

რა ქართველნი მოიშალნენ, ხორასნელი დაედევნა,
მახვილების ჩახაჩუხით ქალაქშივე ჩამოდენა.
მცხოვრებთ კვალად განუახლდათ დარბევა და სისხლთა დენა,
წინანდელზედ უარესი მწარე დღენი დააყენა.

ამ დროს თურმე ჯალალედინს თული მოსდევს საბრძოლველად,
რა გაიგო, შეეშინდა, არვინ უჩნდა მას მაშველად,
თბილისიდან აიბარგა ყიასდინთან სათხოვნელად:
იყო მისგან მოიმედე, იგულვებდა მისად მხსნელად.

სხვისი სისხლი აღარ შერჩა, უსამართლოდ დანთხეული,
ყველა ხელში გამოსტაცეს ქართველთათვის წართმეული;
რაც კი იმათ ქართლს დაჰმართეს, გადუხადეს მათეული,
ღვთის განგებით აზღვევინეს სატანჯველი ათეული.

თუმცა სისხლი ჯალალედინის თულმა იზღო ხორასანზედ,
მაგრამ ეხლა გულისწყრომით გაილაშქრა თვით სულთანზედ,
გაქცეულმა ხორასნელმა მოაღწია ბასიანზედ;
აქ მოასწრო თულის ჯარმა, აუტეხა ბრძოლა განზედ.

სვრა შეიქმნა საზარელი, გასაკვირი, გასაოცი:
თულის ჯარი პირველადვე ამოსწყვიტეს ასჯერ ოცი,
სულთნის მხარეს ვინ აღრიცხავს, რამდენია დანახოცი,
სისხლმა წითლად გადაღება ტყე, მინდორი, მთა და ბორცვი!

ვინც გადარჩა ხორასნელი, დაატუვევეს, დაიმონეს!
ზოგნი მალგით გაიპარნენ, ზოგთ მკლავები დაუკონეს.
ჯალალედინ ამხნევებდა, მოიხმარდა ყოველს ღონეს,
მაგრამ თულის შიშის გამო მას აღარა გაუგონეს.

სულთანი და ერთიც შალგა გადიხვეწნენ მარტოდ ორნი;
ჰყავთ ცხენები არაბულნი, ცეცხლს აჩენენ მათნი ტორნი.
დაუშინეს მათრახები, გააფრინეს, ვითა ქორნი,
უგზო-უკვლოდ გადიარეს, რაცა შეჰხვდათ მთა და გორნი...

თან არ ახლდათ არც მსახურნი, არც გამზრდელნი, არც გაზრდილნი;
წყალი ჰპოვეს, წყლისა პირას იდგნენ ხენი გადახრილნი,
ხეთა ქვეშე მწვანე იყო, უმზეობით დანაჩრდილნი,
მუნ გადაჰხდნენ მოსვენებად, დიდი შრომით მალმიხდილნი.

ცხენთა მათთა დაღალულთა აღვირები თვით წაჰყარნეს,
სამოვარად განუტევეს, დუშაყები შეუყარნეს;
დაწვნენ მილად, მოსვენებად, ვითა მკვდარნი დაეყარნეს,
მილში ნახეს მოჩვენება: წუთისოფელს გაეყარნეს.

ახლოს იყო გათენებაც, როცა იმათ დაიძინეს,
მზის სხივებმა თავის შუქი ქვეყანაზედ მოაფინეს,
მოალერსე მხურვალებით ისე მწარედ დააძინეს,
ასწილ სჯობდა მის სიკვდილი, ვინც ბრძოლაში მოაკვდინეს.

გაუთენდათ შავი დილა, ყოვლის დილის უარესი!
დამინებულთ თავთ წაადგათ ბარბაროსი ვინმე მწყემსი:
ვერვინ შესცვლის ღვთის განგებას, უცვლელია მისი წესი:
აღსრულდება მისგან ყოვლი დანადგენი, განაწესი.

მწყემსმა ნახა უცხო ყმანი, მძინარენი, ტანჩაცმულნი,
ფასუთქმელის სამოსლებით და აბჯრებით დაკაზმულნი,
ბრილიანტით გაწყობილნი აქვთ ქამრები, წელთარტყმულნი,
მხარღლივ იყვნენ ოქროს ჯაჭვით დახლართულნი, დამეწკვულნი.

მწყემსი ნიშნად მადლობისა ზეცისადმი ხელებს ასწევს,
სიხარულით თავის გულში ასე ჰფიქრობს, ასე არჩევს:
„ორის ფლურის მოსაპოვნად სამშობლოდან გამონაქცევს,
ეს სიმდიდრე თუ ხელთ ვიგდე, მე დიდ ფაშად გადამაქცევს!

ღმერთმან მომცა ეს სიმდიდრე, თუ მან ისევ არ წამართო,
სხვაგან წასვლას მირჩევნია საზერმნეთში წარვემართო;
ზოგი ნივთი ამათგანი დიდ ეიასდინს რომ მივართო,
უეჭველად ფაშად გამხდის... ეგებ წელში გავიმართო...

ამ სამაგელ ნახირობას დღეის შემდეგ მივატოვებ
და სანაცვლოდ მწყემსობისა ფაშობასა მოვიპოვებ.
სხვა სიმდიდრე რაღად მინდა? ქამარს ჩემთვის დავიტოვებ,
ლამაზ ცოლებს გიყოლიებ, ჩემს ჰარემში შევაგროვებ!"...

როცა მწყემსი აღტაცებით სიმდიდრეზე ოცნებობდა,
დაივიწყა ყოველივე, ფაშობასაც ხარბდებოდა;
ამ დიდების მოლოდინით ნეტარებდა და სტკბებოდა,
თავის აზრის შესრულებას იჩქაროდა, ვეღარ სთმობდა.

ბარბაროსმა ცალის თვალით თავის მსხვერპლთა გადახედა,
მათთან მისვლის შეეშინდა, აკანკალდა, ვერ გაბედა, —
ხომ არავინ მიყურებსო, აქეთ-იქით იწყო ჭვრეტა,
რა ირწმუნა მარტოობა, ახლო-მახლო გაუჩერდა.

ამ დროს ტყიდგან უცნაური ხმაურობა შემოესმა,
ქრუანტელმა დაუარა სიკვდილზედაც უმწარესმა,
იგრძნო, თავზედ დაეუარა ცეცხლი მეხის დანაკვესი,
შიშის გამო ბალახებში ჩაიმალა, ჩაწვა მწყემსი.

დრო გავიდა, შეამჩნია, ცხენები რომ ბალახს მოვდნენ,
ტორებს სცემდნენ დედამიწას, მწუხარის ხმით ხვიხვინებდნენ,
პატრონების სიკვდილის წამს წინასწარად თითქო გრძნობდნენ.
მწყემსმა გული დააჯერა, რომ ცხენები ხმიანობდნენ.

გათამამდა, ზე წამოდგა, შუბლზედ ოფლი მოიხოცა,
დასავლის მხრით დაიჩოქა, მაჰამედი მოილოცა.
შემდეგ ჩუმად, ფეხთაკრეფით შალვასაკენ გადაცოცდა,
მის შვენებას დააკვირდა, ეუცხოვა, გაიოცა.

მწყემსმა გული გაიმხნევა, მოიკრიბა ისევ ძალი,
ცალის ფეხით დაჩოქილმა გულში ჩასცა მას ხანჯალი.
შალვას სისხლი მკერდიდანა გადმოჰქუხდა, ვითა წყალი...
სიმწრით იწყო საცოდავმა ფათურობა და ფართხალი.

თავი ზევით აეწია, წამოხტომა მოინდომა:
სასიკვდილო ჭრილობისგან ვეღარ შეძლო წამოდგომა.
მკვლელს თვალებით აგრძნობინა საშინელი გულისწყრომა,
მსწრაფლ ორნივე დაესუჭნენ, მისი სასე დაიხსომა.

შალვას სიკვდილს არ დასჯერდა საზიზღარი ეს მტარვალი
და ფაშობის წარმოდგენით ვეღარ გაძღა სისხლით მთვრალი,
სულთანს ფერდში ელვით ეცა გესლიანი მტრის ხანჯალი,
ცუდად სჭრიდა ჯალალდინზე საქართველოს სამართალი.

ხორასნელმა გვერდიდგანა ამოიძრო ხანჯლის ტარი,
ზე წამოდგა, დაინახა მისი მკვლელი იქვე მდგარი,
ასე უთხრა: „შე რეგვენო, სულთანს ყელი გამომჭერი:
შენგან დიდი ხორასანი უმემკვიდროდ არის მკვდარი!“

მეფე იყოს გინდ გლახაკი, მონა იყოს თუ მთავარი,
სამღვდელო თუ ვინმე ბრძენი, უქონელი, გინდ მდიდარი,
ჯაბანი თუ გულოვანი, ხელოსანი, თუნდ მხედარი,
არვინ არის ამ სოფელში უცოდველი, შეუმცდარი.

ერთი ვინმე მომაგონე, ჯერ ცხოვრებით ვინ დამტკბარა?
ვერ ისვენებს, მეტს ინდომებს, ეჭირვება კაცს თუ არა;
რაგინდ იყოს ბედნიერი, კმაყოფილი ვერ გამხდარა,
კვლავ ემიებს სხვის ქონებას, სიკვდილამდის ვერ გამძღარა.

ზოგმა კიდეც რომ იცოდეს გარდაწყვეტით, ხვალ მოკვდება,
მაშინაც კი უხარიან სიმდიდრე და შემატება;
როცა თვისას ოხრად სტოვებს, სხვისი მაინც ენატრება,
თვისებაა საზიზღარი, სიხარბე და ბოროტება!

ეს წუნკალი მენახირეც დახარბებამ შეაცდინა,
უგუნურმა შალვას სიყრმე გააფუჭა, წაახდინა:
ჭუჭყიანის თვისის ხელით წმინდა სისხლი დაადინა...
მოჰკლა მეფეც, ხორასანი უპატრონოდ დაარჩინა.





# ქიასდინ სულთნისაგან მენახირის დაწვა საკირეში

ერთხელ დილით, სტამბოლს გარეთ, იყო ხალხი შეკრებილი,
სადაც დიდი თვალუწვდენი მინდორია გადაშლილი,
ფაშა იჯდა ფეხთმოკეცით, ჰქონდა სტავრა დაგებული.
ჯალათებმა წარუდგინეს ერთი ვიღაც ბრალდებული.

იქვე ახლო საკირეში უჩვეულო ცეცხლს ანთებდნენ,
ბრალდებულის დასაწვავად ესრეთ თურმე ამზადებდნენ.
ჯალათები უმოწყალოდ თავში სცემდნენ, აწვალებდნენ,
გატიტვლებულს დამნაშავეს ეხვეოდნენ, კუპრს აცხებდნენ.

ეს საწყალი დამნაშავე ის მწყემსია, ის ჯაფარა,
სულთნისა და შალვას სისხლი ქვეყანაზედ ვინც დაღვარა:
ფაშობისა მომლოდინემ ვერც მწყემსობა მოიხმარა
და სანაცვლოდ დიდებისა თვით საფლავი გაითხარა.

ფაშამ უთხრა: „ჩემო ჯაფარ, აწ სიცოცხლეს ნუღარ ელი:
სულთანსა და იმის ვეზირს შეჰხებია შენი ხელი,
ქიასდინმა დაგინიშნა სამართალი საშინელი:
საკირეში უნდა დაგწვათ, გელის ტანჯვა საზარელი.

შენ ქურდულად მძინარენი დაგიხოცავს, გაგიძარცვნია,
ნაძარცვავი მოგიღია, სულთნისათვის შეგიძღვნია.
მიკვირს, შენი რა სჭიროდა, სამოწყალოდ რომ გიცვნია.
აწ ნაცვალი მან მოგაგო, შენ იმათთვის რაც გიქმნია!“

მოახსენა მას ტირილით ბრალდებულმა, დამნაშავმა:
„თუ ვინ იყვნენ მძინარენი, რა ვიცოდი მე ბედშავმა!
მოვჰკალ ორი დიდებული მაჰმადისა შემცოდავმა
და ნაძარცვი სულთანს ვუძღვენ უბედურმა მომაკვდავმა.

ვიმედობდი, რომ სულთანი მე დიდებას მომაგებდა,
მაგ მეირფასის ნივთების წილ ფაშობასაც მიბოძებდა,
წარმოდგენა არ შემეძლო, შემრისხავდა, გამაგდებდა,
ანუ ესრეთ უმოწყალოდ საჯალათოდ დამაგდებდა“.

ფაშამ უთხრა: „სხვა წყალობა მაშ რა გინდა მენახირეს?
აჰა, შენად გასათბობლად შეშას გხარჯავთ არა მცირეს!“
ბრძანა: „დროა აღვასრულოთ, ნუ გავაცდენთ აწ საკირეს!“
ჯალათებმა ხელი სტაცეს, შიგ ჩაგდება დაუპირეს.

მწყემსმა ცრემლით შეჰღრიალა: „ფაშავ, ღმერთი მოიწოდე,
ერთი წამი დამაცალე, შემიბრალე, შემიცოდე:
ანდერძი მაქვს, მათქმევინე, სანამ ცეცხლში დავიწოდე,
ნებას ვითხოვ მოგახსენო მალულ სიტყვა ორიოდე!“

ფაშამ უთხრა: „ვერ მივიღებ შენგან სიტყვის დაბარებას,
ნუ მოელი ნურავისგან ამ საქმეში დახმარებას,
შეშა იწვის უსარგებლოდ, ხალხი ითხოვს დაჩქარებას,
ვადას გამლევ, თუ გარდასცემ ვისმე მაგ შენს აღსარებას“.

მენახირეს წარმოუდგა საქმე თვისი, დასაგმობი,
ხალხში ვერვინ დაინახა უბედურმა მისი მცნობი,
ყველას სახე უცინოდა, არვინ ჰყავდა თანამგრძნობი,
ერთი ნახა მან ტანჯული — კაცი ვინმე არნაცნობი.

ანდამატებრ მიიზიდა ბრალდებული უცხო კაცმა,
მიეახლა, მიესალმა, მოეხვია, ხელი სტაცა,
შეებრალა, მოუსმინა, საიდუმლო უთხრა რაცა,
მწყემსმაც ყოვლი საკუთრება უანდერძა, მას გარდასცა.

ესრეთ თვისი საიდუმლო მოიუბნეს, მოათავეს.
რა უცნობი განეშორა, მენახირეს შეუტიეს,
თითო ქიშტი ყველამ წაჰკრა იმ საბრალო დამნაშავეს,
მერე ერთად მიესივნენ, გათოკეს და გააკავეს.

ჰსურდა თავი დაეღწია, მაგრამ იგი არ გაუშვეს,
ეკლიანი მათრახები ჯალათებმა გადაუსვეს;
საცა აკლდა შავი კუპრი, მოიღეს და კვლავ წაუსვეს,
ზე ასწიეს, აიყვანეს, საკირეში გადაუშვეს.

უცნაური ცეცხლის ალი მეცხრე ცამდის ბრიალებდა,
საცოდავი მისი მსხვერპლი შემზარავად ღრიალებდა;
ამ წამამდის მთელი ხალხი ოხუნჯობდა, გრიალებდა.
მყის დადუმნენ, იმათ გულში ჯოჯოხეთი ტრიალებდა!

თითოეულს მოუურადეს დიდი შიში შთაებეჭდა.
ფაშამ წასვლა მოისურვა, მაგრამ ცხენზედ ველარ შეჯდა;
ლაპარაკი ვერ შეიძლო, ენა პირში გაუშეშდა,
თვით ჯალათიც შიშის გამო დაღრეჯილი კბილებ’ კრეჭდა.

მწუხარებით გამობრუნდა ვითარ ფაშა, ეგრეთ ჯარი.
შალვას ცოდვით ნაცრად იქცა მისი მკვლელი უმეცარი.
რაცა სურდა, მას ვერ მისწვდა ჯალალდინის მოსისხარი,
ცეცხლის მსხვერპლად გადაიქცა ფაშობისა მამებარი.



# ყიასდინ სულთნისა და მისი ცოლის თამარის ამბავი

სტამბოლს იდგა უცხო სახლი, მარმარილოს ქვით ნაშენი,
საბერძნეთის დიდის სულთნის ნუქარდინის დანაშთენი,
ხუთსართული, მრავალთვალი, სიგრძე-განით თვალუწვდენი,
ზღუდე ჰქონდა შეუვალი, ჩარდახამდის ანაყრდენი.

ბიზანტიის ხელოვნებით მდიდრად იყო აგებული,
შიგნით ჰქონდა სადგურები, ოქროს ფარჩით მოგებული;
მარგალიტის დორ-მუთაქით ტახტი იყო დაგებული,
და იმ ტახტზე მორჭმით იჯდა ყიასდინი დიდებული.

ბედის იყო მომდურავი, ნაღვლიანად თავს აქნევდა,
კრიალოსანს ჩამოსთვლიდა, ხან კი სიმწრით ჩიბუხს სწევდა;
თვალზედ ბინდი გადაჰკროდა, თეთრს და წითელს მლივს არჩევდა,
სჩანდა გულში გასჩენოდა უკურნელი რამე სევდა.

ამ დროს სულთნის კარების წინ იდგა კაცი თავშიშველი,
ცრემლთა თვალთგან ჩამომფრქვევი, შემოსილი ვით ქართველი;
ხელთ ეჭირა რაღაც ბოხჩა, უცნაური სახილველი,
ეტყობოდა დაღონებულს სულის ტანჯვა საკვირველი.

ძღვენი რამე ხელთ უჭირავს სულთნისადმი მისართმევლად,
კარზედ იცდის, დროს ემიებს ყიასდინთან შესასვლელად.
მაგრამ იგი კარისკაცთა არ მიუშვეს სახილველად.
უფრთხილდება თვის საუნჯეს, ვერვის ანდობს შესამღვნელად.

რა სულთანმა დაინახა, დაუქნია თვითონ ხელი.
მსწრაფლ იახლა, თაყვანი სცა, მოსდიოდა ოფლი ცხელი.
მან უბრძანა: „გეტყობაო, რომ ხარ ვიღაც უცხოელი:
განმიცხადე, რა კაცი სარ, ანუ რა გაქვს სათხოვნელი?"

მოახსენა: „მომისმინეთ, დიდებულო, დიდო მეფევ,
მოყვასთათვის სიქადულო, მტერთა რისხვის აღმომჩქეფევ,
ბოროტისა მომულევ და სიკეთისა მოიეფევ,
აღმოსავლით დასავლამდის მბრძანებელო, ხარკთა მკრეფევ!

მე ვარ მონა დედოფლისა, ლაშა მეფის დანაშთომი,
სამშობლოდგან გამოჭრილი, ქრისტიანი ქართველთ ტომი,
უსამართლოდ დატანჯული, ხვედრისაგან განაწყრომი:
იმედი მაქვს არ შემრისხავთ, რა გინდ ვიქმნე შენაცთომი.

მწყემსი ვინმე საკირეში დასწვეს წინად ერთის თვისა,
სიკვდილის დროს დამსწრეთ შორის აღმირჩია, შემითვისა;
მან ეს ნივთი საიდუმლოდ მიანდერძა, გარდა სხვისა,
იქვე ახლოს ჰქონდა თურმე დამარხული ქვეშე ხისა.

მითხრა: „ჩემი სახლობის წილ შენ გიტოვებ, ჩაიბარე".
არ გავანდევ ხორციელსა, რა დაღამდა, გავიპარე;
მიველ, საცა დამინიშნა, ხის ქვეშ მიწა ამოვთხარე,
ვიპოვნე და ამოვიღე; დავხედე და გავიხარე.

მე მაშინვე შევიგულე ნივთი თქვენდა მოსატანად,
აწ, სულთანო, შეიწირე ესე ჩემგან არმაღანად:
თქვენს ხელში ვარ, მოწყალება თქვენი მიღირს მთელ ქვეყანად,
საქართველოს მეფის მონა ნაწოდები ვარ სოსანად."

ბოხჩა გახსნა, ამოიღო მეის ქამარი ფასუთქმელი,
ოქროს ბუდეს ამშვენებდა ალმასის ქვა გაუთლელი.
რა სულთანი დააკვირდა, მოეწონა, სტაცა ხელი;
თავის გულში გადასწყვიტა: „სამეფოა ეს სარტყელი!"

„მახსოვს, მწუემსი დიალ დავწვი, — ყიასდინმა ასე ბრძანა, —
რადგან ნამრცვი სულთანისა მან ფეშქეშად მომიტანა,
გაჭედილი ცხენის რახტი, ხმალ-ხანჯალი, მასთან დანა,
რომელთ მსგავსნი მე არა მაქვს, სხვას უნახავს ვისმე განა?

თურმე ველად მან სულთანი დაწოლილი ნახა მილად
და ვეზირსაც იქვე ახლოს სძინებოდა მასთან ტკბილად,
ვეჭვობ, განგებ აერჩიათ წყლის ნაპირი გასაგრილად,
სადაც წუწკმა მენახირემ მათ სიკვდილი არგო წილად.

რა სახელი ხორასნელის იმ ხანჯალზე წავიკითხე,
მწუემსი თვითონ გამოვსტეხე, მივაყენე ტანჯვის სიცხე;
სამართალი დავუნიშნე, ჯალათები მოვიკითხე,
მერე მივეც დასაწველად — დაინაცრა ცეცხლში ვით ხე.

მეფე იყო ხორასნისა ჯალალედინ ცხონებული,
ეს ქამარი უეჭველად არის მისი ქონებული;
შენ სიმდიდრედ გეყოფოდა ღვთისგან ჯილდო ბოძებული,
აწ მითხარი, რითი შეგხვდა ჩემდა ძღვენი მოღებული“.

მოახსენა: „ღარიბი ვარ, შემიბრალე მე სამადლოდ,
თუ შემთხვევა შემიხვდება, თავს გავსწირავ თქვენს სანაცვლოდ!
ერთი კაცი ჯურღმულში გვყავს დღე და ღამე უსინათლოდ,
თქვენ გიფიცებთ, უბრალოა, იტანჯება უსამართლოდ.

ნუ შემრისხავთ, რაც გავბედე, ბრძანდებოდეთ ჯერ მოთმენით.
ის არ არის დამნაშავე, ნუ დაჰღუპავთ მტრის დასმენით;
ღმერთი მასვე აზღვევინებს, დასჯილია ვისიც ენით,
შემიცოდეთ, მაპატიეთ, მიწყალობეთ, დამიხსენით!“

მან უბრძანა: „საკმაოა, ნურას მეტყვი მეტად გრძელად!
რაცა გინდა, აგისრულებ მცირე ხანის დაუზმელად;
სხვა ჯილდოსაც მოგანიჭებ, სთქვი, რაიცა გწადს სათქმელად,
აწ მაცნობე, რომელს ითხოვ, გამოგუშვებ უეჭველად“.

მოახსენა: „დიდო მეფევ, დაგიჩოქებ მე ცოდვილი!
თქვენგვე უწყით, მეფე ჩვენი არის უკვე გარდაცვლილი;
ბნელეთში გვყავთ პატიმარად თქვენ დავითი, მისი შვილი,
მისის ცოდვით ვიტანჯები, არის ჩემგან გამოზრდილი...“

რა სახელი დავითისა ყიასდინმა მოისმინა,
ფერი კრთა და გულის წყრომით დაიღრიჯა, მოიწყინა.
მონას ყელში ჩაეჭიდა, კვლავ ველარა დაითმინა,
მეტისმეტის მრისხანებით, ვითა მხეცმა, დაიღრინა.

დაუყვირა: „რაც წარმოსთქვი, ვისგანა გაქვს გაგებული?
მე დავითი საიდუმლოდ მყავს ბნელეთში ჩაგდებული,
შენ რა იცი, უგუნურო, რაში არის ბრალდებული?
ვხედავ, თავი რომ გქონია საჯალათოდ დადებული!

მოღალატე ქართველებმა ვერც მისიმეს, ვერც მიმძახლეს,
დღეს დავითის მოგონებით მე სევდები განმიახლეს...
შენ რა საბუთს წარმომიდგენ, რომ კისრულობ მის სიმართლეს?
ერთად მასთან, უბედურო, თვით გაგიქრობ დღის სინათლეს!“

მოახსენა: „ჰე, სულთანო, ღმერთმან მოგცეს დღეგრძელობა,
მეფეს ჰმართებს ღვთაებრივი სიმშვიდე და მართლმსჯელობა.
ნუ გასწყრებით კადრებისთვის, იქონიეთ სულგრძელობა,
ხშირად ნათელს ბნელად შესცვლის სიფიცხე და გულხელობა!

გაქვთ სამეფო ტახტ-გვირგვინი, ბომებული დიად ზეცით,
მე დაჩაგრულს ბედისაგან თქვენ სასტიკად მომექეცით:
გამირისხდით უპატიოდ, რაც ვითხოვე, არ მომეცით,
თვით დასჯილი კვლავ დამსაჯეთ მწუხარებით მრავალკეცით.

კაცი სუსტი და უმლური ღონიერთან უძალოა,
ერთხელ მასაც გადაჰხდება, ვინც გლახაკზედ უწყალოა;
ეგ სოფელი ვერ გაიტანს, მუხთალი და უცალოა;
ღმერთი იყოს თავსმდებელი, დავით თქვენთან უბრალოა!

ყველაფერში მართალია, ეწამება რაცა ცილი,
დავითია უბოროტო, მადლით სავსე, ენა ტკბილი:
ღვთის მოყვარე, კაცი სათნო, უცოდველი, გულკეთილი;
აწ აკმარეთ სატანჯველი, შეუხსენით მას ბორკილი“.

მან უბრძანა: „არ შეგარჩენ, უგუნურო, რაც იუბედე!
გამართლება დავითისა ვით იკისრე, ვით გაჰბედე?
მაგ სიტყვების დამტკიცების შენ რითი ხარ მოიმედე,
მე საბუთი ხელთ მიჭირავს, თვით გაჩვენებ, გადახედე!..“

და ჯიბიდგან ამოიღო მეის წერილი განაშალი:
„ნახე, რასაც იწერება ჩემთან თქვენი დედოფალი!
ის ხომ ჩემი სიდედრია, ცოლად მიზის მისი ქალი,
აწ ამითი აიხსნება, მტყუანია თუ მართალი“.

რა წერილი გადაშალა, ჭუჭყი ჰქონდა წაცხებული,
ნახა, მთელი თაბახია ასოებით ავსებული;
ვერ არჩევდა, ცრემლით ჰქონდა კაცს თვალები გავსებული,
მისი წინასიტყვაობა ასე იყო დაწყებული:

„მე სიდედრი წერილს გიძღვნი, ჩემო შვილო და სიძეო,
თვითმპყრობელო საბერძნეთის, დიდის ნუქარდინის ძეო!
ღვთის წინაშე ამას ვითხოვ, მან მოგაგოს დღის სიგრძეო,
მასვე ვმადლობ, რადგან თქვენი დღეს მშვიდობა გავიგეო!

ვფიცავ, თქვენი დაშორება ჩემს გულს ვერ მოუთმენია
და ჩემს ენას დღე და ღამე ლოცვა არ გაუცდენია;
ბედნიერად ბრძანებულხართ, ღმერთს ვედრება უსმენია,
მაგრამ სხვა მხრით დავუსჯივარ, ჩემთვის გული უტკენია.

მოგეწერათ, წავიკითხე ჩემის ქალის საყვედური,
გითომც იგი თავის ბედზედ იყოს დიდად უმადური,
აღარ ჰსურდეს თქვენი ტრფობა, აღარც თქვენი სამსახური,
თუ ეს იჭვი მართალია, მე ვყოფილვარ უბედური!

თამარ, ჩემის ცოდვის შვილი, თუ თავის ბედს ეურჩება,
დატანჯული მისი დედა ამ ჯავრს ველარ გადურჩება,
გიცი, მასაც საბოლოოდ სანანებლად დაურჩება,
ვინც თქვენს შუა მიზეზია, ერთ დღეს მასაც არ შერჩება...

თამარ სათნოდ გამოვზარდე, კეთილითა იყო სრული,
ბოროტება სიყრმიდანვე ჩემგან ჰქონდა აკრძალული;
ლმობიერი, ღვთისმოსავი, სიბრძნით იყო განსწავლული,
ჰქონდა სჯული შენახული, ქალწულება დაკრძალული.

აქ ყოფნის დროს რიდი მქონდა მე თამარზედ ცუდის ხმების;
თუმცა გიყავ მოიმედე ქვეშევრდომის ჩემის ყმების,
მაგრამ კაცი ქვეყანაზედ უცოდველი არ იქნების:
ვისიც იჭვი გულსა მიღრღნის, რა ვჰყო, ჩემგან ვით ითქმების!

მას, ვინც არღვევს თქვენს ერთობას, ცუდი მახე დაეგება:
სამართალი აზღვევინებს, ვისაც ბრალი დაედება...
თუმცა დიდად მერცხვინება და ცოდვისაც მერიდება,
თქვენს წინაშე ვერ დავფარავ, რაც ვიცი და გამეგება.

დავით ჩემი მმისწულია, დიდი ლაშას დანაშთენი,
უკანონოდ შობილია, უქორწინოდ შენაშენი;
თამარ მასთან გაზრდილია, ვარ იჭვებით შენამრწენი, —
ვაჰ, თუ დავით სირეგვნითა იყოს მაზედ შენაცდენი!

აწ ვაახლებ თვითონ დავითს თქვენს დიდებულს მართლმსაჯულობას,
იმედი მაქვს მიუტევებთ, იხმართ მეფურ სულგრძელობას.
ნუ დააგდებთ უმემკვიდროდ დაობლებულს ქართველობას,
მე მოვხუცდი, ვეღარ შევძლებ საქართველოს მმართველობას!

მეფემ შვილი გვიანდერძა სატახტოდ და საპატრონოდ,
მაგრამ ხალხმა არ ინება, რადგან სცნობენ უკანონოდ,
მისდა ნაცვლად ჩემს შვილს დავითს ამზადებენ საბატონოდ.
ჩვენცა გვმართებს ხალხის ნდომას დავმორჩილდეთ, დავემონოთ.

შემდეგ თქვენის წერილისა მაქვს სიცოცხლე გამწარებით,
აწ მმისწული გაახელით ცხელის ცრემლის მდუღარებით,
სამართალმა რაც არგუნოს, გთხოვთ მაცნობოთ დაჩქარებით:
რამდენი დღეც დამშთენია, დავყოფ შფოთით, მწუხარებით...

თამარ მწარედ მომიკითხეთ, ჩემი მეხის დამცემელი,
თქვენებრ მეფის მოღალატე, დედის თვალთა დამვსებელი,
თავის თავის დამღუპველი, საქართველოს შემრცხვენელი,
უნამუსო, არაწმინდა, სინიდისის გამცემელი!"

რა სოსანამ გადიკითხა ეს წერილი ყურადღებით,
სულთანის წინ დაიჩოქა მან თავ-ყელის გადაგდებით,
მოახსენა: „ეგ წერილი მიგიღიათ ღვთის განგებით,
რადგან მე და ჩემი დავით ამ საბუთით გავმართლდებით.

დიდებულო ხელმწიფეო, ბრძენი ხართ და გონიერი,
დაკვირვებით განიხილეთ რუსუდანის მონაწერი.
თუ თავის ქალს არ დაჰზოგავს და გასწირავს, ვითა მტერი,
ამისთანა დედისაგან სხვა რაღაა დასაჯერი!



საზოგადოდ დაცული გვაქვს საღმრთო სჯული ქრისტიანებს.
ესდენ ცოდვებს დედოფალი ნეტავ როგორ მოინანებს!
ჯერ ქართველში არ მომხდარა, ამ წერილში რასაც ბრმანებს,
დიდად მიკვირს, ამ საზიზღარ დანაშაულს ვით აბრალებს?

თუ ამაში მე ვსტყუვდები, რაც გაკადრეთ, რაც გითხარით,
შემბორკეთ და გამატიტვლეთ, ჯაჭვით ხეზედ მიმაკარით,
ან რაც იყოს უმაღლესი სატანჯველი, მომაჰყარით,
გსურდეთ — ცოცხლად გამატყავეთ, გსურდეთ — ენა წამაჭერით.

თავის ქალი რად გასწირა, თუ მმისწული არ უყვარდა?
მიკვირს, გრძნობა მშობლიური ეგრე ვითარ განუქარდა!
თამარ ქართლში დაიბადა, იმერეთში გაიზარდა,
დავით მეფის სასახლითგან არ გასულა თბილისს გარდა.

ის მოგიძღვნათ დედოფალმა, ვითომ ბრალის შესანდობლად,
ცბიერებით შეგაპარათ სასიკვდილოდ, მოსასპობლად.
თქვენ შეჰრისხეთ, გადააგდეთ ზღვასა შინა დასახრჩობლად,
მაგრამ ღმერთმან საქართველო არ დასტოვა მისგან ობლად.



სასწაულმა დაიფარა, ერთს ფიცარზე გაარჩინა,
ზღვამ კუნძულზე გამოაგდო, ცოცხალ-მკვდარი დაარჩინა.
მუნ ვაჭარმა მოიძია, წაიყვანა, მოარჩინა,
თქვენს სამართალს არ დასჯერდა, ღმერთმა მისი გააჩინა.

უმემკვიდრო სოვდაგარმა სიკვდილისგან დაიფარა,
ვითა შვილი შეითვისა, შეიტკბო და შეიყვარა:
ყველა მისგან მოგებული გადასცა და ჩააბარა,
გარნა ჩემმა მეფის შვილმა არ ისურვა, მუნ დაჰყარა.

გამოუტუდა თავის საქმეს, არაფერი უთხრა მრუდად,
ერთხელ მკვდარი ხელმეორედ თქვენს წინ სიკვდილს დაუბრუნდა,
იცის ღმერთმან, უმანკოა, ამას ფიცი აღარ უნდა,
კმარა ტანჯვა, შეიბრალეთ, დაგლახაკდა, დამაბუნდა!

სულთანი ხართ, უსაფუძვლოდ ნუ აჰყვებით ქალის ენას,
დაგარწმუნებთ, მოესწრებით თქვენ ამ საქმის აღმოჩენას;
რუსუდანმა რაც გაუწყათ, უმართლოა, ვფიცავ ზენას,
იმისი მხრით სასარგებლო მიზანი აქვს მის დასმენას!

მე საბრალოს თუ მომისმენთ, მრავალს ცოდვას აგარიდებთ,
დედოფალზედ რასაც ვამბობ, მისდა მტრობად ნუ ჩამიგდებთ,
მაშინ მხოლოდ დამიმადლებთ, მის განზრახვას რა გაიგებთ,
უბრალო სისხლს დავითისას თავის თავზედ ნუ დაიდებთ.

დღეს მეფე ხართ, თქვენებრ კაცთა პატრონობა გაქვთ ურიცხვის,
თითო-თითოდ უფლება გაქვთ თუ სიკვდილის, თუ შერისხვის,
მაგრამ ერთ დროს, მსგავსად სხვათა, თქვენც მოგელით დღე განკითხვის,
უცოდველი წმინდა სისხლი მსაჯულთაგან მოგეკითხვის!"

რა ეს თხოვნა დაასრულა, დაუჩოქა, აუტირდა,
სიტყვა ვეღარ მოახერხა, დაელია, დაუმვირდა.
ეიასდინსაც შეეცოდა, რა მის ქცევას დაუკვირდა,
გულში აქო, დაუმადლა, მოუწონა, გაუკვირდა.

რუსუდანის სიმართლეში ეიასდინიც ეჭვდებოდა,
მის მონაწერს და ნაამბობს ნიადაგი ეცლებოდა,
რადგან წინათ ეს ამბავი გაგონილი ისეც ჰქონდა,
რომ თამარი სიერმიდანვე იმერეთში იზრდებოდა.

მოქმედება სიდედრისა წარმოუდგა სათაკილოდ,
ხედავს, მმისწულს ცბიერებით ეელსა სჭრიდა სასიკვდილოდ,
ამით მის შვილს უმკვიდრებდა საქართველოს უნაწილოდ;
ამ ეოველი მოისაზრა, „ასეაო — სთქვა—უცილოდ!"

ტკბილად უთხრა მან სოსანას: „აწ ელოდე შეწეალებას,
ითხოვ შენის გამოზრდილის გამოშვებას, შებრალებას,
დიდად მომწონს და ვაფასებ შენს მისდამი ერთგულებას,
თვით ვიზრუნებ აწ დავითის სიცოცხლეს და დაცალებას.

ვერ მივიღებ მე სიმართლედ რუსუდანის მონაჭორებს,
მის წერილებს რომ ვერწმუნო, თვით თამარსაც მომაშორებს;
მის მეს ტახტი დავუმკვიდრო, ასე როგორ მომაღორებს,
ესე ჩემგან არ იქნების, ვით აქლემი ვერ იჯორებს!

დღეს, მონაო, შენის თხოვნით სიმართლისთვის მიმიგნია,
სიხარულად ჩაითვალე, რაც საჯელი მიგიღია;
დავითს აღარ მოვაკვდინებ, მაზედ ხელი ამიღია,
აწ იმისთვის სამუდამოდ ციხის კარი გამიღია.

თუმცა იგი ბნელეთიდგან არვინ მალუმს რომ წამგვაროს,
მაგრამ ნაყოფს თუ არ ელის, კაცმა მიწა რად დაჰბაროს;
მე რას მარგებს, მისი სისხლი რომ უბრალოდ დაიღვაროს!
წადი, უთხარ მელიქ სელიმს, გამოუშვას, აქ მომგვაროს".

მაგრამ მელიქ სიტყვიერად არ მოგცემსო, ესე ბრძანა,
მისის ხელით დანაწერი მან ბარათი გაატანა.
სულთანს ფეხნი დაუკოცნა, დაუვარდა, ეთაყვანა,
ვითა გიჟი, თავშიშველი გამოიქცა მსწრაფლ სოსანა.

მოწყენილი დადიოდა, მარტოდ დარჩა რა სულთანი.
იტყვის: „სევდამ მომახუცა, გამითეთრდნენ თავზედ თმანი,
ჩემს სსოვნაში განთქმულია ერთგულებით ქართველთ სჰანი,
მეფეების სიყვარულით სისხლს აქცევენ მათნი ყმანი...

მამაჩემსაც გამოეცნო მათი ზნე და ხასიათი,
კავშირი და მეგობრობა განეზრახა მას იმათი:
მოენება მისად ცოლად დედოფალი თამარ მნათი,
მაგრამ თამარ გამწყრალიყო, წაეკითხა რა ბარათი.

მრავალგვარის მიზეზებით უთანხმობა მოეწერა.
ამ პასუხმა ნუქარდინი მოახუცა, დააბერა,
გული სევდით დაუწყლულდა და ნაღველი გაებერა;
მაშინ ქართლზედ გაილაშქრა და მესისხლედ დაემტერა.

მამაჩემმა სიკვდილის დროს დამაფიცა თავის თავი:
თუ ვინდომო ცოლად ქალი — მზის და მთვარის უნახავი,
ვალად დამდვა მომეძებნა თამარ მეფის ნათესავი;
რადგან იყო მისი ნება, მეც ანდერძი დავიცავი.

სელიმ ქართლში გავაგზავნე, ჩემთვის სასძლო მოენახა:
რუსუდანის ნორჩი ქალი შეხვედროდა მეფის სახლთან,
რაცა მსურდა, ვიპოვნეო, გულში ასე განეზრახა.
რა მომითხრა მისი ქება, სიყვარული ჩამესახა.

ესდენ მიქო მან საცოლე, თავში ტვინი დამეფანტა,
ქართლს მხატვარი გავაგზავნე, მეფეს ვუმღვენ ჩემი ქარტა,
მხატვარს სახე თამარისა ნამალევად დაეხატა,
მოერთმია: რა დავხედე, მე სიცოცხლე მომემატა.

თამარ მეფის სახე მქონდა და ამ სახეს შევადარე,
ისე ჰგავდნენ ერთმანეთსა, ვითა გაჰყოთ ორად მთვარე:
ვინ რომელი თამარია, დავრჩი ამის მიუმხვდარე,
ტყვედ შევიქმენ სურათისა, ვეტრფიალე, შევიყვარე.

ქართლში ფაშა გავაგზავნე და რუსუდანს ქალი ვსთხოვე,
ლაშას ძღვენი ვაახელი და ბოდიში მოვითხოვე.
მეფისაგან ამ საქმეზედ სრული ნება მოვიპოვე,
მსწრაფლ ვუბრძანე მოეყვანათ, მუნ აღარა დავუტოვე.

ამა საქმის დაჩქარება სელიმ მელიქს დავაბარე,
საყვარელის მოლოდინში დღენი ტანჯვით გავატარე,
წაველ გზაში შესახვედრად, ქობულეთში შევეყარე,
რა თამარი დავინახე, განვცვიფრდი და გავიხარე.

მშვენიერმა მისმა სახემ მყის დაიპყრო ჩემი გული:
მან შთამბერა ახლა სული, დამატყვევა, მყო დაბმული;
ვიგრძენ მწველი სიყვარული მე ანაზდად აღგზნებული,
სისხლმა მიწყო მსწრაფლ დინება, მქონდა ძარღვში დაგუბული.

ვიყავ დიდად ბედნიერი და საჭვროს არას ვგრძნობდი,
დიდებულთა ქვეშევრდომთა ჩემთა ძმურად შევიტკბობდი,
მქონდა გლახაკთ მოწყალება, შემცოდეთა შევუნდობდი,
ობოლთ ვზრდიდი მამობრივად, ქვრივთა ხარკსა დავუთმობდი.

მაგრამ ბედმა უბედურმა მსწრაფლ წამართვა რაც მარგუნა.
მომავალი მოლოდინი გამიცრუა, გამიმტყუნა:
რაც მიბოძა წამის ყოფით, კვლავ თავისთვის დაიბრუნა,
სიტკბოებას გამაშორა, ცხოვრების გზა გამიღუნა.

მე თამარმა მომიძულა და თავის ქმრად არ მინდომა,
ზაფრის ქარი ამივარდა, მაქვს სევდისგან გულზედ ხდომა;
ქრისტიანზედ ვიქორწინე, დავაშავე, ვყავ შეცდომა,
და მაჰმადმაც აღარ დასთმო ჩემგან სჯულის გადახდომა.

ვინ აღმიჩნდა მე მეტოქედ ნეტავ იმის სიყვარულში?
რომ არ ვიცი, ჩემდა ნაცვლად ვინ სადგურობს იმის გულში?
ვიღაც სტკბება სამუდამოდ, ვერ ვინ უდრის სიხარულში,
მე კი ჩემი ტანჯული დღე უნდა დავჰყო სინანულში!

ეს იჭვები ნამალევად გულში ველარ შევინახე,
თამარს ბრაზით მივუვარდი და მხეცურად შევუმახე,
თუმცა პირველ მოვერიდე, ხელი ცუდად არ შევახე,
უკანასკნელ შეურაცხვყავ, გავარისხე, გავაბახე.

მისი სჯული არ ვაუფლე, შევურიე, შევუშალე,
უბისაგან სალოცავი ამოვგლიჯე, დავუმალე;
მონები და მღვდელმთავრები განვაშორე, განვაცალე,
ერთს სადგურში შევამწყვდიე, გასასვლელი დავუკრძალე.

რაც სასჯელი დავუნიშნე, მოთმინებით გაატარა,
რამაც მეტად აღმაბორგა, გამაშფოთა, გამამწარა;
რუსუდანმა ყველა მამცნო, მისი არა დამიფარა...
მიკვირს, ღმერთმან რად დამსაჯა, რისთვის სული არ გამეარა!

ღმერთმა მტერიც მაპოვნინა, უმოწყალოდ არ დამაგდო,
თვით მიჯნური თამარისა ჩემს ბრჭყალებში ჩამოაგდო;
მივეც იგი მენავესა და მან ზღვაში გადააგდო,
ერთს ფიცარზედ შერჩენილი ზღვამ კიდეზედ გამოაგდო.

კვლავ ცოცხალი მომიბრუნდა; სხვა ველარა გავაკვლიე,
მსწრაფლ მენავე შევიპყარი, სისხლისაგან დავაცლიე.
ვითა მხეცი, ჩემს წინაშე ჯალათს დანით დავაკვლიე,
სატრფო მისი ხელმეორედ მე ჯურღმულში ჩავაფლიე.

თამარ ჩემო, რად აღმინთე დაუშრეტი ცეცხლი მწველი?
ვნატრობ პირველს შენს გაცნობას, გნახე ვარდი გაუშლელი:
ნეტარებას რად მოაკლდი, ან მე რისთვის მომაკელი?
დამიბრუნე შენი გული, მეგობრულად მომეც ხელი!

ჩემი გული და გონება შენთან ჰფრინვენ, შენ დაგტრფობენ,
შენს უსაზღვრო სიყვარულში ქვეშევრდომნი მე დამგმობენ;
იმათ გტუქსავ, გუჯავრდები, მაგრამ კრძალვით დამითმობენ;
გამიფუჭდა ხასიათი, დიდებულნი ველარ მცნობენ!

ხალხის ბედი რაღაც შემშურს, თითქო მმულდეს საბერძნეთი;
ვინც კი არის ბედნიერი, მე არ მიყვარს დღეს არც ერთი,
მიხარიან, თითოეულს დასტანჯვიდეს ჩემებრ ღმერთი,
მსურს, ჩემსავით ყველას გულში ტრიალებდეს ჯოჯოხეთი!

სჯობს, თამარი ვინახულო, არ მინახავს თვეა სამი,
ჩემს სიცოცხლედ ეღირება მისი მზერა ერთი წამი!
შესამლოა, შემირიგდეს, შეიცვალოს დრო და ჟამი,
შემდეგისთვის გამითენოს ბედნიერი ბაირამი...

ეხლა მჯერა, შემცდარი ვარ, უსამართლოდ მყავს დასჯილი,
იმედი მაქვს, მაპატიებს სასემნათი, ენატკბილი.
ჩემი თამარ უბრალოა, მე დავწამე, ვხედავ, ცილი,
მის უმანკო სიყვარულში არვის უმევს ჩემთან წილი".

ყიასდინი წამობრმანდა დედოფალთან ამ ფიქრებით,
მას სადგურში შეეპარა სიჩუმით და ფეხაკრეფით.
ნახა თამარ ტახტზედ მჯდომი გულამოსკვნით, ატირებით,
ლაწვდაგლეჯით, თმაგაწეწით, სისხლდადენით, გამწარებით...

თამარს ცეცხლი თურმე სწვიდა, შალვასაგან ანთებული,
დამწვარს სიო ვერ აგრილებს, აქვს ფანჯრები დაღებული.
ქმარმა მასთან შეამჩნია რაღაც წიგნი დაგდებული,
იყო მეელი, დაჭმუჭნილი, სისხლით მოვარაყებული.

რა სულთანი დაინახა, ქალი შეჰკრთა, დაიღრიჯა.
წერილს ხელი წამოავლო, შეინახა, არ გასინჯა;
ყიასდინი გაურისხდა და უბიდან ამოჰგლიჯა,
თმა მოჰხიდა, წააქცია, გულზედ დანა დააბიჯა.

ვითა ხელმა, დაუყვირა: „მსურსო ცხვირი მოგაჩეხო,
შე როსკიპო, მოღალატევ, სახერხელით გასახერხო,
მაგრამ რა ვქნა, სულთანი ვარ, მეფის აღთქმა ვით გავტეხო!
არ ვიკადრებ, დამზრახავენ, ქალს მახვილით რომ შეგეხო!"

ქალმა უთხრა: „აწ, სულთანო, რაც გენებოთ, აღასრულეთ!
მწყურვალე ხართ ჩემის სისხლის, თქვენც ამ აზრით მინახულეთ;
გევედრებით, შემომეხეთ და მახვილით დამაწყლულეთ,
ამ ტანჯვისგან მომასვენეთ, საუკუნოდ დამასრულეთ...

ჩემს მსახურებს გვამი ჩემი ოღონდ ქართლში გაატანეთ,
ეგ წერილიც მე მეკუთვნის და კუბოში ჩამატანეთ...
უმანკოა ჩემი სისხლი, მით ხელები დაიბანეთ.
ეგ ანდერძი აღმისრულეთ და ცოდვები შეინანეთ".

წერილს სისხლი ბლომად სცხია, ზედ სულთანი აკვირდება.
თამარს ეტყვის: „ამ წერილით შენი დავით რას გპირდება,
თუ მომითხრობ, სიტყვას გამლევ, მისი ტანჯვა შემცირდება:
თორე ცრემლებს ნუ დაჰხარჯავ, ხვალე მისთვის დაგჭირდება!

შენ და იგი რომ დაგხოცოთ, ეს ცოტაა, არ იკმარებს!
მე ვიპოვნი, ვინც თქვენს შუა ამ წერილებს დაატარებს,
მას სატანჯველთ დავუნიშნავ მნახველთათვის შესაზარებს,
სხეულს ჩანგლით დავუგლეჯ და სასმელს მივცემ მხამზე მწარეს!..“

საშინელმა მრისხანებამ გამოსცვალა მეფე ლაღი,
მუქარებით გამოვიდა, ჩაიარა მცირე ბაღი;
გული ჰქონდა სევდისაგან დანაწვავი, დანაღალი,
ნახა, სახლში არ დაუხვდა მოუვანილი ჯერ ტუსაღი.

სთქვა სულთანმა: „ვინც დამღუპა, მწარე ცრემლებს გაფრქვევინებ,
დავითს დავსჯი მე საზარლად, თვალებს ამოვათხრევინებ,
ამ წიგნს სელიმს წავაკითხებ, რაც სწერია, ვათქმევინებ,
თამარსა და მის საყვარელს ჩემს სისხლს სისხლით ვაზღვევინებ!“

ღელვისაგან, ვითა გიჟი, დარბოდა და არ დამჯდარა,
ხელმეორედ პატიმარი თვის წინაშე დაიბარა;
სელიმს გულში უწერებოდა, რომ სიჩქარით არ მოჰგვარა;
სანამ დავითს წარუდგენდნენ, ამ ტანჯვაში გაატარა.



## უიასდინ სულთნისაგან დავითის, ლაშა-მეფის შვილის, ჯურღმულიდან განთავისუფლება

ცივს, ნესტიანს, ბნელს სარდაფში ხალიჩაზედ დაჩოქებულს,
მცირე ხატი ღვთისმშობლისა წინ ესვენა გაუვითლებულს;
ცრემლს აფრქვევდა, ლოცულობდა, ადიდებდა მისგან ქებულს,
კარის რეკა შემოესმა ამ დროს ჭაბუკს გაფითრებულს.

რა გაიღო საპყრობილე, პირველ მონამ შეირბინა,
მოეხვია ბატონიშვილს, დაუვარდა ფეხთა წინა:
„ეგ ცრემლი და ეგ ვედრება, — უთხრა, — ღმერთმან შეისმინა:
დღეს სიმართლე შენი საქმის დიდ უიასდინს აგრძნობინა!

ენა მებმის, მებორკება, სიხარულით სიტყვა მითრთის!
ვინც დაგსაჯა უსამართლოდ, პასუხს აგებს, თვით გადიხდის!
არ შეარჩენს დამნაშავეს, ცოდვილს ღმერთი არ განიცდის.
შენ კი ბედმა გამოგიხსნა, საქართველოს ტახტი გიცდის!“

დავითმა სთქვა: „თუმცა ბედმან სიურმით როდი მომასვენა
და სიკვდილმაც დამივიწყა, მომიმულა, შემაჩვენა,
მაგრამ, შენ თუ სოსანა ხარ და ეს ხმა არ მომეჩვენა,
ვმადლობ სულთანს, შენი თავი უკანასკნელ რომ მაჩვენა!

ნუ სტყუვდები, რომ სულთანმა თვისი აზრი შენ გაგანდოს,
ან მე ქართლში გამისტუმროს, ეს პატივი მე მან დამდოს.
ჩემის სისხლის მწყურვალეა, ნებავს სული აღმომხადოს:
მე გავჰყავარ იმისათვის, ისევ ზღვაში გადამაგდოს!

უკვე დროა, შევისვენო, ვარ ცხოვრებით დაქანცული,
ეს სოფელი მომეწყინა, მაქვს სიცოცხლე შენაძული...
რაც აქ ჭირი გამოვსცადე და უბრალოდ ვარ ტანჯული,
იმედი მაქვს, მის სანაცვლოდ მუნ დამატკბობს მე მსაჯული.

აწ მშვიდობით, გეთხოვები, შორი გზა მაქვს წასავალი,
ეს კი მრჩება სანანებლად, რომ თან მიმაქვს შენი ვალი;
ველარც სელიმს გადვუხადე ჩემზედ შრომის მე ნაცვალი,
ორთავეს გთხოვთ, მაპატიოთ, ვარ საფლავში მიმავალი.

ვიცი, ჩემდა საწამებლად მზად არიან ჯალათები,
გაწვალებულს ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია, თუ მოვკვდები.
შემდეგ ჩემსა სულთანს სთხოვე, გაგისტუმროს, ნუ დასდგები,
სამშობლოში წაასვენე, იქ დამარხე ჩემი ძვლები."

უმამან უთხრა: „რასა ბრძანებთ! ღმერთმან იმ დღეს ნუ შემასწროს,
თქვენის სისხლის დანთხევამდის, მე ვსთხოვ, სული ამომაძროს...
რაც სულთანმა გადასწყვიტა, რაზედ ფიქრობთ, რომ იმასხროს?
ნუთუ ცუდის მახარობლად მოვირბენდი შენთან ამ დროს?!"

სელიმმა სთქვა: „მომისმინე, დღემდის ჩემგან დასაცველო,
ჭირად მზისა შესადარო, გულად ლომო, საქმით ქველო!
აწ ირწმუნე, რაც მოგხსენდა, სულით წრფელო, უშფოთველო,
აღსდეგ, წადი, ეპატრონე, მეფედ გელის საქართველო!"...

დავითმა ზე აიხედა, გადიწერა პირზედ ჯვარი,
ეამბორა ღვთისმშობლის ხატს და ადიდა მაცხოვარი:
„შენ, უფალო, შეიწირე ჩემს წილ მსხვერპლი და ცხოვარი,
მადლი შენდა, მოწყალეო, აღმისრულე სათხოვარი!

გმადლობ, ღმერთო, რომ საფლავის კარებიდან დამაბრუნე,
და საკიცხელს ბრალდებაში უბრალოდ არ გამამტყუნე;
რუსუდანის ცბიერებას განმაშორე, არ მარგუნე,
მის მიერი მანქანება შეჰბოჭე და აწ დასთრგუნე!"

დაიჯერა და ირწმუნა სელიმისგან სიტყვა თქმული,
ზე წამოდგა, ჩაიკეცა, იყო თურმე ბრუდასხმული,
ხელი სტაცეს, წაბარბაცდა, ვით ახლახან ფეხადგმული,
კარში ძლივსღა გაიყვანეს, ძალმიხდილი, ფერნაკლული.

უჩვეულო მზის სხივებმა მსწრაფლ თვალები წაუხდინეს,
მოიძებნეს ხელსახოცი და თვალებზედ მიაფინეს,
სიარული ვეღარ შესძლო, ტახტრევანში ჩააწვინეს,
გაფრთხილებით წაიყვანეს და ეიასდინს წარუდგინეს...

დავითმა სცნო საშინელი მრისხანება სულთანისა,
ეიასდინში უცნობელი სახე ჰპოვა სხვა ტანისა,
რომელშიაც წაიკითხა შურისგება სატანისა
და იმედი გადიწყვიტა თავის საქმის გატანისა.

სელიმ მელიქ და სოსანა ერთად იდგნენ აივანზე,
დავით იჯდა სასახლეში, დაჰლეოდა ხორცი ტანზედ...
სულთანი თვალს არ აშორებს და უცქერის რაღაც განზედ,
არვინ უწყის, რა მოხდება, ხალხი იცდის მოედანზედ.

მეფის შვილმა მოახსენა: „გყავდით დღემდის წამებული,
ვხედავ, ეხლა გაგიგიათ, რაც არ გქონდათ გაგებული,
რასაც დღემდე ცილს მწამებდით, მე არა ვარ ბრალდებული,
გმადლობთ, ჩემგან აგიღიათ ჯაჭვი ქედზედ დადებული.

აწ ბრძანებით თქვენს წინაშე მომიყვანეს, მომიწოდეს,
თქვენის სახის მრისხანებით შემხედველი უნდა მრწოდეს;
თუმცა თქვენთა მართლმსჯელობათ გვიან მიცნეს, შემიცოდეს,
მაგრამ მაინც გვიანი სჯობს, ვინემ იქმნეს არასოდეს".

სულთანმა სთქვა: „შენმა ნახვამ მე ნაღველი გამიბერა,
შენმა მაგმა მოქმედებამ გული ლახვრით დამისერა;
დღემდის იჭვით გნუგეშობდი, დღეს კი საქმემ დამაჯერა:
ყველაფერი მართალია, რუსუდანმა რაც მომწერა.

თუმცა გიცი, ქართველი ხარ და არა გაქვს ღვთისა შიში,
ნათესავის ურწმუნო ხარ, ასე გიწესს შენი ჯიში,
მაგრამ თვითვე შენ მოგანდობ, ჩაიხედე სინიდისში,
თუ ამაში უბრალო ხარ, სთქვი, მომეცი ანგარიში!"

„სჯულიც მაქვს და სინიდისიც, ღმერთი მწამს და ნათესავიც,
კეთილს ვარჩევ ბოროტისგან, თუ რა არის, მესმის, ავიც,
მწარე ბევრი მიმიღია, არ ვარ ტკბილის უნახავიც,
რაც შემარცხვენს, არ ვიკადრებ, მოწონებით მიყვარს თავიც.

დაგაბეზღეს ჩემი თავი, განუსჯელად ხართ გამწყრალი,
შვიდი წელი ბნელში გყავართ, გაგუმელი, ვარ ცოცხალი;
მეფე ხართ და ვერ განსჯერიტეთ, ვინ ცრუა და ვინ მართალი,
ჩემს სინიდისს გეფიცებით, მე იმაში არ მაქვს ბრალი!"

მან უბრძანა: „უგუნურო, ასე ვითა გაიწირე,
თავის თავი გაიფუჭე, დაიმდაბლე, დაიმცირე!
შენ ჰფიცულობ, მე კი ხელთ მაქვს საბუთები არა მცირე...
რაღას იტყვი ამ წერილზე, დღეს რომელიც დავიჭირე?

თქვენში წიგნის მტარებელი მე ციხეში მყავს პატიმრად,
უოვლი თქვენი საიდუმლო გამიმხილა მან უშიშრად,
თვით თამარმაც თავი დასდო ჩემს წინაშე გასაწირად,
ველარ ჰფარავს შენს სიყვარულს, გამომიტყდა ჩემდა ჭირად.

ეგ წერილი წაიკითხე, ნაკალმია შენის ხელით.
ეხლა მაინც დარწმუნდები მაგ თვალებით, მოსათხრელით!
ხვალ სასტიკად დაისჯები ერთად შენის საყვარელით,
ორთავ ტანჯვით დაგასრულებთ, ჩემგან დახსნას ნულარ ელით!"

დავითს უკვირს, ეგ წერილი მირს აგდია, არ ეხება:
„ნეტარ ვისი შეთხზულია?" თვის გულს ფიქრით ეკითხება,
„თუ სიყალბის წერილია, ესდენ სისხლი რად ეცხება?!".
გადასწყვიტა: უნდა იყოს რუსუდანის მოხერხება.

„ჰე, სულთანო, მე არა ვარ არც ჯაბანი, არც გულჩვილი,
კარგად ვხედავ, ბარბაროსებრ ხართ მახვილით აღჭურვილი,
ჩემი სისხლი რომ დალიოთ, გენატრებათ, გაქვთ სურვილი,
დროს ნუ ჰკარგავთ, ბარემ შეჰსვით, მოიკალით კვლავ წყურვილი!

გხედავ, ჩემდა დასაღუპად წერილები შეადგინეთ,
რუსუდანის სასარგებლოდ ეგ სიყალბეც ჩაიდინეთ,
თქვენ სახელი სულთანისა დაიმდაბლეთ, წაიხდინეთ,
და თამარიც უმიზეზოდ სამუდამოდ შეარცხვინეთ.

ვითარ თქვენი სამართალი ღვთის სამართალს არ ედრება,
ეგრეთ თამარს რუსუდანი არცა მშობლად ეკადრება!
სანამ ცეცხლი ჯოჯოხეთის ცოდვილთათვის არ დაჰქრება,
მანამ გული რუსუდანის ჩემის სისხლით ვერ გაძღება!

აჰყოლიხართ დედაკაცის გაუმაძღარს გულხარბობას,
ჭუჭყსა ცხებთ და ვერ აფასებთ თქვენის ცოლის უმანკობას,
მაგრამ მე კი ვერ წამართმევთ სიკვდილამდის კაცურ გრძნობას:
აქაც მმა ვარ ჭეშმარიტი, ზეცაშიაც ვუზამ მმობას!

აწ უბრძანეთ, ჩემი ლეში ჯალათებში გაატარეთ,
სიდედრს ცნობა გაუგზავნეთ, მისწერეთ და გაახარეთ,
აღარავინ ეყოლება მეტოქედ და მემუქარედ,
საქართველოს ტახტ-გვირგვინი დაუმკვიდრეთ, ჩააბარეთ!

ვის უქმნია ამის მსგავსი სხვათა ჩვენთა წინაპართა?
მე სიკვდილი მომიხერხა და თვით ხელი მოიმართა,
ჩემის სისხლით ტახტი მორწყო, ზედ შვილს კიბე აღუმართა,
მაქვს იმედი, გადახდება, რაიც მისგან დამემართა!

თქვენს საზიზღარს მოქმედებას ისტორია დასწერს შავად,
ველარ შესცვლით მანქანებით ცუდსა კარგად, კარგსა ავად...
გავლენ წლები ათასები, ხალხს დარჩება საკითხავად,
მე შენდობას მიბოძებენ, თქვენ დაშთებით საკიცხავად.

მეფობა გაქვს, ხალხს პატრონობ, წესიერად დაიცავი,
გახსოვდეს, რომ შენც მოკვდები, სიკვდილს ვერსად გაექცევი;
არას გარგებს ხელმწიფება, მიწა მიწად მიიქცევი,
მანამ ღმერთის გეშინოდეს, სანამ ჩემებრ წაიქცევი!“

სულთანმა სთქვა: „თუ რომ ცოლმა ქმარი სხვაგან დაიგულოს,
სხვას მიუდგეს, იგი დასთმოს, უმუხთლოს და უორგულოს,
ქმარმა მისი მოღალატე თუ სიკვდილით დაასრულოს,
ვეჭვობ, ღმერთმან რომ დასაჯოს, სამუდამოდ შეიძულოს“.

დავითს ფიქრმა საშინელმა გაურბინა თავში ამ დროს:
„ვაჰ, თუ თამარს ყიასდინმა მით სიკვდილი მოუადროს,
რომ მის შემდეგ რუსუდანზე ქორწინება მოისაზროს,.
მასაც სჯული აგმობინოს, საქართველოც გაათათროს!

თუ სულთანი ამას ფიქრობს და ასეა მონდომილი,
ღვთისმშობელო, გევედრები შენს წინაშე დავრდომილი:
საშინელი ფიქრისაგან დააბრუნე შეცთომილი,
საქართველო დაიხსენი, არის შენი წილხდომილი!“

შემდეგ წიგნი გადაშალა, უიასდინის მონატანი,
რომელშიაც წაიკითხა დაფარული რამ საგანი.
დავითმა სცნო, ამ საბუთით სტყუვდებოდა რუსუდანი,
გათამამდა, გადასწყვიტა, ვეღარ დასჯის აწ სულთანი.

სულთანს უთხრა გაკვირვებით: „ეს რა მესმის საშინელი?
ვერც თვალები დავარწმუნე, არც მიჯერებს სასმენელი!
ვსცან ისეთი ხვაშიადი, რისიც ვიყავ უცოდნელი;
გთხოვთ, მიბრძანოთ, თუ აქ არის ამ წერილის მომტანელი!

ვითა ბნელსა ღამისასა მზის სხივები განანათლებს,
ეგრეთ ღმერთი მტყუანს დასჯის და უცოდველს განამართლებს!
ჩემს უტყუარ სიმართლესაც მე კაცისა ვერ წამართმევს:
აჰა, თვისის სასწაულით თქვენს წინაშე მეც მამართლებს!

მე ვიცნობდი ქართლში თავადს, ვისაც შალვას ეძახოდნენ,
დიდებული ოჯახები მას სასიძოდ შეჰნატროდნენ;
თვით ქალები გასათხოვნი სიყვარულით ალერსობდნენ,
მაგრამ თვისი იმედები გაუცრუვდნენ, გაუქროლდნენ.

ეს წერილი თამარისგან, სჩანს, რომ შალვას ჰქონებია,
და თამარის წმინდა გულიც იმ გაეს დაუმონებია,
თვით ჭაბუკსაც გარდაწყვეტით შესართველად სდომებია,
თქვენზე ადრე საიდუმლოდ დაწინდული ჰყოლებია.

იმედი მაქვს, ამ წერილმა ჭირი ლხინად შემიცვალოს,
სასწაულმა წამაკითხა მე უცოდველს და უბრალოს;
აწ, მგონია, თვით თამარმაც გითხრას, აღარ დაგიმალოს,
თუ ამაში მე ვსტყუოდე, კვლავ ღალატად ჩამეთვალოს“.

თუმცა სულთანს გაუკვირდა, მაგრამ სძლევდა იჭვი მარად,
განიზრახა, ეს წერილი შემდგარია წინასწარად,
„მოგონილი საბუთია მათის თავის დასაფარად,
განგებ ჩემდა საჩვენებლად, გასაჭირში მოსახმარად.

სჩანს, პირველად დაუსკვნიათ ერთმანეთში ეს თათბირი,
იმათ საქმროც ეყოლებათ მოსყიდული, მონაბირი,
როცა საქმე გაუმჟღავნდეს და მიადგეს გასაჭირი,
რომ ჩვენებას მათსას ექმნეს ერთი აზრი, ერთი პირი.

ამ წიგნს სელიმს წავაკითხებ, რაც სწერია, მომახსენებს.
თუ ეგრეა, რაც გავიგე, დამატკბობს და მომასვენებს.
თამარს ვნახავ, გამოვკითხავ: თუ სიმართლეს არ მიჩვენებს,
მოვკლავ მწარის სატანჯველით, მაჰმადისგან შენაჩვენებს“.

სელიმს თურმე ბავშვობაში შეესწავლა ქართველთ ენა.
მისცა წიგნი წასაკითხად მეფემ, გვერდით დაიყენა.
წაიკითხა, რაც ეწერა, ყველა ზეპირ გაიხსენა,
და თანახმად დავითისა შინაარსი მოახსენა.

„მაშ, სელიმო, რადგან ჭურჭელს ხშირად გასტეხს საწამლავი,
შენც გაფრთხილდი, თავმოკრული ჭურჭელი ხარ შემნახავი:
დაივიწყე, რომ შენა ხარ ამ წერილის წამკითხავი“.
თვით მელიქიც დაეთანხმა, მოუდრიკა მდაბლად თავი.

სულთანმა სთქვა: „თამარს ვნახავ, მსურს ბოდიში განვუცხადო:
რაც მომელის ბედისაგან, უკანასკნელ უნდა ვსცადო.
ეგებ გული მოუბრუნდეს და ხელახლა დავიბადო;
შენ კი, სელიმ, ჩემს მოსვლამდის დავითს უნდა მოუცადო“.

სელიმ დარჩა; თვით წავიდა, გამოაღო, შეაღო კარი.
მას დაუხვდა გულამოსკვნით მოტირალი კვლავ თამარი.
ყიასდინმა ამ სიტყვებით იწყო ცოლთან საუბარი:
„გთხოვ, დამითმო, მომიტეო, რაც სასტიკად მოგეპყარი...

შემცოდე ვარ, აწ მოვილტვი შენს წინაშე სინანულით,
შენ ცოლი ხარ და მე ქმარი, შენაუღლი ჩვენის სჯულით;
მწუხარება განმიყავი, გევედრები ამას გულით,
რაც ვიტანჯეთ, ის ვიკმაროთ, აწ ვიცხოვროთ სიყვარულით.

მე ეს მინდა, რომ ვიცოდე, რა გატირებს, რა გაჯავრებს,
ვერ შეიმლებ, მომიკვდები, საფლავის მხრით გაგამგზავრებს,
მას დიდებით შეგინახავ, ვინც შენ სევდას განგიქარვებს,
სჯულის შეცვლა თუ გაწუხებს, დაგიბრუნებ შენს მღვდელმთავრებს.

მსურს მარადის შენთან ვიყო, ვისულდგმულო, ვიმოძრაო
და მიზეზი შენი სევდის განვამიწო, განვაქვაო,
შენ შეგიტკბო სიყვარულით, ახლად გული აღგიყვაო,
მეც სახმილი ამარიდო და უდროოდ არ დამწვაო.

თუ რომ შენის სევდის მიზეზს ჩემთან მართლად აღიარებ
და თუ შენის ტანჯვის ნაღველს მინაწილებ, მიზიარებ,
გაძლევ წმინდა მეფურ სიტყვას, მე უზომოდ გავიხარებ
და შენს თხოვნას ყოველსავე მივიღებ და შევიწყნარებ.

სიკვდილს ვერვინ დაემალვის, რაზომც კაცსა დაესაროს,
მაგრამ ჰმართებს, დრო და ჟამი გონიერად მოისმაროს.
ამ წერილმა ეგ თვალები დაამსგავსა ცრემლის წყაროს,
გამომიტყდი, ვისგან არის, შენი ჭირი შემეყაროს!

თამარ, ვფიცავ შენს წინაშე ჩემსა დიდსა წინაპარსა,
მამის ჩემის ნუქარდინის ვფიცავ სულსა და სამარსა;
თუ მაცნობებ ყოველს მართალს, ვფიცავ, ვინაც დამაარსა,
დავითს დღესვე გამოვუშვებ და გავუღებ ციხის კარსა...

დღეის შემდეგ შენს ბიძაშვილს შევიყვარებ მეცა ძმურებ,
მისის კეთილდღეობისთვის არც სიცოცხლეს დავიშურებ,
სანამ დავითს ესურვება, შევინახავ ხელმწიფურებ,
როცა მომთხოვს, მის მამულში საკადრისად გავისტუმრებ.

თუ ინებებ, შენც გაგატან შესაქცევრად, გასართობლად,
რაც აქ სევდა შეიძინე, იმ სევდების გასაქრობლად:
სანამ გსურდეს, იქ დაჰყავი მაგ ცრემლების დასაშრობლად,
შემდეგში კი დამიბრუნდი ჩემის გულის დასატკბობლად!"

ქალმა უთხრა: „სულთანი ხარ, თქვენგან მიკვირს ეგ საქმეო!
ჩემის სისხლის მწყურვალე ხარ, უსმელობა ვერ დასთმეო?
აღარ ვფარავ შენს წინაშე, შემცოდე ვარ მხოლოდ მეო,
სხვას ნუ სტანჯავ ჩემდა ნაცვლად, მაჰამედი იწამეო.

მე ვარ შენთან დამნაშავე, მე მიმეცი დასასჯელად...
მომკლან, ზღვაში გადამაგდონ გველეშაპის დასაჭმელად,
მე შევიქმნა მაგალითი ქვეყანაზედ განსათქმელად!
სხვისი სისხლი უსამართლოდ რისთვის გნებავს შესასმელად?

აწ მოგითხრობ ყოველს მართალს, მოისმინე ჩემგან თქმული:
სამშობლოში საქმრო მყავდა, ვიყავ მისგან დაწინდული,
იყო ჩვენი მოქმედება მოპარული და ქურდული,
ვინც მომკვდარა ჩემის ცოდვით, ვისაც ვსტირი მე ბედკრული!

სანამ შენგან ხელმეორედ მოციქული მოვიდოდა,
მანამ დედას გამოვუტყდი, ჩვენი აზრი ხომ იცოდა;
მაგრამ შენის დახარბებით ჩვენ აღარა შეგვიცოდა,
ჩვენი თხოვნა არ მიიღო, სევდით გული დაგვიკოდა.

პირველადვე დედაჩემთან მე ბოდიში მოვიხადე,
შენი ქმრობა რა მახარა, უთანხმობა განვუცხადე,
მუხლზედ კოცნით ვემუდარე და თანახმა ვერ გავხადე:
ყველა მისის წყალობით მჭირს, რაც აქ ტანჯვა გამოვსცადე.

მისი გული ვერ მოვალბე, ვეალერსე, მოვეფერე;
თუ გამგზავნე, მე მოვკვდები, — ვუთხარ, ფიცით შევაჯერე,
მაგრამ ისე გამიკერპდა, რომ ვერასგზით დავაჯერე,
დაივიწყა შემოქმედი, პირზედ ჯვარი ვერ დავსწერე.

ხელი მტაცა, გამირისხდა, თავზე თმები ამაგლიჯა,
სასიკვდილოდ მომინდომა, ყელზედ დანა მომაბიჯა;
გამწირა და გადმომაგდო, თვით დასტკბა და მე დამღრიჯა,
შენთან მალად გამომგზავნა, საქმრო გულით მომაგლიჯა!

ეს ამბავი სიგრძის გამო შევამოკლე, შევამცირე,
ამისი თქმა შენს წინაშე მე წინასწარ დავაპირე,
მაგრამ საქმრო შემებრალა, ენას კბილი დავაჭირე...
რომ მოგეკლა, მეშინოდა... დაგიმალე, ვერ გავსწირე.

ვერა მტერი მტერს ვერ უმტრობს, რაცა მიყო მე დედამა:
სასიკვდილოდ გამიმეტა, ღმერთი ჰგმო და არ იწამა;
ბიძის შვილის საკიცხავი სიყვარული დამაწამა,
ნეტარ მისთვის მაკბენინა, მისი ხორცი შემაჭამა!

აწ მომკვდარა უკვე იგი, ვისიც ვიყავ დანიშნული...
ეს წერილიც მისი სისხლით არის შავად შელაქული,
მისი ცოდვით ვიტანჯები, მწუხარებით ვარ მოცული,
ვეჭობ, მკვდარსაც არ შემაშრეს თვალთა ცრემლის ნაკადული!

აწ ჩემს სიკვდილს აღარ ვშიშობ, მამაცურად შევეგებები,
ამ სამაგელს წუთის სოფელს სიმულვილით გავეყრები,
საიქიოს ჩემს საყვარელს ვნახავ, გულში ჩავეკვრები...
მომაკვდინე, ნუღარ მტანჯავ, გეხვეწები, გევედრები!

ვითა მომღვარს, უკანასკნელ უთხრობს თვისი მოწაფეო,
მეც ეგრეთვე ვაღიარებ, ვარ სიკვდილის მოსწრაფეო,
საშიშარის მახვილებით ნაკუწ-ნაკუწ ამკაფეო,
კვლავ ცოცხალი რომ დამტოვო, ნუ ინებებ, ხელმწიფეო!..“

რა თამარმა დაასრულა გულდამწველი ეს მოთხრობა,
სულთანს გულში განუქარდა მრისხანება, შური, მტრობა,
და მის ნაცვლად განუახლდა ცოლისადმი მეგობრობა,
იწყო მასთან სინანულით საბოდიშო საუბრობა:

„გთხოვ, თამარო, მაპატიო, მომატყუეს, მომაცთუნეს!
შენ რომ ჩემთან უბრალო ხარ, მაგ ცრემლებმა დამარწმუნეს,
რაც მიამბე, მაგ ამბებმა საფლავიდან დამაბრუნეს,
ცოდვისაგან გამომიხსნეს, ჭირისაგან მთლად განმკურნეს.

გმადლობ, ღმერთო, რომ ეს ჩემთვის თამარს დროით ათქმევინე
და დავითის წმინდა სისხლი ქვეყნად არ დამაქცევინე,
უცოდველის ჩემის ცოლის მკერდი არ გამაჭრევინე
და სამარე საკუთარი მე თვით არ გამათხრევინე.

თამარ ჩემო, მე წინასწარ რომ მცოდნოდა ეს ამბავი,
დავითს ისე გაცხოვრებდი, როგორადაც მე გიყავი,
შენთვის მსხვერპლად მექნებოდა დადებული მარად თავი,
მეც თქვენს გამო დავშთებოდი ჯერეთ ჭირის უნახავი.

ალბად ჩემდა დასასჯელად ასე იყო ღვთის განგება,
რომლის მიერ დაწესებულს წინ ვერავინ აღუდგება:
მისი ნება უოველივე შეუცვლელად აღსრულდება,
ბედისაგან მოსავალი თითოეულს გადაგვხდება.

ოდეს კაცი დედისაგან იშვას, ქვეყნად დაიბადოს,
პირველ ჰმართებს — ხვედრისადმი საბრძოლველად მოემზადოს,
მან ცხოვრება ბედნიერი ბოლომდის ვერ დაიქადოს,
მაშინ ტკბილიც დააფასოს, როცა მწარე გამოსცადოს.

ეხლა, თამარ, მე სათქმელი აღარა მაქვს ამის გარდა,
რაცა მქონდა აქამდელი მწუხარება, განმიქარდა;
მხურს შევიტყო, ეს წერილი შენ საიდგან ჩაგივარდა,
ან სიკვდილი ვინ გაცნობა შენ იმისი, ვინც გიყვარდა!“

ქალმა უთხრა: „რაცა ვიცი, კმარა ჩემად სატანჯველად:
ორის თვის წინ მწყემსი ვინმე შენ წარგზავნე დასაწველად,
ვისაც თურმე მმინარენი დაესოცნა სადღაც ველად...
ჩემი შალვაც იმათ რიცხვში მოკლულია უეჭველად.

მწყემსს იმათთვის საომარი იარაღი აერთმია,
თურმე რაცა ეცვათ ტანზე, გაემარცვა, წაერთმია,
ზოგი ტყეში დაემალა, ზოგი თქვენთვის მოერთმია,
გამდიდრების მოიმედეს ჯაფარ თვისდა დაერქმია.

ერთს სანჯალზედ წანაწერი შენ თვითონვე წაგეკითხნა,
მენახირეს გასწყრომოდი, ჯალათები მოგეკითხნა,
მსწრაფლ მიგეცა დასაწვავად, ბრალი აღარ გაგეკითხნა
და ფაშობის მათხოვარი შავის კუპრით გაგეთითხნა.

მწყემსისაგან მორთმეული ნამარცვავი საქონელი
თქვენ გებოძათ ფაშისათვის დახოცილთა სამოსელი:
მას ეპოვნა იმათ რიცხვში ქართველური ჩასაცმელი,
ყოშიანი ახალუხი, ღილკილებით შესამკობელი.

ქრისტიანსა წესადა აქვს ნაწილები თან ატაროს,
რომ სატანის საფრთხისაგან დაიცვას და დაიფაროს,
ვერ მიუდგეს მავნე სული, ვერც ეშმაკი მიეკაროს,
ვერც მზაკვარმა ავნოს გრძნებით, ვერც მაცთური შეეყაროს.

ახალუხის გულის ჯიბე იყო თურმე ნაქარგავი,
სელიმ ფაშას ჩემთვის ებლვნა ჩემი ცეცხლით დამდაგავი,
ავუჩქარდი, გულმა მიგრძნო, გავხსენ ჯიბის შესაკრავი...
რაც იქ ვნახე, მტრის თვალებმა ნახონ მსგავსი სანახავი.

იმ ჯიბიდან ამოვიღე ავგაროზი შეკერილი,
ერთად მასთან ნაწილები სისხლით იყო შეფერილი,
შიგ ბარათი მოვიძიე, უბედურს დღეს დაწერილი,
შარნის შემდეგ საიდუმლოდ ჩემგან მასთან გაგზავნილი.



როცა გილანს იერიშით თავს დაესხა ქართველთ ჯარი,
მაშინ შალვას მამაცობამ იმათ დასცათ შიშის ზარი,
მტერთა რაზმი ამოსწყვიტა, თვით შეღეწა ციხის კარი.
იმ დღის ჯილდოდ ეს ნაწილი ჰქონდა მეფის ნაჩუქარი.

ღმერთმან ჩემებრ ის დაჰსაჯოს, მე ჩემს შალვას ვინც გამყარა,
ესლა ბედმა სულ დამღუპა, მარტო გაყრა არ მაკმარა,
მე ვის გამოც ვნუგეშობდი, ის ცოცხალი მყავს აღარა,
ვნატრი, სადა ის მარხია, მეც იმ მიწას მიმაბარა!"

სულთანმა სთქვა: „საქებია ქართველთ ტომი, ქართველთ წესი,
დღეს დავრწმუნდი, ყოველს ტომზედ არის იგი უმჯობესი.
იყოს მარად კურთხეული თქვენი სჯული, თქვენი ფესვი,
ამ საქმეში დავინახე სასწაული უმაღლესი.

თუმცა პირველ განმარისხა ესდენ შენმა ცრემლთა დენამ,
გესლმა თავი გამირეტა, მომიშხამა გული წყენამ,
მაგრამ მიხსნა ზეცისაგან სასწაულის გადმოფენამ,
მრავალ ცოდვას განმარიდა ამ წერილის აღმოჩენამ.

თამარ, მე შენ არ გიმტყუნებ შალვასადმი სიყვარულსა,
გითქვამს სიტყვა ხელმწიფური, შეგინახავს მტკიცედ გულსა,
რაც პირობა მიგიცია, ინახავდი ვითა სჯულსა,
შაბაშ, ქალო, სიკვდილამდის რომ აფასებ შენგან თქმულსა!

თუმცა ტანჯვა ამ მიზეზით გაგივლია შენ დიდმალი,
მაგრამ მისთვის დაითმობდი, მისი გწვიდა ნაპერწკალი,
მისგან ცეცხლი აღგზნებული გულში გქონდა გაუმქრალი,
ამას სხვა ვერ შეიძლებდა, თუ არ შენებრ სათნო ქალი!

მე ყველასთან შემცოდე ვარ, ვხედავ, ცუდად გავისარჯე,
უსამართლოდ გაგაწვალე, ბიძის შვილი დაგისაჯე,
ჩემი თავიც გავიმწარე, შევიწუხე, დავიტანჯე,
შეცოდება მომიტევეთ, ორთავესთან ვარ მოაჯე.

ჩემზედ დიდი შეცოდება დედაშენმა მოახდინა,
გესლიანის წერილებით მომატყუა, შემაცდინა,
შენ გაგწირა, გიღალატა, თავის ხელით მოგაკვდინა,
ჰმისწულს მიწა გაუთხარა, შვილი მეფედ მოავლინა.

სიტყვა ველარ მიპოვნია, ჩემი თავის გასამართლი,
რუსუდანი არ ყოფილა თქვენი სჯულით მონანათლი,
ვერაგულად მოინდომა დაჰკარგოდა დავით ქართლი,
მაგრამ ღმერთმან არ წაართვა ქვეყნისა და მამის მადლი!

საზიზღარის მოქმედებით თვის შეილს ტახტი მოუმზადა,
ხერხი ცუდად ჩაეფუშა, ველარ შესძლო, რაც ეწადა...
მეფის მემან უსამართლოდ რაც კი ტანჯვა გამოსცადა,
ვეცდები რომ დავავიწყო, თუ ვიცოცხლე, თუ დამცალდა.

დავით ერთი მონა ახლავს, თუ გაქვს ცნობა სოსანასი,
მებატონის სიყვარული არ ნახულა იმის მსგავსი:
მისგან ცრემლი იღვრებოდა დღე და ღამე თითო თასი,
მან ქამარი მომიტანა, უთქმელია მისი ფასი!

ეყო დავით რაც ალივსო მწუხარებით საშინელით,
მნებავს, თავი შევაყვარო სამსახურით აწინდელით;
ეგებ ჭირი განვუქარვო ხელმწიფური სასყიდელით:
ეს ქამარი მიმიცია, შემოარტყი შენის ხელით.

წესი არის, მეფეს ჰქონდეს, არ ეკუთვნის სხვას სახმარად;
როცა პორფირს შეიმოსავს, იქონიოს წელზედ მარად,
გამოვლილთა შავთა დღეთა მოსაგონრად, სახსოვარად,
მომავალის სამეფოის დასაცველად, დასაფარად.

ეხლა მინდა შესაფერი სახლი მივსცე საცხოვრებლად,
დიდებულნი მოხელენი დავუნიშნო მასთან მხლებლად,
ხომალდები სასეირნოდ მივსცე ზღვაში საცურებლად,
ეგებ ტანჯვა დავავიწყო, თან არ გაჰყვეს სანანებლად.

სანამ მისი სურვილია, აქ იცხოვრებს, აქ დადგება,
ჯერ შფოთშია საქართველო, დრო გაივლის, დაწყნარდება.
როცა მეტყვის, გავისტუმრებ, აღსრულდება მისი ნება,
იქ სამეფო ტახტი უცდის, ზედ გვირგვინით დაბრმანდება...

აწ წავიდეთ, ვინახულოთ მეპატრონე ქამარისა,
დღეს დაიხშო მისთვის კარი გამზადებულ სამარისა,
ეს სოფელი ცვალებადი ყველასათვის წამ არისა,
ვმადლობ, თავი დამიბრუნა დაკარგულის თამარისა!«

თამარი და უიასდინი მისად ნახვად წამოვიდნენ.
დავითს დიდად ეუცხოვა: ნახა, ორნივ ერთად იდგნენ...
არ ფიქრობდა, კვლავ ცოცხალნი ერთმანეთსა თუ ნახვიდნენ,
სიხარულით ჩაკონილთა თვალთგან ცრემლნი გადმოსცვივდნენ.

სიტკბოებით შეიყარნენ დაკარგულნი ბიძაშვილნი,
ღმერთს დიდებით შეამკობდნენ, საუბრობდნენ გულახდილნი,
მოიუბნეს ყოველივე მათგან ჭირნი გარდახდილნი,
პირველ მათთა ხატებათა ორნივენი იყვნენ ჩრდილნი.

უიასდინი ბოდიშობდა, მაცდუნაო მე სიდედრმა,
მზაკვარმა და სულბოროტმა, თავის სჯულის გადამსედმა:
,,თქვენ სიმართლემ დაგიფარათ, გაგიღიმათ ახლა ბედმა,
მეც თქვენს სისხლში არ გამრია ჩემმა დიდმა მაჰმედმა.

ვინც თამარი დამიბრუნა, მან სიცოცხლე ორგზის მომცა,
ამ საქმეში გამართლებას, დავით, შენცა მოგილოცავ,
აწ შენს მოყვრებს ვემოყვრები და მტრებს რისხვით აღმოვხოცავ,
როცა წახვალ, გაგაცილებ, მშვიდობის გზას დაგილოცავ".

* * *

ამ დროებში უბედურად ქართლისათვის რბოდნენ წელნი,
გახდა სხვათა სამფლობელო, არ ჰფარვიდნენ მეფის ხელნი,
მთლად დაიპყრეს ნოინებმა—ვერ აღუდგნენ წინ ქართველნი—
მოაოხრეს, მოარბიეს თუ ქალაქნი, თუ სოფელნი.

მაშინ იყო ნარინ დავით მეფობისთვის აღჭურვილი,
მაგრამ ზოგნი არ ნდომობდნენ და სხვა ჰქონდათ მათ სურვილი,
უმრავლეს ხმას მეფედ ჰსურდა დავით, ლაშა მეფის შვილი.
ამ მიზეზით საქართველო ორად დარჩა გაყოფილი.

ნოინებმა მარცვა-გლეჯით ქართველთ სისხლი გამოსწოვეს,
მთიულები ბატონებად ქართველებმა იუცხოვეს,
დიდებულნი შეიყარნენ, ხალხი თვის გარს მოაგროვეს,
სტამბოლს ელჩი გაამგზავრეს, მეფის შვილი გამოსთხოვეს.

ერთად ისხდნენ მხიარულნი თამარ, დავით და სულთანი,
იმ დროს წარსდგნენ მათ წინაშე დიდებულნი მეფის ყმანი,
სათხოვარი მოახსენეს, მიუმღოდათ წინ დესპანი,
ნება დართო უიასდინმა და უბოძა მათ ფირმანი.

დესპანმა და მისმან მხლებმან მსწრაფლ მადლობა განუცხადეს.
ეიასდინის ნებისაებრ მეორეს დღეს მოუცადეს,
უთვალავი საჩუქარი დავითისთვის მოამზადეს,
თამარს სული ეხუთოდა, მისის გაურის არამწადეს.

ერთხელ დილით სხივი მზისა ციმციმებდა საამური,
ხალხის გროვა ფეხზედ იდგა, სტვენდა ტკბილი სალამური...
ჯარით იყო ავსებული ქალაქი და ნავსადგური,
ბაღში ვარდი იფურჩქვნოდა და ჰყვაოდა კინამური.

ზედ ბულბული დაჰმღეროდა, ხშირად სცვლიდა ხმების კილოს,
ვარდის ეშხით დადაგული ემიებდა მისგან ჩრდილოს,
დღე და ღამე მოუსვენარს, სულ მეეფარეს და უმილოს,
ეშინოდა, გარს უგლიდა,—სხვა არავინ დაეცილოს.

დიდი ჯადრის კენწეროზე მაღლა ორბი ტრიალებდა,
მისი მართვე ბუდითგანა საზრდოს სთხოვდა, ფრთხიალებდა,
ესდენ ხალხის მოძრაობით ზღვა და ხმელი ზრიალებდა,
უთვალავი დროშის კალთა მრავალფერად ფრიალებდა.

მგოსანნი და მესაკრავნი ხმებს საამოდ შეაწყობდნენ,
სულთანსა და მის დედოფალს დავითითურთ შეამკობდნენ;
ათასის და ასის თავნი ლაშქარს წესით დააწყობდნენ,
მეჩანგენი, მომღერალნი ყურთასმენას დაატკბობდნენ.

ამ დროს ბაღის ხეივანში მართვებს სჩეკდა სირაქლემი,
ვეფხი ხტოდა გალიაში, ნავარდობდა გარს ირემი...
აფრაგაშლით ზღვის სივრცეში მისცურავდა ერთი გემი,
ბედნიერს გზას უნატრიდა, შესცქეროდა მთელი თემი.

თან მიჰყავდა მეფის შვილი მას ბრწყინვალის ამალითა,
ხელმეორედ დანაბადი, აღმოსრული სამარითა,
სულთანი თვალს ადევნებდა სასურველის თამარითა,
თამარს ცრემლი განუწყვეტი მოსდიოდა კამარითა.

* * *

ერთ საღამოს თბილისიდან უცებ ხალხმა იწყო დენა,
ქუჩებს ვარდი ამშვენებდა, თაიგულთა მიმოფენა...
ბუკი სცემს და ჯარი კრბება, სულ გარემო გაიტენა,
ზურნა კივის, ზარები რეკს, აღარ არის ეურთასმენა.

ცალკე დასი შეედგინათ მშვენიერთა ბანოვანთა,
ქმრიანთა და საქმროთა, გაბადრულთა, მთვაროვანთა,
წითელ-ყვითლით შემოსილთა, ია-ლაჟვარდ-მწვანოვანთა,
თან მხევალნი დაჰყვებოდათ დიდებულთა გვაროვანთა...

მხედართ თავნი განაგებდნენ, რაზმთა წყობას ისწრაფოდნენ,
მეალმენი დროშებს ჰშლიდნენ, დასავლეთით ქარნი ჰქროდნენ,
მოისარნი სიხარულით ისრებს ზეცას გაისროდნენ,
შვილსა ლაშა მეფისასა აღტაცებით მოელოდნენ.

და ის იყო მოაღწია, შეეგებნენ, თაყვანი სცეს,
თავს დრაკნები გარდააგდეს, ძველი დარდი დაავიწყეს,
ჰარაკლისი გადუხადეს, ერთგულება დაუფიცეს,
ტახტზედ მეფედ აიყვანეს, აკურთხეს და დაამტკიცეს.

რუსუდანი აღარ იყო, მისი სისხლი აღარ სჩქეფდა,
მაგრამ ერთად ლაშას მესთან მისი ვაჟიც დღეს გამეფდა.
შალვა იყო სამოთხეში, სათამაროდ ყვავილს ჰკრეფდა;
იოვანე ათაბაგი ჯოჯოხეთში უკვე ჰყეფდა...

* * *

სიკვდილამდის ბედნიერად ჯერ არავის უცხოვრია,
ეს სოფელი ყველასათვის ცრუ და ყალბი სასწორია.
ეს ამბავი, რაც დავწერე, არ შემითხზავს, არც ჭორია,
იმათ შემდეგ რაც ყოფილა, გვამცნობს ქართლის ისტორია.

## „თამარიანის" მეათე გამოცემა

გადმოცემა, რომელიც რაფიელ ერისთავისა და სიმონ გუგუნავას პოეტურ პაექრობაზე მოგვითხრობს, ლეგენდას უფრო ჰგავს.

ერთხელ (ეს მოხდაო გურიის სოფელ გორაბერეჟოულში, თვითონ აკაკი წერეთლის რჩევითა და წაქეზებით) შესანიშნავმა პოეტმა, ვინც უკვდავი «სამშობლო ხევსურისა» შექმნა, და «უსწავლელმა, უჩინარმა, შესაბრალმა» სიმონ გუგუნავამ თურმე პირობა დადეს, რომელი მათგანი უკეთ და უფრო ადრე გალექსავდა გრიგოლ რჩეულიშვილის ისტორიულ რომანს «თამარ ბატონიშვილს».

ვიმეორებთ: ეს გადმოცემა ლეგენდას უფრო ჰგავს, მაგრამ ლამაზად კი შეუთხზავს მის პირველმთქმელს.

უდავო ის არის, რომ 1888 წელს, თითქმის ერთდროულად, გამოიცა სახელოვანი პოეტის რაფიელ ერისთავის პოემა «თამარიანი» და უცნობი მელექსის ამავე სახელწოდების თხზულება. პირუთვნელმა მსაჯულმა — ხალხმა განსაკუთრებით გულთბილად მიიღო სიმონ გუგუნავას ნაწარმოები...

სიმონ გუგუნავამ მშობელ ხალხს მისცა დაუჭკნობელი ნობათი (ასე უწოდა «თამარიანს» მისმა ერთ-ერთმა გამომცემელმა — ი. გრიშაშვილმა). ეს ნობათი ქართველმა მკითხველმა მიიღო და შეითვისა; შეიტკბო და შეიყვარა, როგორც წმინდა გრძნობათა და განცდათა აღმძვრელი, პატრიოტული და მაღალი ზნეობის მქადაგებელი წიგნი.

ის ამბავი, რომ «თამარიანი» გრიგოლ რჩეულიშვილის რომანის მიხედვით შეიქმნა, უფლებას როდი ართმევს სიმონ გუგუნავას თავისი საპატიო ადგილი დაიჭიროს მშობლიურ მწერლობაში. მითუმეტეს, რომ მასვე ეკუთვნის შესანიშნავი «დედაენა», ხალხურ სიმღერად ქცეული «მომეწყინა ცხოვრებაში» (ოცდაათიოდე წლის წინათ ეს ლექსი ჩაწერა და გამოაქვეყნა ცნობილმა მეცნიერმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა), ლექსები: «მოსწავლე ქართველობას», «მამია გურიელის საფლავზე», «მოხუცის ანდერძი», «დრო»...

ენა ცხოვრების წყაროა, უკვდავი დაუშრობელი,
ენა კოკორი ვარდია, მარადჟამ დაუჭკნობელი,
ენა წარსულის მოწმეა და მომავალის მშობელი,
ენა სიბრძნეა აწმყოის, ლამპარი გაუქრობელი;
ენა აქვს კაცობრიობას კედლად და საფუძვლადა,
ენა სვეტია ერისა,მასზე დგას იგი მრთელადა,
ენა აზრს დაასურათებს და შეიქმს ხორციელადა.
ენაში გამოიხატვის ბუნების ძალა ვრცელადა;
ენაა ხალხის დიდების სალარო შესანახავი,
წარსულთა საუკუნეთა შენს თვალწინ გამომსახავი;
ენა სიწმინდის კევრთხია, უზადო, დაუზრახავი,
ენაში მოინახების ყოველი მოსანახავი!

სიმონ გუგუნავას ლექსის «დედაენის» ეს ნაწყვეტიც კი გვარწმუნებს, რა ხალასი პოეტური ნიჭის პატრონი ყოფილა «თამარიანის» ავტორი.

ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ ის, რასაც უფრო ვრცლად და საფუძვლიანად მოგვითხრობენ სიმონ გუგუნავას ბიოგრაფები:

პოეტი დაბადებულა 1839 წლის 30 ივნისს საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — გურიაში, სოფელ ძიმითში. თერთმეტი წლის სიმონი 1850 წელს მშობლებს ოზურგეთის სამაზრო სასწავლებელში შეუყვანიათ, მაგრამ იქ ბოლომდე არ დარჩენილა. სიმონ გუგუნავა მონაწილე ყოფილა რუსეთ-ოსმალეთის ომისა,

საიდანაც პორუჩიკის ჩინით დაბრუნებულა. 1889—1898 წლებში შეუსრულებია ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოვალეობა. მერე, მისივე თხოვნით, ლეჩხუმის მაზრის მომრიგებელ შუამავლად დაუნიშნავთ. ექვსი წლის შემდეგ, ავადმყოფობის გამო, სამსახურისათვის თავი დაუნებებია და ქუთაისს დასახლებულა. 1909 წლის 18 ივლისს იმავე ქალაქში გარდაცვლილა კიდეც.

სიმონ გუგუნავას ბიოგრაფიაში ჩახედულნი იმასაც გვიამბობენ, რომ იგი არამარტო თავის პოემაში განადიდებდა სამშობლოს ერთგულ და კაცთმოყვარე ადამიანებს, თვითონაც კეთილშობილი პიროვნება იყო: ჩაგრულთა ქომაგსა და უსამართლობის წინააღმდეგ უშიშარ მებრძოლს არაერთი უსიამოვნება შეხვედრია ცხოვრების გზაზე. პირუთვნელი, გაუტეხელი სიმონი სხვასაც და საკუთარ თავსაც ასე ასწავლიდა: «ვინც კი მართლად აღიარებს, დიაღ, თქმა სჯობს დუმილებას». არც როდის დავიწყებია საკუთარი სიტყვები იმის თაობაზე, რომ კაცის ვალია, «თვით მაზედვე მტკიცედ დარჩეს, რასაც სხვებზედ ჰქადაგებდეს».

ენამზეობით ცნობილი ყოფილა სიმონის მამაც, მოხდენილი ვაჟკაცი, მომლხენი და მოჯირითე, დარბაისელი და თავაზიანი. მდიდარი ბიბლიოთეკის მქონე დათა გუგუნავას მწიგნობრობითაც მოუხვეჭავს სახელი. არამარტო გურია, მას მთელი ქართველობა იცნობდაო, — აღნიშნავს გუგუნავას ერთ-ერთი ბიოგრაფი.

როგორც პოეტის შვილიშვილი და სეხნია სიმონ გუგუნავა გვაუწყებს, დედა «თამარიანის» ავტორისა — ელისაბედ მიქელაძე — წიგნის მოყვარული, განათლებული ქალი იყო. მისივე ცნობით, 1872 წელს პოეტს შეურთავს ნიკოლოზ ლორთქიფანიძის მომხიბლავი ასული ფედოსი, რომელიც პეტერბურგში თავის დასთან—ელენესთან ერთად ბევრჯერ ყოფილა «სილამაზის პრიზის»მფლობელი.

«თამარიანის» შეთხზვამდე სიმონ გუგუნავას რამდენიმე ლექსი გამოუქვეყნებია და შაირებიც უწერია.

— ეს შაირები იმდენად მოსწრებული და მახვილი იყო, რომ აკაკიც კი ვერ დაიწუნებდა და რომ არ დაუწუნია და, პირიქით, ამბობდა, მშვენიერიაო, ეს ჩვენს მხცოვან მგოსანს უთუოდ ემახსოვრება! — წერდა «თამარიანის» ერთ-ერთი გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი აპოლონ წულაძე.

დიდი აკაკის სახელის ეს დამოწმება შემთხვევითი როდია. მხოლოდ გაწაფულსა და განათლებულ მელექსეს შეეძლო გამოეთქვა თამარისა და შალვას სიყვარულის ამაღელვებელი ამბავი, გამოეთქვა ასე ლამაზად და მწყობრად, თანმიმდევრულად და ბუნებრივად.

«თამარიანში» მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევარია აღწერილი. მისი გმირები არიან იმდროინდელი ისტორიული პირები, რომლებზეც «ქართლის ცხოვრების» მემატიანენიც მოგვითხრობენ.

მეფე ლაშა-გიორგისა და რუსუდან-დედოფლის გვერდით მოქმედებენ შალვა და თამარი — რეალური ისტორიული პირები. ბუნებრივია, პოეტი არც გრიგოლ რჩეულიშვილის რომანს დასჯერდა და არც საისტორიო ქრონიკებს. მან გამოძერწა მხატვრული სახეები სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანებისა. მათთვის უცხო როდია სიყვარულის გრძნობა, ამ გრძნობით გამოწვეული სიხარული თუ სევდა, აღფრთოვანება თუ მწუხარება, იმედი თუ სასოწარკვეთა.

ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ხვარაზმშის სულთანი ჯალალედინი, მონღოლთა შემოსევის შემდეგ რომ შემოიჭრა საქართველოში. მონღოლებსაც და ჯალალედინსაც აწეწილ-დაწეწილი საქართველო დახვდათ. ერთ დროს მთლიანი და მტკიცედ შედუღაბებული ქვეყანა ერისთავებმა დაინაწილეს, რითაც ნიადაგი გამოაცალეს მის ძლიერებას და მომხდურთა ურდოებს თარეში გაუადვილეს. ხალხისა და გონიერი სახელმწიფო მოღვაწეების გმირული ბრძოლა ამ დიდგვაროვანთა გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდებოდა. აი სურათი, რაც ნამდვილი რომანისტის ოსტატობით დაგვიხატა გუგუნავამ.

ზამბარასავით დაჭიმული სიუჟეტი კიდევ უფრო მძაფრდება, როცა ავტორი სულთან უიასდინს გვაცნობს: იგი რუსუდანს მისი ასულის თამარის ხელსა სთხოვს. თამარს უსაზღვროდ უყვარს შალვა, ხოლო ამ უკანასკნელს უთამაროდ ცხოვრება ვერც კი წარმოუდგენია. პოეტი არც იმ ღირსებებს ამცირებს, რაც სულთან უიასდინს ჰქონდა; არც იმ ამაზრზენ მოქმედებას არბილებს, რითაც სულთანი ცდილობს საწადელს მიაღწიოს.

«თამარიანში» დამაჯერებლად არის აღდგენილი სული მაშინდელი ეპოქისა. დამაჯერებლად არის დახატული ძნელბედობის ეს ხანა და გაცოცხლებულია გარემო, რომელშიც პოემის გმირები ცხოვრობდნენ.

სწორედ ამ დამაჯერებლობამ, ისტორიულმა ქარგამ, წარმტაცმა ამბავმა, ბრძნულმა აზრებმა და თქმებმა, ხალხურ სიტყვიერებასთან სიახლოვემ განაპირობა «თამარიანის» დიდი პოპულარობა; იგი თითქოს ხალხური სიტყვიერების ნიმუში გახდა. რამდენი სიმღერა შეიქმნა მისი ლირიკული ადგილების მიხედვით!

რუსთაველის უეჭველი გავლენა თავისებურ მიმზიდველობას აძლევს «თამარიანის» გულშიჩამწვდომ სტრიქონებს. პოემის ცალკეული ადგილები ისეთი ძალით არის დაწერილი, რომ ჩვენი დიდი პოეზიის საუკეთესო ნიმუშებს უთანაბრდება.

«თამარიანის» წინამდებარე გამოცემა რიგით მეათეა.

აი, როგორია თანმიმდევრობა «თამარიანის» გამოცემებისა: პირველი გამოცემა — 1888 წელი, თბილისი, ძმების ჭილაძეების სტამბა; მეორე — 1893 წელი, სენაკი (ახლანდელი ქალაქი ცხაკაია); მესამე და მეოთხე — 1898 და 1902 წლები, ბათუმი; მეხუთე — 1912 წელი, თბილისი, ა. წულაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით; მეექვსე — 1928 წელი, თბილისი, ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით; მეშვიდე — 1935 წელი, თბილისი, პლატონ კეშელავას წინასიტყვაობითა და რედაქციით; მერვე — 1957 წელი, თბილისი, «საბჭოთა მწერალი», ანდრო თევზაძის რედაქტორობით; მეცხრე — 1962 წელი, თბილისი, გამომცემლობა «ცოდნა», ანტონ ხინთიბიძის წინასიტყვაობითა და შალვა ბუაჩიძის რედაქტორობით.

მეათე გამოცემა მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი, როგორც საკითხავი წიგნი საქართველოს ისტორიაში. ამის გამო გავიზიარეთ მოსაზრება 1912 წლის გამოცემის წინასიტყვაობის ავტორისა: «ეხლა «თამარიანს» აქა-იქ შალაშინი ეჭირვება».

ამავე მოსაზრებამ გაგვაბედვინა მეათე გამოცემის რედაქტორს აქა-იქ შალაშინი გაეკრა ტექსტისათვის, გაესწორებინა აშკარა ენობრივი უსწორობანი, ცეზურის დარღვევა, გაუგებარი ადგილი... მაგრამ ყოველივე ეს ისე გავაკეთეთ, რომ ავტორის სიტყვიერი ქსოვილი არ შეცვლილიყო. თითოეული სიტყვა მისივე მდიდარი ლექსიკონიდან ამოვიღეთ და ზოგიერთი შედარებით გაუმართავი ადგილი სიმონ გუგუნავასათვის დამახასიათებელი პოეტური ხერხით «ამოვქვემსეთ».

შეგვინდოს სიმონ გუგუნავას ნათელმა სულმა ეს გამბედაობა, რადგანაც ჩვენი გადაწყვეტილება «თამარიანის» შემოქმედისადმი გულწრფელი პატივისცემის გრძნობით არის ნაკარნახევი.

ამავე დროს, წინამდებარე ტექსტი სიტყვასიტყვით შევადარეთ როგორც პირველ, ისე რამდენიმე სხვა გამოცემას, პირველი გამოცემის მიხედვით გავასწორეთ შემდგომ გამოცემებში დაშვებული კორექტურული შეცდომები, რომლებიც ავტორისეულ აზრებს ამახინჯებდნენ. აგრეთვე უმტკივნეულოდ ამოვიღეთ რამდენიმე სტროფი.

წინამდებარე ს ა ს კ ო ლ ო გ ა მ ო ც ე მ ა «თამარიანისა», ამავე დროს ჩვენი ს ა ი უ ბ ი ლ ე ო ს ა ჩ უ ქ ა რ ი ა, რომელიც ეძღვნება დიდ ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

**ხუტა ბერულავა.**

ГУГУНАВА СИМОН ДАВИДОВИЧ

**Тамариани**
Поэма

(на грузинском языке)

$\frac{7-3-1}{158-70}$

899.962.1 — Г 2 13
გ 926

ხუტა ბერულავას რედაქციით

გამომც. რედაქტორი დ. ჯიბლაძე. მხატვრული რედაქტორები: თ. კარბელაშვილი, მ. ასათიანი. ტექრედაქტორი მ. ასათიანი. კორექტორი ც. კვინტრაძე. ასოთამწყობები: ბ. ბარბაქაძე, შ. ქაჯაია. რეტუშორები: კ. ხვედელიანი, მ. ხუბაშვილი. მონტაჟი ც. ხოსიტაშვილის. მბეჭდავები: ი. კამენსკი, ნ. ზაუტაშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X — 70 წ. ქაღალდის ზომა 60×90/8. ნაბეჭდი თაბახი 10. სააღრიცხვო-საგამომც. თაბახი 7,82.

ტირაჟი 25.000    ფასი 1 მან. 80 კაპ.    შეკვ. № 1134

გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, კამოს ქ. №18.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.
1970

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати. Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.